კანკაჭეკრ ჯაყელი

საოცარი ალგებრა ყუთლუ არსლანისა

ბაკმი
2005

© კახაბერ ჯაყელი
ხელოვნური ალზეკება ყეთლეუ-ირსლიანის (ნოველები)
მხატვარი სპარტაკ ცინცაძე

© გამომცემლობა-ბაკმი 2005
E-mail: bakmipublishing@posta.ge
ISBN 99940-27-43-3

საოცარი ალზევება ყუთლუ-არსლანისა

მტკვრის პირას, კლდოვან ბორცვზე აღმართულ „კიდობანს" ანუ სახლს მეჭურჭლეთუხუცესისას, ფეხოსანთა რაზმი მიუახლოვდა. დასტად დაწყობილ ფეხოსანთ კიდობნის შუბოსანი მცველი გამოელაპარაკა და თიკუნის გამოკითხვის შემდგომ უმაღლეს ლაშქარნთ და დასტის მეთაურთ მცირე კარში შეუძღვა.

მოვარაყებული სასანთლეები ირმის რქებივით განტოტვილიყვნენ სამეფოს დიდმნიშვნელოვან დარბაზში. ცისფერი ალი ცეცხლისა მოცეკცაეეთ თუ წააგავდნენ ვნების ცეცლხისაგან ამოძრაყებულთ და მოთამაშეთ. დარბაზის კედლებზე უშნოდ წაგრძელებული უფორმო ირდილები და მოყაყანე ხმები, სამსახიობო, სამიჯნურო წარმოდგენებს ჰგავდნენ უფრო, ვიდრე სახელმწიფოსას.

შემაღლებულზე მჯდომი შავ სამოსში გამოწყობილი კაცი დაფიქრებული დაჰყურებდა მის წინ მაგიდაზე გაშლილ ყვითელ ფოლიანტებს, ტყავის გრაგნილებს, ქათქათა პერგამენტებს, დროგამოშვებით ბრძანებას აძლევდა მის წინ მდგომ უწვერულვაშო ბიჭებს, რომელთაც უცხო ოთკუთხა ფორმის ხის დაფა ფარიკით აღემართათ და მთელი ყურადღება მასზე გამოსახული ასოების კითხვაში ჩაექსოვებინათ.

ლაშქარნი დარბაზის შუაგულში შედგნენ და ცნობისმოყვარე მზერით დაუწყეს თვალიერება შავსამოსიანს, ხის ფარსა და უწვერულვაშო ბიჭებს. ამ უჩვეულო ხის ფარისა და მასზედ გამოსახული წარწერების ამბავს ტფილისის სანახები დაეტოვებინა და კავკასია მოეცვა. უცხო ქვეყნებიდან მოქარავნეთა მიერ შემოტანილი საუნჯეებით დედაქალაქის მცხოვრებთ დიდი ხანია ეელარ გააკვირეებდით, მაგრამ ხის ფარმა შეაშფოთა ჭორის მოყვარული ქალაქის ვიწრო ქუჩები და სარდაფები. თვით შაეი კლდის პონდიქონში მასზე ლაპარაკს ჯერ ერიდებოდნენ თბილისელნი, ხოლო შემდეგ

უცებ ალაპარაკდნენ და ათასი რამე შეთხზეს მეზღაპრეთა ხის ფარის ირგვლივ.

ამბობდნენ, ბაბილონელ ბერებსა და მწიგნობრებს ჯერ კიდევ დიდი მეფის ნაბუქოდონოსორის დროს ცის კამარებისა და მნათობთა მწყობრის შეცნობისა და კაცთა ბედიღბლის ჭვრეტის მიზნით შეუქმნიათ სიბრძნე, რომელიც ამ დაფაზე ამოუჭრიათ. საუკუნეთა მსვლელობისას ბაბილონისა და შუმერის, ქალდეასა და ერუშალაიმის დაცემის შემდგომ ხის დაფა გამქრალა. სიბრძნე დაკარგულა. მხოლოდ ბრძენნი და შთამომავლობით მკვლევარნი ძველი ქალაქების ნანგრევებსა, ბაზრებსა თუ საროსკიპოებში ეძებდნენ ბაბილონელ სწავლულთა ამ სანუკვარ ქმნილებას. ბარდაკის ერთ–ერთ სულთანს, სიამაყით გამოჩენილს, შემთხვევით მიეკვლია და თავის საბრძოლო ფარი შეემკო ბაბილონელთა ხის დაფის რამდენიმე ფრაგმენტით. სულტანი ამ გზით ბრძოლებსა და ჭირვარამში სელშეუხებელი იყო მანამ, სანამ ერთმა მსტოვარმა ეროვნებით ქურთმა არ წარსტაცა მას დიდებული განძი.

ნურჩულით ჰყვებოდნენ ბრძენნი, ბარდაკის სულთანი ფარის დაკარგვიდან მეორე დღესვე მცირე ამალით უდაბნოში შევიდა და შემდეგ მისი კვალი არავის უნახავსო.

რაც შეეხება ხის ფარს, იგი უეცრად ობილისში გამოჩნდა და გიორგი მესამის სამსჯდრო თათბირები დაამშვენა. ორბელთა აჯანყების ჟამს, როცა მეფე გიორგი მეომართა ბრბოებს ჰკრებდა და მათ უსიმო მოწყალებას ჰპირდებოდა მათ მიერ დაღვრილი სისხლისა და ომის სანაცვლოდ, სიბრძნით მოფენილი ხის ფარი უცვლელად ამშვენებდა სამეფო რაშსა თუ მეფის კარავს.

„დიდო იოანეე ორბელიანო, მჰხნეო ძლიერო და უძლეველო, რომელი ხარ ქვეყნისა მას ჭინეთისაგან მოსრულ და ტომი თეითმპყრობლისა მეფისა. ოდეს მოხვედ ქვეყანასა ამას ქაროლისას, აქ ჰპოვე პატიჟი უსიმო, იყავ მთავარი და თავი სახლისა სამეფოისა და სპასალარი გიორგისა. აწ უკეთუ გნებავს განსვენება და სიცოცხლე, პატიჟი სასურველი და განუზომელი მამული შენი... მოვედ და მოართვი ყრმა ეგე, ძე დავითისა დემნა, რომელ იქმნა მიზეზი ბორო-

ტისა შენისა და სხვათა მრავალთა"... ეს სიტყვები ხაფი ხმით აღმოხდა ლორეს მიმდგარ გიორგის,რომლებმაც განაცვიფრა ლაშქარი მისი.

სწორედ ამ დროსო, – ამბობდნენ თბილისელნი – მეფის გვერდით მარტოოდენ შუბით აღჭურვილი იდგა უწვერულვაშო და უცხო გარეგნობის თაფლისფერთვალება თბილისელი უგუარო ჭაბუკი, დედის მიერ ყუთლუდ წოდებული, რომელიც ქალაქელთა სამხედრო რაზმის წევრი იყო და რომლის გაუგონარი აღზევება იდუმალ ხის ფარს და იმ მეფეს უკავშირდება, რომლის სახელის ხსენებისას ხელიკიც კი სტოვებდა მეტეხის კლდეს და ქვაბულში მალაედა ციე სისხლს თავისას. ივანე ორბელიანის მიმართ ხაფი შეძახილის შემდგომ გიორგი მეფე ლორეს წინ გაშლილ სამხედრო ბანაკში საველე ტახტზე დაბრძანდა და ათასგვარი ფიქრითა და ლაშქრობით დაღლილი თვალნი მის წინ ნამოკიდებულ ხის ფარს მიაპყრო. შორს ტყეთა მასივებიდან გამოტყორცნილი ჩამავალი მზის სხივები პირდაპირ ურტყამდა ხის ფარს და მასზე იდუმალი წარწერების მიმზიდველ რელიეფს წარმოაჩენდა.

– არის კი ვინმე, რომ წამიკითხოს უცხო სიბრძნე აღბეჭდილი ამ ფარზე?! – გაბრაზებულმა იკითხა მეფემ და მის წინ შეკრებილ დიდებულთ შეხედა.

ამგვარი ეინი მეფის მრისხანების ახალ გამოვლინებად შეაფასეს მისმა მხლებლებმა. კავკასიური ფოცხვერის მსგავსი ჭრელი თვალები დახარეს ახოვანმა მებრძოლმა – ყივჩაღად ყოფილმა გაქართველებულმა ყუბასარმა და მისმა ძმადნაფიცმა, ჰუნეთა ჩამომავალმა აფრიდონმა. დაბნეულად იმზირებოდა მეჯინიბეთუხუცესი ჭიაბერი და მალიმალ ლორეს ციხეს უყურებდა. ჩუმად იდგნენ და მხოლოდ ჯაჭვს აკრთობდნენ თუშეთის, ხევისა და ფხოვის ჯართა წინამძღოლი ხევისბერები. ამ დროს სარდალთა მწყობრიდან გამოვიდა თბილისის ამირმთავარი, ქალაქში ქურდად მჯდომი, აბულ ასანი, მეფე გიორგის მდაბლად თაყვანი სცა და დამპალი კასრიდან ამომავალი, ურუ ბგერის მსგავსი მოგუდულით წარმოსთქვა.

– თბილისელთა ჯარი ყოველმხრივ ერთგულია ჩვენი

უძლეველი მეფისა და ამ საქმეშიც გესურს გამოვიჩინოთ თავი, ჩვენ გვყავს ენათა და სიბრძნეთა მოყვარული მებრძოლი ყუთლუ

აბულ ასანმა მკვეთრი ბრძანებით ახლოს მოიხმო შუბს დაბრჯენილი თაფლისფერთვალება რაზმელი, რომელიც რამოდენიმე ნაბიჯიდან ადევნებდა თვალყურს ტახტზე ჩამოჯდარ დაღლილ მეფეს, მის ამალას და ფიქრობდა თბილისში, კალოს უბანში, დარჩენილ, შრომისგან გატეხილ დედაზე, რომელმაც ტირილით გამოაცილა ერთადერთი შვილი, დაუკოცნა მას მარჯვენა და მთელი კვირის მანძილზე ნალოლიავები საგზალი უბეში ჩაუდო. როგორ უთრთოდა დედას ხელები და რა უცნაური მეტყველი სითბოთი შეჰყურებდა ივი თავის მხოლოდშობილს, საომრად მიმავალს, ქალაქელთა ჭრელ რაზმში ჩარიცხულ ყუთლუს. აბულ ასანის შეძახილმა ქალაქელი შუბოსანი ჯერ ფიქრებიდან გამოაფხიზლა, ხოლო შემდეგ შიშში ჩააგდო. ქალაქის ამირთ–ამირა მორკინული ხელით მას თავისკენ უხმობდა. ყუთლუ ქალაქური შუბით ამირასკენ გარბოდა და ანაზდად თრთოდა.

– მებრძოლო, შენ მითხარი რომ რამდენიმე ენას ფლობ და წიგნთა სიბრძნის მოყვარული ხარ, ხომ ასეა? – მჭახე ხმითა და გაშომცდელი თვალებით იკითხა აბულ ასანმა.

– ესაუბრობ და ვკითხულობ ბერძნულად, ებრაულად, სომხურად, ესწაელობ სპარსულს. დიდო ამირთ ამირა, – სულმოუთქმელად თქვა ყუთლუმ. ქართულად, ებრაულად, სომხურად, სპარსულად და ქურთულად მეც ველაპარაკობ, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. – გადაიხარხარა აბულ ასანმა და შემდეგ დაამატა – მე გამიგია, რომ შენ ქალაქში მწერლობითა და ენიდან ენაზე გადათარგმნით ირჩენდი თავს, შენი თანამოძმეები კი ხშირად ქვებსაც გიშენდნენ შურის გამო.

– არ ვიცი რა გიპასუხოთ,ამირთ ამირავ,მე სულმოუთქმელი ვშრომობდი, რადგანაც დედა ავად მყავდა მაშინ და დიდსა თუ პატარა საქმეს სწრაფად ვართმევდი თავს ეს იყო და ეს, – თქვა შუბოსანმა და ამირთ ამირას გონიერი და მორჩილი მსერა მიაპყრო.

– რა აქვია დედაშენს? – იკითხა აბულ ასანმა.

– ხათუნა კალოს უბნიდან, – გულის მომეტებული ცემა

იგრძნო ყუთლუმ.

— ახლა შენ მეფის წინაშე წარსდგები, აბა შენ იცი, ქალაქური ზნე, როგორც ვხედავ, კარგად გაქვს შეთვისებული. სიბრძნეს თუ ფლობ, მაშინ თბილისის მკვიდრთ სახელს შეგემატებ, ხოლო თუ არ ფლობ, რისხვა ჩემი არ აგცდება. წამომყევი, დაფიქრდი და მერე ილაპარაკე. აბულ ასანმა შუბოსანი წინ გაიგდო, სარდლების ტყვრი გაარღვია და სამეფო ტახტის მიმდებარე მიწაზე დადგა ფეხი.

ყუთლუმ უეცრად გიორგი მეფის ფართო თვალებს შეხედა, იქიდან გამომავალი იდუმალი ძალა შეიგრძნო და მიწაზე მოცელილიყით დაეცა. მეფის თვალები სულის კუნჭულში ჩაჰყვნენ მას და დაფარული ასრების თვალიერება უწყეს შუბოსანს. ოჰ, როგორ არ უნდოდა მიწიდან ამდგარიყო და კვლავ მეფისათვის შეეხედა შუბოსანს.

— ფეხზე წამოდექ, შუბოსანო და სახელი მითხარ შენი! — ლომისა და მხეცის მრისხანებით დაიგუგუნა გიორგი მეფემ და უჩინარმა ძალამ ყუთლუ ფეხზე წამოაგდო.

— ყუთლუ მქვია ქრისტეანთა ხელმწიფეე, მეფეე აფხაზთა და ქართველთა, სომეხთა და რანთა, შირვანშაე და შაჰინშაე, — თქვა შუბოსანმა და თვალებდახრილი დადგა ტახტის წინაშე.

— ქალაქის ამირთ ამირამ შენი კეთილი ზნენი წარმოაჩინა. ახლა გეძლევა წუთი დაგვიმტკიცო შენი ეროგულება და ამ ფარზე დაწერილი სიბრძნე მოგვახსენო იმ ჟამს, როცა მეფე და სარდლები რჩევას ელიან. ქვეყნის ბედი თიოქმის შენ ხელშია, შუბოსანო, ახლა შენ ხელშია, თორემ... — საზარელი სიცილით გაიცინა მეფე გიორგი მესამემ — თორემ ხვალ დილას უთენიისას ჩემი მახვილის ხელში იქნება სამეფოსა და ჩვენთა შვილთა სვე–ბედი. მიდი მაგ ფართან და იქნებ რაიმე კარგი და შესარგი გვითხრა დაღონებულ მეფესა და სარდლებს.

ყუთლუმ ერთი შეხედა მეფე გიორგის, გაზომა ფართო თვალებისა და კოშკივით აღმართული შუბლის ძლიერება, მერე მოავლო თვალი შეჯგუფებულ მღუმარე სარდლებსა და მათ სისხლიან ხმლებს. „ამათ გადაწყვეტილება უკვე მიღებული აქვთ და ჩემგან რა უნდათო", — გაიფიქრა და

მუხლებში ოდნავ ათრთოლებულმა, ხის ფარისაკენ იწყო სვლა.

ჩამავალი მზის სხივებმა ათინათების თამაში იწყეს ოთკუთხა ფარის მოწითალო სხეულზე, ცისარტყელასავით ლიბროებად დაიშალნენ სინათლის ანგელოზები და ფარის ამოსნექილ–ჩაზნექილი და ნაჭდეები გამოსახულებები სიღრმისეულად შეისწავლეს. აქა–იქ განაწილდნენ შუქები და ჩრდილები ფარსა თუ დაფის ზედაპირზე. მოფარფატე ფრინველიეით ებრძოდა სინათლე ჩრდილებს. ამ სურათს ყურადღებით აკვირდებოდა ახალგაზრდა თბილისელი რაზმელი და გრძნობდა, რომ ზურგს უკან არა მარტო მეფე და მისი ველური სარდლები, არამედ დედა, კეთილი მეზობლები და მთელი ქართლი, იქნებ საქართველო ელოდა მის პასუხს და ამჟამინდელი გადაწყვეტილების მახვილგონიერებას. ყუთლუ მთელი მონდომებით ჩააკვირდა ფარზე გამოსახულ უცხო ასოებსა და ცხოველებს, სიმბოლოებსა თუ თარიღებს ძველ სამეფოთა და ხალხთა. ქალაქელმა შუბოსანმა იგრძნო მის წინ მდებარე ფარის მნიშვნელობა. უცხო ნახატთა წყობამ მის გონებაში სხვადასხვა აზრი წარმოშვა. ერთმა ასომ იგი ისე დააინტერესა, რომ ეს ასო დატკეპნილ მიწაზე თითით გამოსახა და ყოველი მხრიდან დაუწყო მას თვალიერება.

მეფე და ლაშქარნი გაოცებით აკვირდებოდნენ მიწაზე ჩამუხლულ თაფლისფერთვალება შუბოსნის ჩალიჩს. თავად გიორგი გამხიარულდა და გაღიმებული სახით თაკზე დაადგა ყუთლუსა და მის მიერ გამოხატულ ასოს.

– რას გვეუბნება ბაბილონელთა ფარი, შუბოსანო? – კითხვა დასვა გიორგი მეფემ და ნელა მიმოავლო თვალი ირგვლივ შემოჯარულ საკუთარ სარდლებსა და მოლაშქრეებს.

ყუთლუმ მიმოიხედა, მეფეს მიაპყრო მზერა და უეცრად აღმოხდა –

– დიდებას ვხედავ თქვენსას და თქვენს ნაშიერთა, – გამარჯვება თქვენს მხარეზეა, დიდო მეფევ!

ამ სიტყვებზე მეფის ამალამ ომახიანი ყიჟინა დასცა. მოლაშქრეთა შორის სწრაფად გავრცელდა ხმა კარგი ამბავის შეცნობის შესახებ და მოხალისეთაგან შეკრებილმა

ჯარმა ნადავლის თვალით დაუწყო ლორეს ციხეს მზერა.

მხოლოდ ყუთლუ დარჩა ხის ფართან, მასზე გამოსახულ ასოთა შეცნობის მოწადინებული და საკუთარი სიტყვებისაგან შეშინებული.

მეორე ღღეს დიდი გამარჯვება იზეიმა გიორგი მეფის ლაშქარმა. ლორესაკენ, ივანე ორბელის დასახმარებლად მომავალი მუსამედ ფეხლევანჯეიხანის ლაშქარი გიორგისთან შერკინების გარეშე ისრის ტყორცნის მანძილზე უეცრად შემოტრიალდა და ირანის აზერბაიჯანისაკენ გაემართა ტაშირის საქარავნო გზებით.

გიორგი მეფემ კმაყოფილებით შეხედა ალამზე დაკიდულ ხის ფარს. ყუთლუს ფარისმტვირთველად დანიშვნა ბრძანა და ლორეს ციხის გარშემორტყმა დაიწყო.

სასწრაფოდ მსახურთუხუცესი და კარეის უხუცესნი მიეჭრნენ ყუთლუს. გახადეს ლაშქრობისას შემორღვეული თალხი ჩოხა, ტყავის პაჭიჭები, და შავი ქაშმირის შალის ქულაბა, ალებასტრის მძივებით გაწყობილი თეთრი აბრეშუმის პერანგი, წითელი მაღალყელიანი მესტიები, ჯვარნაქარგი საგზაო ქუდი და ფართოყელიანი ბალახის ფერი მოსასხამი ჩააცვეს მას.

ფარისმტვირთველად დანიშნული ლამობდა ხელიდან დასხლტომოდა მეკარეებს და სადმე ბუჩქებში ჩაეცვა ახალი ტანისამოსი. წვერცანცარა მეკარეები ჭირეულობას დაჩვეულ ყუთლუს ისეთი ძალადობით ხდიდნენ და ახევდნენ დედის ხელით შეკერილ, ხმარებისაგან დამდნარ სირმებს, რომ ყუთლუ ვერანაირ კმაყოფილებას გრძნობდა და ხვალინდელი დღის შიშით ლაშქრიდან გაპარვაზე ფიქრსაც კი ბედავდა.

მეორე დილით, გამთენიისას, ახალ სამოსში გამოწყობილი ყუთლუ ერთხანს შეჰყურებდა მისი რაზმის, თბილისულ შუბოსანთა დასტის გასვლას ბანაკიდან და გული სევდით ევსებოდა. ქალაქელები შეჰყურებდნენ მას და ჩეული სიხალისით, ხუმრობითა და ხორხოცით მიდიოდნენ ლორე ტაშირის გზების ჩასაკეტად. იგი კი გრძნობდა მარტოობასა და სევდას.

— ფარისმტვირთველო, — მჭახე ხმა თითქოს ფოლადს

აწრთობენო შემოესმა ყუთლუს ზურგიდან და მისი ფიქრები ისევე განაბნია, როგორც ბაბუაწკერის თეთრი ღინღლები განიბნევიან ხოლმე მწვანე მდელოზე სიოს წამოქროლვისას.

– ფარისმტვირთველო, ახლავე ჩაუდგები ლაშქრის ბირუნს და მოიყელი ლორეს სანახებს. მთავარი გახლავს ბაბილოვანთა ფარი მთელი სიბრძნით დაატყდეს თავს ლორეში გამაგრებულ მოღალატეებს და მათაც ისეთი დღე აყაროს, როგორც დაუმარცხებელ ფაშლავანჯეიჰანს დამართა. ახლავე მიემგზავრები.

მთლიანად რკინებში ჩამჯდარ აბულასანის ეს ბრძანება ყუთლუს უნიადაგო ცხოვრებაში ახალი, აღმავალი გზის დასაწყისი გახლდათ.

ამ დღიდან ყუთლუს გონება და აზრი იმ ერთის მონა–მორჩილი შეიქმნა, რასაც შიშის გრძნობით თუ არა, რიდით ახსენებდნენ მრავლისმნახველი თბილისის სანახებში, სეიდაბადის, კალოს უბნებში, ვერცხლისა და ოქროსმჭედელთა ქუჩებსე. რასაც შეშინებული ფრინველივით გულგახეთქილი გაურბოდა დედამისი ხათუნი და ხოგიერი მეხობელი. ეს ქართველთა და აფხაზთა, სომეხთა და რანთა მეფე გიორგი მესამე გახლდათ. მისი ამალის ხილვისას კალოს უბნიდან გადმოყუდებულ ბავშვს ხათუნი მუდამ ბნელ ოთახში შეკეტავდა ხოლმე და ყუთლუს ახსოვდა თუ როგორ აძინებდა მას ფოთოლივით მოირთოლვარე დედა სიტყვებით – „დაიძინე თორემ, გიორგი მეფე მოვაო". ყუოლუს ხშირად უგრძვნია, რომ თვითონ დედამისი იყო შეშინებული მასზე მეტად და ამ შიშის გრძნობით გათანგულ დედისა და შვილის ოჯახს არაფერი რჩებოდა სანუგეშო. თუმცა არა, ერთადერთი ნუგეში რწმენა და წიგნები იყო. ამ წიგნებს დამწვრის სუნი ასდიოდა. ეს სუნი აღარ დაავიწყდება ყუთლუს. ბავშვობიდან იგი ერთ მარტოხელა მოხუცთან დადიოდა სახლში წიგნის სასწავლად. ამ მოხუცს სახლი შურის ციხის ფერდობში ჰქონდა გამართული, სახლი ერთ მიწურს წარმოადგენდა, მაგრამ ამ მიწურს მზის სხივები ანათებდნენ და კარში გამოჭრილი რიკულებიდან შემოსულ სხივებს, მოხუცი სამენოვანი ლოცვით ხვდებოდა.

ლორეს ციხეს 'შემომდგარ ყუთლუს იგიეე დამწვრის სუნი სცემდა, რაც თბილისში ძველი წიგნებისა და ფოლიანტების კითხვისას. ციხის გარშემო ძალუმად მუშაობდნენ საალყო მანქანები. ციხეს ცეცხლოვან ჭურეებს აფრქვევდნენ მარბიელი რაზმები. ლორეს დამცველები ხანდახან გამოაღებდნენ ოთხიეე კარს და მეფის ამალის 'შორიახლო ამაღლებულ ბორცვ'ზე 'შემდგარი ყუთლუ ხედავდა, ლორეს ფაროო კარიბჭებიდან ზვავის სისწრაფით გამოიჭრებოდა ბრწყინვალე აბჯარში, მეფის სპაზე მეტი ახოვნებით გამორჩეული რა'ზმი ცხენოსნების, რომელიც ყველაფერს აპარტახებდა თავის გზაზე. რაზმის მოწინავენი ერთი დაუნდობელი შეტევით აქცევდნენ და ანგრევდნენ გიორგის საალყო მანქანებს, ჟლეტდნენ მოალყეებს და გ'ულიანად უტევდნენ თვით მეფის ბანაკს. ივანე ორბელი მეთაურობსო ამ რაზმს", – ამბობდნენ გამოცდილი მსახურნი მეფისა. ისინი ანვენებდნენ კიდევაც მეწამულისფერ რა'ზს და სარკესავით მბზინავ მუსარადს ყუთლუს, მაგრამ იგი მხოლოდ 'შეჩოჩხნილ, ერთმანეთ'ში არეული კაცთა და ცხენთა გუნდებს ხედავდა და თრთოდა უჩუმრად, როცა გაშმაგებით სცემდნენ ერთმანეთს ყოველგვარ სასროლსა და საჟლეტ იარაღს ლორეს ვეება კედელს შიგნით მდგარი და გარედან მიმდგარი ჯარები.

იოანე ორბელს საკუთარი საჭურჭლე სამშვილდეს აქვს გადამალული, რასაც მალულად ახალი რაზმების დაქირავებას ახმარსო, ამბობდნენ მეკარვენი. ყუთლუ გრძნობდა, სამეფო კარი გათანგული იყო აუღებელი ციხის უნაყოფო იერიშებით. ამიტომაც გუმანით ხვდებოდა რომ მასაც და მისთვის ჩაბარებულ ფარს მოკითხავდნენ პასუხს სამეფოს ბედ–იღბალის გამგები პირები.

ლორესთან დგომის მე–5 თვის ორშაბათს, როცა დაღლილი ანგელოზებივით მდუმარედ იდგნენ ხშირფოთლოვანი, საადრეო ვაშლის ხეები, ხოლო ლაშქარი სნეულებაშეყრილი ჩუმად კვნესოდა, ლორეს ციხის აფაფრული ქონგურიდან ვიღაცის ლანდმა ისარი ტყორცნა სამეფო ბანაკს. ნაცნობი ზუზუნის ხმამ წამოშალა სამეფო სპა და რამოდენიმე მონადირე სირბილით დაუყვა მეფის კარვისა-

კენ. ერთმა მათგანმა გადაჭრილი ხის კუნძზე დასობილ ეეება ქეიბურს მოჰკრა თვალი. ქეიბურს, დიდი ზომის მძიმე ისარს ტყავის, ქარქაში პქონდა შემოსალტული. მონადირემ ზეაწია ქეიბური და შეპყვირა მეფის მეკარეეთა და მცველთა გასაგონად — წერილი გვტყორცნეს ლორელებმაო..

მეფის მანდატური უმალ მიეჭრა ისრის მპყრობელს, ღიმილით გამოართვა მას ტყავის ქარქაში და მეფის კარეისკენ სირბილით გაიჭრა.

— წერილია, გვნებდებიან ლორეს მცველნი, — ერთმანეთს ეუბნებოდნენ მოლაშქრენი და თვალებანთებული შეჰყურებდნენ გორაკს, რომელზედაც სხვა კარავთა შორის გიორგი მესამე ბაგრატიონის თეთრი კარავი იწონებდა თავს. აღმაფრთოვანებელი ამბავი სწრაფად იპყრობდა მეფის ჯარის განსხვავებულ დასტებს და სულ მალე თვით წერილის შინაარსზეც საუბრობდნენ ჭორის მოყვარულნი ქალაქელი მეომრები.

ფარისმტვირთველი ყუთლუ დილაადრიან სრულ მზადყოფნაში იმყოფებოდა. მის ყურამდეც მიაღწია მეომართა ყიჟინამ და სასიხარულო შეძახილებმა ივანე ორბელის დანებების შესახებ. ყუთლუმ მიაყურადა ლორეს სანახებიდან მომავალ ხმებს და სასიქაროდ გაემართა სამეფო მცველთა მოწნული სახლისაკენ. შევიდა მოწნულში ხელში აიღო დათვის ტყავის შალითაში ჩასვენებული ხის ფარი და სამფო კარვის მიმართულებით წავიდა. როცა იგი კარვის მცველთ მიუახლოედა, უსუმრად 'შედგა და ლორეს ცისეს მიაპყრო თვალი.

— გაგიმარჯოს, ფარისმტვირთველო, — მიესალმა მას მცველთა ათეულისთავი მუხრან გაბლიძე და მამაშვილური სიყვარულით შეხედა ყუთლუს.

— გაგიმარჯოს, ათისთავო, ვერ შეგიცნე უცბად, მაპატიე, — სიხარულით წარმოთქვა ყუთლუმ და მკერდზე მოეხვია ხელგაშლილ მუხრანს.

— ვერ შემიცან და რა დიდი კაცი გახდი ყუთლუ, გაიგე შენი განათლების ამბავი. დაგაფასა ჩვენმა ხელმწიფემ, გაგვიმართლე იმედები ყველას. აბა შენ იცი, ჩემო კარგო, აბა 'შენ იცი! — ამბობდა ძია მუხრანი და ანჯღრეედა მის

ხელებში მოქცეულ ყუთლუს. ბავშვობისას მეზობელთა წრეში ჩამჯდარი ყუთლუ დიდი მოწიწებით უსმენდა მუხრან გაბლიძეს ქალის, ასმათის, მოყოლილ ამბებს ქმრის ლაშქრობების შესახებ. მხოლოდ იშვიათად მოკრაჟდა იგი თვალს სახლში შემოსულ სამეფო ტყავ კაბაში გამოწყობილ მხარგანიერ ათეულისთავს, რომელსაც მუდამ საკუთარი შვილები ეხვევნენ გარს.

ახლა კი ამხელა მეომარი თავს უტოლებს მას — ჯერ კიდევ დაუმსახურებელ კაცს და მასთან, როგორც სწორი სწორთან, საუბრობს — ყუთლუ ამ აზრმა ცოტა არ იყოს გაახარა და სახეზე ფერი მოჰგვარა.

— ფარისმტვირთველო. თუ გნებავს გაგატარებთ, — მოწიწებით იკითხა მუხრან გაბლიძემ.

— არა, ძია მუხრან, ჯერ არავის დავუბარებივარ დიდი მეფის კარავში, უბრალოდ ვდგევარ და ვიცდი, ადვილად რომ მოიძებნონ მალემსბორლთა, — თქვა ყუოლუმ და სამეფოს თეთრი კარვისკენ გააპარა თვალი.

— ჩემო ყუოლუ, გენაცვალოს ძია მუხრანი, იცი რა გითხრა, ძალიან გამიხარდა, რომ ყველას შორის გამოგარჩია ქალაქის ამირამ. მე ისიც ვიცი თუ როგორ სწავლობდი წიგნს და სიბრძნეს. იქნებ ჩემი ბაჩანაც შენ დაგემსგავსოს ეგ უმსგავსო, — აგრძელებდა საუბარს ათეულისთავი. ყუთლუს გაახსენდა მოკირწყლულ ქუჩებიანი, აღმართ—დაღმართებიანი უბანი და უცებ წარმოიდგინა მუდმივად მოფუსფუსე დედა, რომელიც ახლა წელებზე ხელშემოწყობილი მილასლასებს თბილისის კალოუბნის აღმართსე და თავის ერთადერთ შვილზე ფიქრობს. ძია მუხრანთან შეხვედრამ მშობლიური კერა მოაგონა ფარისმტვირთველს და, რაც მთავარია, ახალი თანამდებობისა და სამეფო მოწყალების დედისთვის მიხარება მოუნდა მას. ეჰ, როგორ გაიხარებს ხათუნი თავისი შვილის ჩინებულობით, — გაიფიქრა ყუოლუმ და დედა წარმოიდგინა, მაგრამ უეცრად საოცარი შიში მოაწვა მის გულს, შიში იმისა, რომ მეფის წყალობა არ დაეკარგა და უკვე შეჩვეული ახალი სამხედრო ჩინი პირიქით, ახალ, უფრო უკეთეს ჩინში გადაეზარდა.

— ფარისმტვირთველი მეფესთან, — შესძახა სამეფოს ცნო-

ბილმა მეკვირალმა და მალემსბორლმა ომახ ბარასკევაშ-ვილმა. ყუთლუ უეცრად ამ შეძახილზე წელში გასწორდა მასთან მოსაუბრე ათეულისთავის მრავლისმთქმელი სიტ-ყვა „ყუთლუ, იცოდე არ დაგვივიწყო", უპასუხოდ დატოვა და სამეფო კარვისკენ გაიქცა. მუხრან გაბლიძემ თვალი გააყო-ლა ფარის სიმძიმისაგან წელში მოხრილ, მორბენალ ყუთ-ლუს და შემდგომ ამაყად გადახედა თავის ხელქვეითებს.

ყუთლუ გარბოდა მეფის კარვისკენ და წინა დღეებში მოფიქრებულ სიტყვებს იმეორებდა. ამ სიტყვებს და მათში ჩაქსოვილ აზრს მეფის სპა გამარჯვებამდე უნდა მიეყვანა. ყუთლუ გრძნობდა, რომ მისი თეთრად გათენებული ღამეები, სწავლა და შრომა, რაც მთავარია ახლის მიგნებისა და ძველის გაუმჯობესების ბავშვური სურვილი, ვილაცას სჭირ-დებოდა, ვილაცას სჯეროდა. აქედან გამომდინარე, მეფის კარზე უეცრად დაწინაურებული ფარისმტვირთველი მის წინ უსარმაზარ, ჯერ შეუცნობელ ასპარეზს ხედავდა და ეს ხედვა ყუთლუს გამხდარ მკერდსა და მკლავებს უსარმაზა-რი ძალით ავსებდა თითქოს.

სამეფო კარავში ყუთლუმ თვალი გიორგი მეფეს მიაპ-ყრო. კარვის ბოლოს სავეელე ტახტზე იჯდა იგი — ფართო თვალწარბიანი, სწორ ცხვირიანი, გრძელი ფართო სახის მქონე, ჩამოგრძელებული, მკვეთრი ნიკაპითა და ულვაშ-წვე-რით შემკული ვაუკაცი, რომელიც თვალების ნელი მოძრა-ობით თანმიმდევრულად ათვალიერებდა კარაეში თავმოყ-რილთა სახეებს, მათ თვალებსა და ჩაცმულობას. გიორგი მეფე თითქოს თბილისშიაო თავის სასახლეში, მშვიდად ელოდა სამხედრო საბჭოს შეკრებას და იცდიდა.

სარდლებსა და ერისთავებს რომ მომცრო თავები და ვიწრო სახეები ჰქონდათ მეფესთან შედარებით, ყუთლუს შეუმჩნეველი არ დარჩენია. გიორგის ახოვნება მისიეე სიბ-რძნის ნიშნად ჩათვალა მან და უჩვეულო სიყვარულით შეხედა მეფეს, თან ხასიათის სხვადასხვა გამოვლინებას დაუწყო შესწავლა.

— წამიკითხეთ წერილი, — მიმართა მეფემ სწრაფად სამხედრო საბჭოს და თვალებით კარვის იმ ბნელ კუთხეს გაჰხედა, სადაც ყუთლუ იდგა. ფარისმტვირთველმა დაინახა

თუ როგორ გაიბრწყინეს მეფის თვალებმა და როგორ შეჰკრეს მათ არწივისებრი კამარა კარეის წევრთა თაყვებ'ზე და სახეებ'ზე.

„ჰოი, დიდებ'ულნო, საყვარელნო ჩემნო დიდნო და ძლიერნო, მთავარნო კეთილნო. მე, ივანე ორბელიანმან, აღმოვიკითხე წერილი სწავლებისა თქვენისა, გარნა მე არა მომწონს გან'სრახვა ესე თქვენი, რომელი მოგწერათ ჩემდა. კაცი, რომელიცა ი'შყებს სოფელთა ამათ და დაუტევებს ბრძანებასა უფლისასა, გარდაყალს აღთქმასა, იგი მიიღებს ნაწილი უარისმყოფელისა და უშრეტსა ცეცხლსა შინა დაიწვება და ეშმაკთა თანა დაედაღების“

აქ მეფის მესტურმე – ორატორი შეჩერდა და, თითქოს პირს ალიკაპი ეტაკაო, ხველება და ცხიკვება აუტყდა.

სპასალართა და ხეყისბერთა მომცრო თაყები ისევ ჩა'შტერებოდნენ თავიანთი ხმლების ტარებს და უგრძნობი, დაღლილი სახეებით ელოდნენ უსტარის კითხვის გაგრძელებას. მესტ'ურმე ცდილობდა ხელნაწერის კითხვა განეგრძო, მაგრამ ამაოდ ცხიკვება, ცხიკვებას მოსდევდა. – წყალი დაალევინეთ ამ კაცს, – თქვა ვიღაცამ სამეფო კარავში.

– წერილის კითხვას ფარისმტვირთველი განაგრძობს – ხრინწიანი უჩვეულო ხმით წარმოსთქვა უკვე გიორგი მესამემ და კარვის ჩაბნელებ'ულ ნაწილში უჩ'ემრად მიმალ'ულ ყუთლუს გახედა.

გულის ძგერა 'შეუჩერდაო თითქოს ყუთლ'უს, როცა მეფის სიტყვები მოისმინა და თავბრ'უს ხვევა იგრძნო, მაგრამ ანა'ხდეულად 'შემოჭრილმა ძალამ, მეფის თვალთა ელვამ, დიდებ'ულთა მისკენ მოტრიალებ'ულმა ამღვრეულმა თვალებმა იმწამსვე გამოაგდეს იგი კარვის ჩრდილებიდან და მეფის გვერდით ცხიკვებაამტყდარ, სირცხვილისა თუ გაციებისგან სულ მთლად გაწითლებ'ულ მესტ'ურმეს მიაგდეს. ყ'ეთლუმ უსწრაფესი მოძრაობით ხელთ იგდო ლორეს სანახებიდან გამოსროლილი, დაგორგლილი ბარათი, მოიძია საჭირო სტროფი და კითხვა განაგრძო.

– „მე კაცი ვარ წარმავალი. ორი დღის პატიუისათვის მე ვერა გარდაყალ მას, რომელიც აღმითქვამს და ვერცა უარვეყოფ ფიცსა მას საშინელსა...“

– „შესდექ! ყველაფერი ნათელია, – დაბალი ხმით ჩაილაპარაკა გიორგი მეფემ, კარავში მყოფთ დინჯად მოავლო თვალი და შემდგომ ყუთლუს შეხედა, შეხედა კი არა გულ–ღვიძლამდის ჩაუღრმავდა იგი ფარისმტვირთველის ყმაწვილურ მზერას, მიათვალმოათვალიერა მისი გონება და თვალის მიდამოები. ახალ სამოსზე დააკვირდა იგი ყუთლუს და საბჭოს წევრთა მიმართა:

– ცხარე ბრძოლა გველის ამაღამ, მთელ დღეს გაძლევთ მოსამზადებლად, სარდლებო, ყოველი ციხის კარის გასწვრივ ტარნები და თითო ბლისკინები დადგით, ყველა კარს ერთდროულად შეუტევთ და ვანანებთ იყანე ორბელიანს ამგვარი წერილების წერას, ახლა კი ჯარებს მიხედეთ, ნაშუადღევს ყველა საბრძოლო დასტას თვითონ მე დავათვალიერებ“.

მეფის სარდლები წამოდგნენ და კარვიდან გასვლა იწყეს. გიორგი არწივისებური მზერით ხვდებოდა და აცილებდა მათ ყოველთვის, ახლა კი იგი ოდნავ შეცვლილი და დაძაბული ჩანდა.

– დიდო მეფეო, ჰოი მაპატიე მე ფეხის მტვერს შენსას, – გულის ბაგაბუგით დაიწყო ფრაზა ყუთლუმ და მეფის წინ გაიშოტა

– რა არის ფარისმტვირთველო, – საველე ტახტიდან მარცხენა ფეხი ჩამოდგა გიორგიმ, თითქოს ადგომას აპირებსო, მერე შეჩერდა და მის წინ ხმელი ფიჩხივით წაქცეულ ფარისმტვირთველს ღიმილით უწყო თვალიერება.

– ადე, ადე, – გაფაციცებული დასტრიალებდა ყუთლუს შეშინებული მესტუმრე და ხანდახან მეფეს შეხედავდა – ადე, ადე, – აგრძელებდა იგი. – წარმოსდექი და რა გნებავს მითხარ, – უეცრად წარმოთქვა მეფე გიორგიმ და ანასდეული ღიმილი პირსახიდან მოიშორა.

– ჰოი დიდო მეფეო, მაპატიე მე უბედურს, – ალაპარაკდა ყუთლუ.

– რა უნდა გაპატიო მითხარი სწრაფად, – თქვა გიორგიმ მარცვალ–მარცვალ.

– ის რომ, დღენიადაგ თქვენ'ზე ვფიქრობ და თქვენს მაგიერად ვფიქრობ, – პირჩამხობილმა თქვა ყუთლუმ.

— რაო, რაო, ჰა, ჰა, ჰა, — გადაიხარხარა გიორგიმ და იმხელა სმით გადაიხარხარა, რომ მცველებს კარვის წინ თავადაც გაეცინათ მეფის ხარხარის ხმაზე.

— რაო, ვერ გა—ვი—გე, — კელაე განგებ დამარცელით და გამოთქმით თქვა სიცილისგან ლოყებაწითლებულმა გიორგიმ და იქვე მდგომ მეჯინიბეთუხუცეს ჭიაბერს შეხედა.

მომცრო ტანის, მაგრამ განიერი მხრებით დაჯილდოვებულმა შავტუხა და მელოტმა ჭიაბერმა ეჭვის თვალით მოათვალიერა ყუთლუს ზურგი, მაგრამ არაფერი უთქვამს.

— მეფეო, მეორე დღეა, რაც ჩემს გულში გესაუბრები, გელაპარაკები და გარწმუნებ, — აღლაპარაკდა ყუთლუ.

— მერე, მე რას ვშვები ამ დროს? — დაინტერესდა გიორგი.

— მე რომ გარწმუნებ, შენ არ იჯერებ მეფეო, როგორლაც არ მიჯერებ, სულ გესაუბრები მაგრამ...

— მაგრამ, ვჯიუტობ ხომ ასეა, — გახარებულმა წარმოთქვა გიორგიმ.

— ჰოი რომ ასეა, მეფეო. ბალღობიდან ყიცი თუ რა მნიშვნელობა აქვს არა ერთგვაროვან ფიქრს, არამედ, მრავალფეროვანს, წინააღმდეგობრივ აზრების მეჯერებას და მათ კელეეა—ძიებას.

— მოიცა, შეგირდად ხომ მაინც ვივარგებდი, ფარისმტვირთველო.

— როგორ გეკადრებათ... ის იყო დაიწყო ყუთლუმ, რომ მეფემ შეაწყვეტინა და თავად წარმოთქვა:

— როგორ გეკადრებათ, შეგირდად თუ გამოგად—გებით დიდად დამავალებთ, ახლა კი ფეხზე წამოდექი და მითხარი ეგ გულში ნათქვამი რჩევები, თორემ ლორეს ციხის კარებს მიგაყენებ დიდი კლიტით ხელში, ვინძლო გააღო იგი და ყველას ერთად შეგვიძლეე შიგ, — მეფის ხმას ცოტათი მოუთმენლობა დაეტყო, ჭიაბერმა იგრძნო რაღაც და ყუთლუ მარჯვენის ერთი მოძრაობით წამოაყენა.

ჭიაბერის ხელით წელში ძალით გამართული ფარისმტვირთველი ჯერ ჭიაბერს მიაჩერდა შიშით, მერე მან სწრაფად მსერა მეფის ფართო თვალებზე გადაიტანა, ნერწყვი გადაყლაპა და დაიწყო:

— იმ დროს, როდესაც ჩვენი ჯარი და თვითონ მე ფეხ-

ბამტვერი თქვენი მეფობისა ლორეს ციხისკენ მოედიოდით, გზად ფუძემდე დანგრეულს ატანძორად წოდებულ ნაქალაქარს მიეადექით. ჯარისკაცთა, რომელთაც სიქველესთან ერთად სულ დასვენებაზე უჭირავთ თვალი, არად ჩააგდეს დასტის უფროსის გაფრთხილება და სიმხურვალის გასაქარვებლად ყინულოვან ციე მდინარეს მიაშურეს. მეც გამიწია გულმა წყლის სტიქიონისკენ, მაგრამ შემაკავა ჩემი გამზრდელის დარიგებამ, დაპირისპირებულ სტიქიონთა ურთიერთშერწყმის შეუძლებლობის შესახებ. ამან გამაჩერა ნაპირზე და სულ მალე ციე სტიქიონში ჩაცვენილი ჩემი მოძმეების გულსაკლავმა კვნესამ და ტირილმა შემძრა.

თხუთმეტი მძლავრი აღნაგობის ქალაქელი შუბოსნიდან, რომელთა შორის ქართველნი, არაბნი, ქურთნი და სხვანი ერიენ, ათმა ძლივს მოახერხა ნაპირზე ამოსვლა, ხოლო ხუთი გულწასული და სასოწახდილი გამოვიყვანეთ საბლით მდინარიდან. მე ვუყურებდი თუ როგორი ტკივილით ჰგოდებდნენ ისინი. ნაპირზე დარჩენილი და ამრიგად, გადარჩენილი მეგობრებით ვსრუნავდი მათზე. ტკივილი რომელსაც ისინი შეეპყრო, მართლაც წააგავდა კაცისათვის აქეთ—იქიდან ნელ—ნელა შუბის გაყრას. სულ რამოდენიმე ხანში მათ სიკვდილი ელოდათ, რამდენიმემ ხმაც კი გაკმინდა და კბილების ჭრაჭუნი იწყო, ნიშნად სულთან გამოთხოვებისა. ჩემს მიერ ნანახმა სურათმა თავზარი დამცა და შემაშინა. თბილისელი შუბოსნები რამოდენიმე ხანში გამოეთხოვეთ ამ საზარელ ადგილს, რომელმაც უბრძოლველად მეგობრები დაგვაკარგვინა. მივდიოდით თაკარა მზის ქვეშ და ვფიქრობდი ამ შემთხვევაზე. ტკივილს ვგრძნობდი, მაგრამ მაინც ვფიქრობდი მის გამომწვევ მიზეზებზე და აი, რა დავადგინე — კაცთა მოდგმამ უნდა შეეიცნოთ ურთიერთ დაპირისპირებული სტიქიონთა მნიშვნელობა და მონაცვლეობით უნდა გამოვიყენოთ ისინი ჟამთა ცვლილების დროს. თქვენ ბრძანებთ დღესვე ვილაშქროთო ლორეს ციხესე, ვანანოთო წერილი გამომგზავნს სწორედ იმ ჟამს, როცა ციხე ლორესი აღტკინებული და მამაცია ივანე ორბელის სიტყვებით „მე კაცი ვარ წარმავალი და ორი დღის პატივისთვის ვერ გადავალ მას რაც აღმითქვამს“. მე

მწამს რომ მე თავად ციხეში რომ ვყოფილიყავი გამოკეტილი, ამ სიტყვებით გამამაცებული მთელი ძალით ვიბრძოლებდი და მოვკვდებოდი ივანე ორბელისათვის. წარმომიდგენია და თითქმის ვხედავ თუ როგორი სიმტკიცით გველის მთელი ლორე თავისი ციხიონითა და ტაძრეულით ამაღამ, თუ ხვალ გათენებისას. ივანე ორბელის ერისთავნი და ლაშქარი დღეს დაჭიმული მშვილდებით გაჰყურებენ მათი ციხიდან ჩვენს სნეულ ჯარს, რომელსაც სამეყო ჯარად არც კი განიხილავენ იქნებ!

— ხმა ჩაიგდე, თავხედო, რას უბედავ მეფეს! — შეჰყვირა თვალებანთებულმა ჭიაბერმა და გულმოცემული მიეარდა აღტკინებისგან გაფითრებულ ყუთლუს.

— ჭიაბერ, სუ! — ბრძანების კილოთი თქვა გიორგიმ, მბრძანებლურ თვალთა სხივები დინჯად მიაპყრო ყუთლუს, დააკვირდა მის სახეს, შეხედა მის ‘შუბლს, ატალღულ თმებს, ჩაუკვირდა მის თაფლისფერ თვალებს, შემცბარს და შეშინებულ მზერას და თქვა:

— რა შუაშია აქ სტიქიონთა ურთიერთბრძოლა და ის დავესხმები თუ არა ლორეს ციხეს ამაღამ,ახსენი ერთი.

— მაპატიე დიდო მეფეო, ჩვენი ჯარი და მეფე მისი ამჟამად ცეცხლს წააგავს, თუ დაუკვირდება კაცი. სამხედრო თათბირებზე ეგ ცეცხლი უფრო ღვივდება ხოლმე, არ აქვს მნიშვნელობა იმას თუ ვინ სდებს მუგუსალსა თუ ფიჩხს ამ მოგუსგუზე კოცონზე. ის იწვის და იგზნება, ისევე როგორც ცეცხლი, ჰერაკლიტესა და ბერძნების სიბრძნით გამოკვლეული. ახლა ვთქვათ ლორე, იოანე ორბელის ბანაკი და დემნა უფლისწული, რომელიც ასევე მეფედ არის გამოცხადებული მათი მსრიდან, ეგ ხომ ცეცხლია ჩემო კეთილისმყოფელო მბრძანებელო და ჩემო დიდო მეფეე. ივანე ორბელი, უფლისწული და ერისთავები ამ კოცონს აგისგისებენ, აფართოებენ მას და საქართველოს გადაწვით ემუქრებიან. ვის უნახავს კაცმა ცეცხლი ცეცხლით ჩააქროს ანდა ეროი სტიქიონი, იმავე სტიქიონით დაიმორჩილოს. აქ რაღაც საპირისპიროა საჭირო. საწინააღმდეგო სტიქიონია მოსაძებნი, შესასწავლი და მოსამარჯვებელი. ამ სტიქიონს კარგი დაუფლება სჭირდება. ცეცხლს ქალაქში ხან მიწას ვაყრიდით

შეშინებული ქალაქელნი, ხანაც მტკვრის წყალს ეასხამ-დით. ასევე ლორეს მის დამცველთ და ხელისუფალთ ცეცხლით კი არ უნდა უწამლოთ არამედ...

აქ კი მეჩერდა ფარისმტვირთველი, ფართოდ გახელილი თვალები გიორგის წითელ ქოშებს მიაპყრო და მტკიცე ხმით თქვა:

– არამედ, ამ წამლის მოფიქრება მეფეებმა უკეთ იცით და დაედუმდები, ისედაც შეგაწყინე თავი, ჩემო მეფეე.

სამეფო კარავში სიჩუმე ჩამოწვა. ოფლისაგან გაწუწულმა ჭიაბერმა მეფეს შეხედა. გიორგი, მხრებში გაშლილი, თავაწეული, სადღაც ყუთლუს თავს მიღმა იყურებოდა და როგორც ჩანს არსად ჩქარობდა.

– ლორეს გარშემო შემომდგარ დასტებს დასვენება სჭირდებათ და ხალისის მოგერა. თბილისელთაგან შეკრებილი მოლაშქრეები და მთიულნი ცალ–ცალკე იქარაყებენ დარდს და იერიშების შემდეგ სიმღერასა და ცეკვას მიეცემიან. რას იტყვი, ფარისმტვირთველო, თბილისქალაქური „ხაკანობა“ და ბერიკული ასპარეზობები, დადგმული ლორეს ციხის წინ, არ იქნება მძვინვარე ცეცხლის ჩასაქრობად და დასამშვიდებლად საჭირო გეენია? იქნებ ჩვენზე შემყურე, ციხეში გამოკეტილ აზნაურებს მოენატროთ მშვიდი და ტკბილი ცხოვრება, დაბრუნება თავიანთ ციხე კოშკებში და საერთო სიხარულით ხარება. სტიქიონია ურთიერთმოონაცვლეობა მათ საერთოდ გაუქმებას ხომ არ ნიშნავს, ჩვენი ბანაკი ძლიერია. მათი ციხე და თვითნებობა მტკიცე და შეუვალი. ლორეს სანახებს, „სახაკანოდ და საბერიკოდ“ უიარაღოდ მოდებული მომღერალი და მრიკავი მოლაშქრენი გაგვიხალისებს. ამიტომაც თუ მეთანხმები, ფარისმტვირთველო, შენ მოგენდობი. ლორელნი,მოლაშქრენი და თუნდაც ორბელნი მოგიწვეია სალაღობოდ. იერიში კი გამიუქმებია, გაიგოს ყველამ, – მეფე გამჭოლი მზერით დაჰყურებდა დაჩოქილ ყუთლუს და იღიმებოდა.

* * *

ლორეს ვეება კედლების სიღრმეში, თავად ციხეში, ზერდაგზე დადგმულ ტახტზე მჯდარ დემნა პირველს რამოდენიმე ერისთავი და ერთი უცხოელი – ჯეიმან ფეპლეანის ელჩი, ზორაბი უსმენდნენ გულისყურით.

ახალგაზრდა უფლისწული უბოროტო გულისწუხილით იხსენებდა თავისი მამის დავით V ღვაწლსა და სიკეთეს საქართველოს იმ ასნაურთა ოჯახების მიმართ, რომლებიც დღეს რატომღაც აგეიანებდნენ საყოველთაო ამბოხს ტახტის მიმტაცებლის ტირან გიორგის წინააღმდეგ.

დემნას თვალები ცრემლით ევსებოდა მამის ხსენებისას და საუბრის დროს თითქოს თავს იკავებდა უფრო ღრმა, ძალუმი გრძნობის გამოჩინებისაგან. ამასთან იგი თანდაყოლილი კეთილშობილებითა და დიდი სულგრძელობით ეპყრობოდა საკუთარ კარისკაცთ და მეომრებს.

ერისთავთა თაეში მჯდომი იოანე ორბელიანი, ახოვანი და ლამაზი მოყმე,ში'ბის ხარს გვრიდა მტრებს და აგულიანებდა მოყვრებს. თავად საფრთხისა და შიშის მიმართ უგრძნეული და „ყრუ" იყო იგი. მისი სიცოცხლე რწმენა იყო სიკეთისა და მიმდევრობა წესრიგისა. იოანე ორბელიანი საუბრის დროს მიწიერ ვნებებს დაგავიწყებდათ და საერო სახელის მოხვეჭის სურვილს გაგიჩენდათ. მოლაშქრენი იოანეს „დროშას" ეძახდნენ და იგი მართლაც საგმირო საქმეთა ჭური იყო. დაულეველ და წაუქცეველ იოანე ორბელიანს ომი ყოველდღიურ მამკაცურ საქმედ ჰქონდა გადაქცეული. მის ბანაკში იკრიბებოდნენ მაჰმადიან სულთნებზე თავდასასხმელად მომართული დიდგვაროვანი ასნაურები თუ მდაბიო მოლაშქრენი. ქართლის, ტაო–კლარჯეთის, მესხეთისა და იმერეთის, ეგრისისა და აფხაზეთის, ჰერ–კახთა და მთიულეთის, ოსთა და თბილისელთა, სომეხთა და ქურთთა ვაჟკაცები, რომლებიც ივერიის მზეს ფიცულობდნენ და მის დროშას ქედს უხრიდნენ – იოანე ორბელიანს მოყმეთა მოყმედ, გმირთა შემკრებად და თავად გმირად სთვლიდნენ. ამავე

დროს თეით მეფე გიორგი მესამე, ლაღი და უცთომელი მოისარი, დასტათა და ყოველთა სამხედრო წყობათა მცოდნე, დაეით IV აღმაშენებლის, დემეტრე პირველის საქმეთა გამგრძელებელი და, რაც მთავარია, მეფე, დღევანდელი დღის გამრიგე დიდი სიყვარულით სარგებლობდა მხედართა და ლაშქართა შორის. ხალხის სიყვარული იოანე ორბელიანისა იყო მხედრული სიყვარული გმირის მიმართ, მაშინ როცა ხალხის სიყვარული და ეშხი გიორგის მიმართ იყო სიყვარული, რწმენა მაშრიყიდან მაღრიბამდე, ევროპიდან აზიამდე სახელოვანი სამეფო გერბის, დროშის მიმართ, რომელზეც ებრაელთა მეფის დავითის შურდული და უფლის ჩვენის იესოს კვართი ისახებოდა. სწორედ ამ გერბის, დროშის, ტახტის და სხვა საკრალური სიწმინდის მფლობელი იყო გიორგი მესამე.

ეს ყოველივე კარგად იცოდა იოანე ორბელიანმა და ყოველივე ეს გულის გულში აშფოთებდა მას ფარულად. მომთაბარე და უგულო თურქმენი ან კიდევ ხაზარი რომ ყოფილიყო იოანე, მაშინ არ გაუჭირდებოდა მას გიორგისთან ბრძოლა სიმართლისათვის. მაგრამ არ იყო იგი მომთაბარე, უჯილაგო კაცი და ამიტომაც მის წინ აღმართულ გიორგის დროშას, უფლის კვართსა და დავითის შურდულს ვერ შემოსცემდა იგი მახვილს. ვერ შემოსცემდა შუბსა და საკუთარ მრისხანებას.

ქრისტეს მეომარი იყო იოანე ორბელიანი, გაქაფებულ განწირულ ომებში ქრისტეს სამსჭვალი გახსენებია მას და იმედმოცემულს მოუგია კიდეც ეს ომები უფლის მოყვარულს. ახლა დემნასთვის ომობდა იგი და არა საკუთარი აღზევებისათვის. ან კი სად უნდა აღზევებულიყო ორბელიანი აწი თუ არა იქ, მაღლა, სულით მტკიცეთა და სიმართლისათვის დევნილთა სასუფეველში.

მეორე კაცი იყო ქვეყანაში იოანე ორბელიანი, მეფობა? ამაზე არც კი უფიქრია მას, აბა სად მეტად ან საით უნდა გაჭრილიყო ახოვანი, შემართული ტკბილხმოვანი და მაღალაზროვანი მოყმე, არც არსაით... ცათა სასუფეველის გარდა. მართლაც რომ ლომისა და ვეფხვის ბრძოლას წააგავდა იოანესა და გიორგი მეფის ჭიდილი.

მართალ საქმეს ჩაუდგა სათაეეში იოანე ორბელიანი, კანონიერი უფლისწულის ტახტზე აყვანის საქმეს. დემნა უფლისწულის გამეფებას არა მარტო ბიძის, გიორგი მეფის აეი ზრახვანი ეღობებოდნენ წინ, არამედ ის გარემოებანი, რომლებიც სამწუხაროდ წარსულიდან სამემკვიდრეოდ ერგო მას.

დავით აღმაშენებლის შვილის დემეტრე I მეფობა ქვეყნისათვის ბრწყინვალებით დასრულდებოდა, რომ არა დემეტრეს მემკვიდრის დავითის სწრაფვა მეფობისაკენ. დავითი მამის ტახტიდან გადაყენებას და მონასტერში მის ბერად აღკვეცას დიდი ხანია ლამობდა. დემეტრე პირველს აღვირახსნილი კანონიერი მემკვიდრისაგან თავის დასაცავად უმცროსი შვილი გიორგი, ახლანდელი გიორგი მესამე შეელოდა. დავითმა საბოლოოდ მაინც აჯობა მამასა და ძმას. იგი მრავალრიცხოვანი „მიმდგომებითა და მოკიდულით“ გამთენიისას შეიჭრა გეგუთის სასახლეში და საპატიო ტყვედ აქცია დემეტრე მეფე. ამის შემდგომ დავითი V ბაგრატიონი ქვეყნის მართვასა და თურქ-სელჩუკების წინააღმდეგ ბრძოლებს იწყებს, ხოლო გიორგი უფლისწული განდეგილი უგზოუკვლოდ დაეხეტება ოვსთა მხარეში, სადაც იგი ნართების მეფის სიძე და რძე-ღვინით ნარევი უმშვენიერესი ბურდუხანის მეუღლე ხდება.

ოვსთა და ალანთა სახელოვანი სიძე სულ მალე დაუჯერებელ ამბავს მიიღებს თბილისიდან, სადაც განუკურნებელი სენისაგან სულს ღაფავს დავით V ბაგრატიონი, რომელიც სიკვდილის წინ მამასთან და ძმასთან შეხვედრას და შერიგებას ლამობს.

ახოვანი, ოსი მოყმეებით მსარგამაგრებული, მთიდან დაჟრული მეწყერივით შემოიჭრა გიორგი თბილისს, შევარდა სამეფო სასახლეში, ძმაო! – შეჰყვირა და დავითის უძრავ ნაკვთებს და სამუდამოდ დახუჭულ თვალებს ჩააკვირდა.

თეთრი წვერით მოსილი გამხდარი და სიბერისგან დალეული მოხუცი ტახტრევანით შემოიყვანეს მოყმეებმა და უძღები შვილის სასთუმალთან მოწიწებით დადგეს. „მამავ“ შეჰყვირა მაშინ გიორგიმ და ტახტრევანზე მხრებჩამოყრილ მჯდომარე მოხუც დემეტრე მეფეს გადაეხვია. „შენ რომ არ

მყავდე, დღეს უკვე ცოცხალი აღარ ვიქნებოდი", – ჩიფჩიფით უთხრა დემეტრემ შვილს და სისხლისაგან დაშრეტილი თეთრი თითები სახეზე მოუცაცუნა მას.

მეფის დასაფლავების დღეს გელათის მონასტერში, როდესაც თორმეტი ათასი მოლაშქრე ჩოხებს იგლეჯდა და მწარედ ჰგოდებდა, წაკითხული იქნა დავითის ანდერძი, სადაც იგი მამას დემეტრეს პატიებას სთხოვდა და მკირეწლოვან შვილს დემნას იგივე დემეტრეს აბარებდა მშობელს. „'უკეთუ იმეფოს 'შვილმა ჩემმა დემეტრემ", – ყრუდ ჩაიკითხა ანდერძი სამეფო კარის ორატორმა ბარასკევაშვილმა და არც არვინ წასულა წინააღმდეგი, მიცვალებული დღემოკლე მეფის დავით მეხუთის ბოლო სურვილისა. სამეფო უფლისწულად გამოცხადდა დემეტრე–დემნა ბატონიშვილი, ხოლო მის მეურვედ ბიძამისი გიორგი დამტკიცდა.

ტახტზე კვლავ დაბრუნებულმა დემეტრე პირველმა, მითქმამოთქმისა და დაძაბულობის თავიდან ასაცილებლად თავისივე სიცოცხლეშივე გაამეფა ერთგული შვილი გიორგი, გიორგი მესამედ წოდებული.

ამ დღიდან მოყოლებული დემნა ბატონიშვილს ჩუმად მეურვეობს იოანე ორბელიანი, ეცოდება უმამოდ დარჩენილი ბალღი. ამასთან ერთად ბაგრატიონთა სახლის გამგრძელებელს იგი სხვას ვერავის ამჩნევს. გიორგი მესამეს მარტოოდენ ქალი აჩუქა უფალმა. თამარი ჰქვია მას. მუდმივად საავდრო ღრუბლებით შემოჯარული ქრისტეანულ ივერიას რომ ქალი ვერ მართავს ეგ დღესავით ნათელია. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ დემნა, დავით აღმაშენებლის შვილთაშვილია, მასავით მწვანე თვალებითა და წაბლისფერი თმებით დაუჯილდოვებია იგი არსთა გამრიგეს.

დავით აღმაშენებლის ხსენება აფორიაქებს იოანე ორბელიანის მშვიდ სულს. იგი სულმნათი მეფისა და უპირველესი მეომრის ანდერძს იხსენებს, რომელსაც ამ ცოტა ხნის წინათ ცოდნისა და წიგნის კაცებში თავად განიხილავდა გიორგი მესამე და მომხსენებელს უსმენდა გულისყურით.

– დიდო მეფეო, – ამბობდა მწერალი ჯავარ, ანდერძში სწერია შემდეგი...

„... მიეანდუენ შვლნი და დედოფალნიცა, შუამდგომლო-

ბითა თუთისათა, რათა ძმა მისი გაზარდოს და თუ ინებოს ღმერთმან და ვარგ იყოს ცუატა, შემდგომად მისსა ჰყოს მამულსა ზედა“ – დიდ ძოწყალე მეფე აწ განსუენებული დავით მეოთხე უშვებს უმცროსი შვილის გამეფების შესაძლებლობას და ამით პირმშოობას სცელის ახალი წესით.

ამგვარად, დავით აღმაშენებელმა, მეფეთა შორის პირველმა შეცვალა სამეფო ტახტის მემკვიდრეობის განაწესი“.

მეფისა და წიგნის კაცთა ამ თათბირსე დიდი ეჭვი გაუჩნდა იოანეს. როგორ, ნუთუ პირმშოობის ანუ სამეფო კვართის მამიდან შვილზე გადაცემის წესის შეცვლა უნდა გიორგი მესამეს და ამიტომაც იქექებიან ეს მწერალნი წინა მეფეთა და უპირველეს ყოელისა დავით აღმაშენებლის სამეფო ბეჭდით დამტკიცებულ ფოლიანტებში.

სახელმწიფო, მეფობა და პირმშოობა – იოანე ორბელიანმა ამ სიტყვათა ერთგულება და სამსახური კარგად იცის. აბა რას უნდა მოასწაეებდეს დავით აღმაშენებლის ანდერძის ახლებური კითხვა გიორგი მესამეს ქვეშევრდომთა მიერ. თუ არა საკუას და განდგომას იმ კანონისაგან, რომელიც ქვეყანას, პატრონს, მეფეს პირმშოობით ჩააბარებდა და არა ომითა და დავიდარაბით.

ისიც იცოდა იოანე ორბელიანმა, წიგნიერმა მოყმემ, რომ დავით აღმაშენებლის ანდერძში დადგენილი სამემკვიდრეო წესი იყო კერძო ხასიათის. იგი მეფის უსომო სიყვარულს ასახავდა უმცროსი შვილის ცუატას მიმართ. ამიტომაც ამგვარ მუხლს დავითის ანდერძისას არ შეეძლო განესაზღვრა ივერიის სამეფო ტახტის მემკვიდრეობის შინაგანაწესი.

ამას ამბობდა და ამტკიცებდა იოანე ორბელიანი და უწყმრად მოყვრებსა და დასაყრდენ ძალას უმზადებდა მცირეწლოვან დემნას – ივერიის მომავალ ხელმწიფეს.

დემნას მცირეწლოვნება ზედმეტად გაიწელა და განივრცო. აქამდე საქართველოს ტახტზე მეფენი გაცილებით უფრო მცირეწლოვანნიც უკურთხებიათ. ბაგრატ მეოთხე, დავით აღმაშენებელი თითქმის თექვსმეტი წლის გამეფდნენ. დავით მეხუთის საბრალო ვაჟის დემნას მცირეწლოვანება არც თექვსმეტი, არც თვრამეტი ან ოცი წლის ასაკში არ დამთავრდა, რამაც ძალზე შეაშფოთა მისი მომხრენი

და დავით მეხუთის პირადი თანამებრძოლები.

„... იმეფა გიორგი წელსა ოცდაერთსა და ოდეს მოიწია ჰასაკად დემნა". ანუ სამეფო კარს დემნა მხოლოდ 21 წლის ნაუთელია ასაკში შემდგარად, დაკაცებულად.

ჰოდა დაკაცებული, ჰაეროვანი ჭაბუკი – გაჭიანურებულ მცირეწლოვნობასთან ერთად გამოეთხოვა მშვიდ ცხოვრებას, მიჯნურსა და მეუღლეს და ბაგრატოვან ხელმწიფეთა მშფოთვარე წარსულის სამემკვიდრეოსთან ერთად ლორეს ციხეში, მომხრეებთან ერთად გამოკეტილი ვინ იცის რას ელოდა?

გულ–ღვიძლი ეწვოდა სიბრალულით ამ ყოველივეს გახსენებაზე იოანე ორბელს. სიყვარულით უმზერდა იგი საკუთარ ხელმწიფეს დემნას, ყურს მიუგდებდა მის საუბარს ლორეს დამცველ ერისთავებთან და უმალ ლაშქარს დაუბრუნდებოდა, სადაც მომღიმარი სახეებით ხედებოდნენ მეომრები. მდაბლად ესალმებოდნენ დასტის უფროსები და მხედრები. ფარებითა და მოლაშქრეებით აფაფრულ ლორეს კედლებზე საათობით იდგა იოანე სარდლებთან ერთად და მომავალი დღის სტრატეგიას არჩევდა. ფიქრობდა სად უნდა დაერტყა გიორგის მხედრობისათვის, რომ ეროი დაკერით, ერთი იერიშით გაეხსნა გზა თბილისისაკენ. სამეფო ლაშქრად თავის რაზმებს სთვლიდა ორბელიანი, სწორედ ამ ლაშქრით შესაძლებელი იყო ბრძნული, დაგეგმილი ბრძოლა, ეპამინონდას, ალექსანდრეს ან კეისრის მსგავსად, ეროი იერიშით წინ თბილისისკენ, სამართლიანობის გამარჯვებისაკენ გაჭრა.

ზერდაგზე აღმართულ ტახტზე მჯდომი დემნა თითქოს მართლაც რომ წააგავდა დავით აღმაშენებელს გელათის მხატვრობიდან. მის ქვეეით თმაწეერგაფოფრილი ერისთავები დაღლილი სახეებით უჭერეტდნენ მას და დემნას ბევრდით მდგომ იოანე ორბელიანს. იოანე ერთგული ლომივით აძლიერებდა და ძალას მატებდა დემნას ტახტს. წეერგაფოფრილი ერისთავები ლორეში ორ რასმეს უფრთხოდნენ ამ დროს: გარედან გიორგი მესამეს მრისხანებას, ხოლო შიგნიდან იოანე ორბელიანის სიქველეს. თითქოს ეს ორი კაცი აწონასწორებდა ძალთა დაპირისპირებას და

არსებულ მდგომარეობას.

გიორგი და იოანე სასწორის სხვადასხვა მხარეს თანაბარ ზომიერი სიმძიმით განიწონიდნენ ქვეყნიერების ნიჭსა და მღელვარებას, ხოლო აებედითი დემნა სასწორის ღერძი იყო ამ დროს.

* * *

გამთენიისას,როცა ლორეს გარე ცხოვრებიდან მაღვიძარად დატოვებულმა მამალმა იყივლა, იოანეს დარბაზის კარზე ვიღაც აქოშინებული შემოვარდა და მთავარსარდლის მცველებს ორბელიანთან პირდაპირ საუბარი მოსთხოვა.

მცველებმა იცნეს მზეერავთა რაზმის უფროსი ლასურისძე და საქართველოს ამირსპასალართან უიარაღო შეაბრძანეს იგი.

იოანე ორბელიანი სამხედროდ გამოწყობილიყო და ლორე'ში გამოწრთობილ მახვილებსა და ჯაჭვკურტაკს ათვალიერებდა. მას გვერდით ართავაზის ძე შოთა ედგა და დაბალი ხმით რაღაცას ელაპარაკებოდა ამირსპასალარს.

ლასურისძემ უმალ დაიჩოქა იოანეს წინაშე და დაიწყო:

– ბატონო, ამირსპასალარო, რაღაც უსვეულო ხდება ტახტის მიმტაცებლის ბანაკში!

– რაო, საომრად ემზადებიან, ალბათ, ნამუსმა თუ შეაწუხა ეგ კაცი, შემდეგ სისხლით შეეცდება თავის დამშვიდებას, – თქვა იოანემ ჩვეული სიმშვიდით. ყველამ გაიგო თუ ვის ეხებოდა სიტყვა – ეგ კაცი – და გაირინდა.

– არა მგონია საომრად ემზადებოდეს მტრის ბანაკი, აქ რაღაც სხვა ამბავია,– მტკიცედ თქვა ლასურისძემ, თავი დახარა, თითქოს რაღაცის თქმა უნდა და სიტყვებს ეძებსო.

ლორეს სანახებიდან მოვარდნილმა შეძახილმა და ყიჟინამ ჩაფიქრებიდან გამოიყვანა ორბელიანი და იგი, როგორც ვეფხვი ნადავლის ხელში ჩასაგდებად შემართული, მრავალრიცხოვან მოყმეებთან ერთად სათვალთვალო კო'მკისკენ გაეშურა, ლასურისძე უკან მისდევდა ამირსპასალარს და

რაღაცას თავისთვის ბუტბუტებდა.

– რამ შეგაფიქრიანა ლასურ, ვინმემ ხომ არ დაგიფრთხო სანაქებო სიმშვიდე და განსჯის უნარი, – უცებ შემოუტრიალდა იოანე ორბელიანი მზეერავთუხუცესს და მეგობრულად ხელი დაპკრა მას მხარზე.

ხელის დაკვრით ვეება საგუთნე ძელებს რომ ამტერევდა, ამჯერად მხოლოდ მსუბუქი დარტყმით შემოიფარგლა ტანდაბალი მზეერავის მიმართ იოანე, მაგრამ ეს დარტყმა ნიშნავდა „ლასურ, ხალხს ნუ მიფრთხობო". სათვალთვალე კოშკზე ამავალ ორბელიანს, მეორე მძლავრი ყიჟინა შემოესმა ლორეს სანახებიდან,დარჩენილი საფეხურები მსხვილბარკლიანმა მოემემ სწრაფად აირბინა და დაკბილულ საბრძოლო ქონგურებს შორის მომწყვდეულ გარემოსა და არემარეს გადახედა და გაკვირვებისაგან გაშრა.

იქ, სადაც ადრე გიორგის დასტათა სამხედრო მიწაყრილები და ფიცრულები იდგა, ახლა თბილისური ჩამომაყლობის ხალიჩები, ფარდაგები და სხვა მრავალი ფერთა სიჭრელით გამორჩეული ქსოვილი ეფინა. ერთ ადგილას ბორცვზე რამდენიმე კაცი სასაცილო ტახტს, დგამდა. ხოლო ჯარი, გიორგის მხედრები არსად სჩანდნენ, თუმცა...

გორაკს გადაღმიდან გამოჩნდა გაურკვეველი ბრბო, რომელთა ტანისამოსმა და გარეგნობამ განაცვიფრა ორბელიანი. რამდენიმე ათას კაცს, რომლებიც შეძახილებითა და სიმღერებით მოემართებოდნენ ლორესაკენ,წოწოლა ქუდები ეხურა თავს, ხელში უმეტესობას ჟანგიანი შამფური უპყრა, რომელზედაც ვაშლი ან ხახვი იყო წამოგებული. გადმობრუნებული ტყაპუჭი და გამურული სახეების გარჩევაც მოახერხა იოანემ და ამ დროს რამოდენიმე ასეულმა მედოლემ შეთანხმებით დაცხო დოლი და ასევე ასეულმა მეზურნემ ზურნა დააჭყვიტინა ლორეს კედლებს ქვეშ. „საცეკვაოა", აბა მიდით ბიჭებო, დაცხოთ, დაცხოთ!" – ეს სიტყვები შემოესმა ქონგურზე მდგარ ორბელიანს მაშინ, როცა მიუახლოვდა ციხისთავი და შეეკითხა – „როგორ მოვიქცეთ, ამირსპასალარო, ისრები ხომ არ ეკრათ ამათ?".

უშიშარი ამირსპასალარი მიუტრიალდა ციხისთავს და უთხრა – „აქ რაღაც ცბიერებაა, მომზადდეს ყველა და მერე

გაეერკვეთ როგორ მოეექცეთ ამ ხალხს". იოანემ მზერა მიაპყრო თავის ერისთავებს. ასე რომ ლამობდნენ მიმხვდარიყვნენ მოცეკვავეთა და მომღერალთა გამოჩენის მიზეზს, მაგრამ ვერ გარკვეულიყვნენ და ის იყო რაღაც უნდა ეთქვა, რომ სათვალავი კოშკის ბაქანზე დემნა გამოჩნდა.

ნიავი უტალღავდა თმებს დემნას, მეტად მომხიბლავი იყო უფლისწული და მისი თვალები ისეთი ნდობისა თუ სიკეთის გრძნობით ავსებდა სივრცეს, რომ იოანემ მის დანახვაზე გაიფიქრა „საბრალო ბატონიშვილი, ამ ერისთავების ხელში, რაღაცით წააგავს კიდეც მონადირეთა მიერ შეპყრობილ ირემს". „ჩემო იოანე, — წარმოთქვა დემნამ — ბიძაჩემისაგან ამ წამს წერილი მივიღეთ, რომელშიც იგი გულმხურვალედ მოგვიწოდებს ციხის კედლებთან გავმართოთ ასპარეზობა და ბერიკობა, დავასვენოთ ჩვენი გათანგული მეომრები და ვიმხიარულოთ ისე, როგორც შარშანდელ „ხაკანობის დღესასწაულსე" ქალაქ თბილისში".

— იოანე არ ელოდა ასეთ წინადადებას მეფისგან, რომელიც გულღრძო კაცად მიაჩნდა ყოველთვის. მან ჩაიკითხა დემნას მიერ მოწოდებული წერილის ბოლო სტრიქონი, დააკვირდა გიორგის ხელრთვას და დემნა უფლისწულს, მის მიერ მეფედ ნაკურთხებ დემნა I შეხედა და თქვა:

— „ჩემო მეფეო, მდგომარეობა განსჯასა და დაფიქრებას მოითხოვს, ამიტომაც მე გთხოვთ მოვიწვიოთ ერისთავნი და განვსაჯოთ როგორ მოეიქცეთ და რა ვუპასუხოთ ლორეს მოალყეთ, რომელთაც გაუგონარი სიბრიყვე გამოუჩენიათ და კანონიერების მტრობასთან ერთად უმსგავსო მანჭვა—გრეხვით უნდათ ჩვენი ციხიდან გარეთ გატყუება და ამ სამარცხვინო ფერხულში მეფის ლაშქრის ჩაბმა".

დემნამ ამ სიტყვათა გაგონების შემდეგ ქონგურებს მიუახლოვდა და ლორეს ყეება კედლის მიერ დაჩრდილულ ადგილას დაბანაკებულ ბერიკებსა და მსახიობთ გახედა, უეცრად უფლისწულმა თავი ვერ შეიკავა და ხმამაღლა გადაიხარხარა, ქონგურებთან მიცვენილმა თმაწვერგაფოფრილმა ერისთავებმა ხარხარი დაიწყეს.

— „ხაკანი, ხაკანი დაგორავს, — ეა, ჰა, ჰა, ჰა, შეხედეთ იმ წვერცანცარამ საჯდომსე მოუკიდა ხაკანს ცეცხლი", — ახარ-

ხარდა დემნა თავდავიწყებით და ერისთავთ, წითელკუდიან და თავზე იმ ქოთანდადგმულ ბერიკაზე მიუთითა, რომელიც ქართველთა და განსაკუთრებით ქალაქ თბილისის ძველ მტერს ხაზარ მოძალადეთა მეთაურს „ხაკანს“ განასახიერებდა. ლორეს მეციხოვნენი ახლო მდებარე კოშკებიდან ცნობისმოყვარე მზერით უჭერეტდნენ ბერიკათა წარმოდგენას. ზოგიერთ მათგანს ელიმებოდა კიდეც კურტუმოგაზნექილი „ხაკანისა“ და მისი „ამალის“ ოინბაზობის შემყურეს. იოანე ორბელიანი შეჰყურებდა დემნას, ერისთავებს და მეციხოვნებს,რომლებიც „უჭკუოდ მხტუნავ“ ბერიკათა ლაშქარს, სიცილისა და ღლაბუცის ხასიათზე მოეყვანა და საჩქაროდ თავისთავში იმ გადაწყვეტილებას ეძებდა, რომელიც ამ მდგომარეობიდან მასსა და მის ლაშქარს გამოიყვანდა და ჩვეულ სამხედრო სიმტკიცეში, ჭირთა თმენაში, გამარჯვებისაკენ სწრაფვაში დააბრუნებდა. რამდენიმე ჩვეული ბრძანება ენის წვერზე ადგა იოანე ორბელიანს, მაგრამ იგი ყოყმანობდა, თავს იკავებდა, სათქმელის სიზუსტეს ადგენდა და დარტყმისათვის სწორ მიზეზს ეძიებდა, მაგრამ ამირსპასალარის გონი სავსე იყო იმ მრისხანე, გულში ჩამწედომი შეძახილებით, მხედრული მოწოდებებით, გულგამგმირავი მუქარითა თუ ცეცხლოვანი ყიჟინით, რომელიც შუა ბრძოლაში თუ ბრძოლის დასალიერს ყოველთვის მისი ლაშქრის გამარჯვებას,ომის გარდატეხას,მოწინააღმდეგის სულიერ გატეხვას მოასწავებდა. ახლა კი, ბერიკათა, სახეგამურულ, შამფურზე ხახვწამოგებულ მდაბიო და მომღერალ მსახიობთა მანჭვაგრეხის წინააღმდეგ ვერც ერთი აქამდე სვიანად ნახმარი ბრძანება ვერ გამოადგებოდა ამირსპასალარს. ვაი, რომ ვერ გამოადგებოდა. ისიც იცოდა იოანე ორბელიანმა, რომ რჩევა უნდა ეკითხა ასეთ დროს, საერთო აზრი შეეკრიბა და მერე ემოქმედა თავისუფლად, ამიტომაც მან კიდევ ერთხელ გადახედა ლორეს სანახებს, ცოტა ხანს ჩუმად უმზირა ლორეს ციხის წინ ბუნებრივად არსებულ ღრმულზე ამფითეატრივით მოწყობილ ბერიკათა ბრბოს, სახელდახელოდ გამართულ ტახტზე დაბრძანებულ ქოთნის გვირგვინით დამშვენებულ „ხაკანს“, მის მოახლე ფარეშების ტუტუცურ ქცევას და სათვალთვალო კოშკიდან

ჩაფიქრებული დაბლა ჩაბრძანდა.

ერისთავებმა იგრძნეს იოანეს ძირს ჩასვლა და უმალვე უკან მიჰყვნენ მას. სათვალთვალო კოშკის ბაქანზე მხოლოდ დემნა I და მისი მცველები იდგნენ ცოტა ხანს და შემდეგ ისინიც სათათბირო დარბაზის მიმართულებით წავიდნენ. მანამ, სანამ საოსტინგოს კარს შეეხებოდა დემნა ბაგრატიონის სამეფო მარჯვენა, მის ამალას პირზე ღიმილმოფენილი არაბი ვაჭარი მიუახლოვდა, დაუჩოქა და დემნას საჭურველმტვირთველს თხოვნის ბარათი, საგულდაგულოდ დაკეცილი პერგამენტი გადასცა. თავის ოდნავი დახრით მიესალმა დემნა მისთვის უცნობ ამ არაბს და ბალღობიდანვე თანდაყოლილ ჩვეულების თანახმად უმალვე არაბის თვალწინ გახსნა პერგამენტი და გაოცდა. პერგამენტში, ბიძამისის გიორგი მეფის წერილი იყო ჩაკუჭული. ბიძის ხელრთვა უმალ გაარჩია დემნამ, სული აუფორიაქდა, გულისცემა აუჩქარდა როცა წერილის შუა წელს გადააკლო თვალი, — „მეფობას ნუ შემეცილები და რადგანაც არც ისე ახალგაზრდა ვარ და არც ძალიან ბებერი, შენ შენსას ბიიღებ,მაგრამ არა ხვალ,როგორც ამას ლამობდი და არც ისე დიდი ხანი მოგიწევს მოცდა, როგორც ჩვენი მტრები გარწმუნებენ. თან ისიც გაითვალისწინე, რომ ქალის მამა ვარ და ერთადერთი შენ მიმაჩნიხარ ჩემი მეფობის მემკვიდრედ და ბაგრატოვანთა მახვილად. მაგრამ იცოდე სამეფოს ჩვენსას განმტკიცება სჭირდება და ამიტომაც ნუ ახარებ ჩვენთა მტერთა გულს, რომლებიც ისევ შენი სამეფოსა და მეფობის დამხობას ცდილობენ. გირჩევ, გამოდი ციხიდან და გაახარე გული ბიძაშენის, მეფის შენის და სახლეულის ჩვენის“. ბოლო სიტყვები ვეღარ გაარჩია დემნამ. კიდევ ერთხელ შეათვალიერა არაბი ვაჭარი, წერილი უბეში ჩაიკუჭა და საოსტინგოს თაღოვან ტალანს მიჰყვა.

„როგორ ჩანს ბევრი მზვერაები და დამსმენი მონა ჰყავს შემოგზავნილი ლორეში გიორგის“,— ვაუელვა დემნას,როცა სამხედრო თათბირზე შევიდა და ერისთავთა და წინამძღოლთ გადააკლო მზერა

* * *

ლორეს ციხის სანახები ბრწყინვალე ადგილი აღმოჩნდა „ხაკანობის“ დღესასწაულის გამართვისათვის. კედელგანიერ, შეუპოვარ კოშკებს შორის არსებული ჩაღრმავება მრგვალი, ამფითეატრის მსგავს კონუსური ფორმის სივრცეს წარმოადგენდა. რაც შესანიშნავად გამოიყენა „ხაკანის“ სამსახიობო ხელოვნებისათვის თბილისიდან ჩამოყვანილმა ბერიკათუხუცესმა. ტახტი სწორედ იმ ადგილას დაადგმევინა,საიდანაც მას ლორეს ყველა კოშკი და თვით ქალაქის დასახლებაც უმზერდა. ბერიკათუხუცესი გამიზნულად სწორედ ლორეს მცხოვრებლებზე იქცეოდა,რადგანაც სჯეროდა მათი ცნობისმოყვარეობის და თბილისელ ბერიკებთან პაექრობის სურვილის.

ბერიკათა ლაშქარი ღრიანცელითა და სიცილ–ხარხარით შემოწყო „ხაკანის“ ტახტს, სადაც დიდი შაითანი მკვირცხლად იქნეოდა ხელფეხს, ყვიროდა ათასგვარ სისულელეს, პაერში ისროდა თავისსავე გვირგვინს, უფრო სწორედ დიდ წითელ ქოთანს, რომელსაც ცხვირი ოდნავ ჰქონდა ჩამომტვრეული. „ხაკანი“ ყოველი „ბრძანების“ შემდეგ თვითონ მოგორავდა თავისივე ტახტიდან და მისი უკან აყვანა ბერიკებს უხდებოდათ. რამდენიმე ჩამოვარდნის შემდეგ „ხაკანმა“ წითელი ქოთანი ჰაერში შეისროლა და ცეცხლოვანი დაელური დაუარა ტახტის წინ, მოტკეპნილ მიწასე. უეცრად ერთ–ერთმა ხაკანის ამალაში მყოფმა ბერიკამ, საწყალობლად შეჰყვირა და ყრუდ დაეცა. „ხაკანმა“ იკითხა რა მოხდაო და ცოტათი დაფრთხა კიდეც. ამ დროს მას კომბალიანმა, დაკონკილმა ბერიკებმა ამ ცოტა ხნის წინ ჰაერში ასროლილი ქოთანი–გვირგვინი უპოვეს და მოართვეს. „ხაკანმა“ ყურადღებით შეათვალიერა თავისივე გვირგვინი და იკითხა, თუ რატომ იყო ის სისხლიანი, რასუდაც პასუხი მიიღო, რომ საბრალო ბერიკას, რომელიც მწარედ ყვიროდა სწორედ ეს ქოთან–გვირგვინი დასცემია თავზე და ამიტო-

მაც მისი გატეხილი თავი და ის სისხლი, რომელიც ამ ქოთანზე უხვად ეცხო, ეხლა „ხაკანს“ უნდა აენახლაურებინა. „ხაკანი“ ამ სიტყვებზე შეფიქრიანდა და უმალ დაზარალებული ბერიკას მოყვანა ბრძანა, რაც მას სწრაფად შეუსრულეს.

– რას მთხოვ ძვირფასო?

– თუ გინდა გადაერჩე, ერთი თხოვნა შემისრულე! ამოიხრიალა ბერიკადჩაცმულმა ჭაბუკმა, რამაც ყველას ჩააწყვეტინა ხმა.

– აბა მიბრძანე?! – თქვა „ხაკანმა“ დიდი გულისყურით და თავი ჩაჰკიდა.

– რაც ჯერ არ მქონია, ეგ ხომ ცოლია, ამიტომაც გთხოვ შენი ქალი მომათხოვო, გამიგე? – დამარცვლა სიტყვები ბერიკამ და თვალები მილულა.

– ცოლი რად გინდა, ჩემს ცხენს გაჩუქებ, – უპასუხა გაჯავრებულმა ხაკანმა და ამ დროს მისი ტახტის უკან ურცხვად მორთული ხაკანის ასული გამოჩნდა. ფატითა და ჯილით მორთული ხაკანის ასულმა სულ გააგიჟა დაჭრილი ბერიკა, რომელსაც ამ დროს თავისივე სურვილის სანაცვლოდ გაძვალტყავებული ქურანა ცხენი მოართვეს. ბერიკამ შეათვალიერა ცხენი, შემდეგ შემოახტა მას უნაგირზე, ხელები გაშალა და ხაკანს უთხრა:

– იყოს ნება შენი ხაკან.მაგრამ ერთსა გთხოვ, ლოყაწითელზე ვეამბორები შენს გოგოს და წავალ. როგორც ხალხმა დაინახა, ხაკანი ჯავრობდა, მაგრამ ბოლოს მაინც დათანხმდა ბერიკას წინადადებაზე და ქოთნიანი თავი დაუქნია „ცნებისაგან გადარეულ“ ბერიკას.

ლორეს ციხიდან მომზირალმა ხალხმა სიხარულისაგან შეჰყვირა, როცა შეამჩნია თუ როგორ აკოცა „ხაკანის“ გოგომ ბერიკას, მაგრამ ბერიკამ ხელი არ შეუშვა მას და საბოლოოდ ცხენზე შემოიჯინა იგი. „ხაკანი“ გაგულისდა აღშფოთდა, გაჯავრდა, შამფური დააძრო, მაგრამ რა, ბერიკამ გაქუსლა და თან წაიყვანა ხაკანის ასული. ლორე აყვირდა, გაგიუდა, გაისმა სიხარულით სავსე ქართული და სომხური შეძახილები ბერიკას სასარგებლოდ და „ხაკანის“ საგინებლად. ერთი ლორელი სომეხი ისე გაეტაცა თბილისელ

ბერიკათა წარმოდგენას, რომ ქონგურებზე გადმომდგარი ჩამოცურდა და კედლიდან თავქვე გადმოპირქვავდა. იქვე მდგარმა მეცხოვნემ ხელით იპყრა მისი ფეხი და სანამ ლორელი მაყურებელი უკან არ იქნა ათრეული, „ხაკანმა" თავისი ყურადღება არაფერზე სხვაზე არ გადაიტანა და მაყურებლებს მტკიცედ დგომისაკენ მოუწოდა.

წარმოდგენა მთელი ძალით განახლდა. ხაკანმა ბერიკას მოკელა და ქალიშვილის უკან მოყვანა ბრძანა. ამ დროს „სამეფო კარზე" რამდენიმე უფლისწული გამოჩნდა. ყველა ამათ ხაკანის ქალის თხოვნა ჰქონიათ გულთ ჩადებული და გაოგნებული „ხაკანი" ორ ცეცხლ შუა ჩავარდა. უფლისწულებს ქალის ნახვა უნდათ, რასაც „ხაკანი" ვერ ახერხებს იმ მიზეზით, რომ ქალი ბერიკას ჰყავს გატაცებული. მეორეს მხრივ ბერიკა, ხაკანს სთხოვს ქორწინების აღიარებას, მამაშვილურ დალოცვას, რადგანაც მალე ბავშვს ელოდება ხაკანის ასული.

— მადა ჭამაში მოსდის აი! — შესძახეს ლორელებმა და უფრო უკეთესად მოკალათდენ ლორეს ვეება ქონგურებზე და დაკბილულ კოშკებზე.

— კაი ნესვივით ქალიშვილი გაეატანე და რა გიკვირთ?! — ეკითხება „ხაკანი" კედლებზე შემომჯდარ ლორელებს, რომლებიც მას მხოლოდ დასცინიან და ენასაც უყოფენ.

გადაწყდა უფლისწულები ერთმანეთს წაეპაექრებიან და გამარჯვებული გახდება „ხაკანის" სიძე, მაგრამ მარტოდ დარჩენილი ხაკანი თავზე ხელს იცემს, ქალი საიდან მოუყვანოს ამ სულელ უფლისწულებს და უცებ პირადი მრჩეველი ქოსაჩათლახი მას დიდებულ რჩევას აწვდის და საკუთარი ქალი მოჰყაყს ხაკანის გოგოს სანაცვლოდ. ასპარეზობა იწყება: პირველი არაბეთის ბატონიშვილი შემოდის. მას სახე არ უჩანს, თავზე გულგამოცლილი და ოსტატურად გამოღრეტნული ვეება კვახი ადგას, ხელთ შუბი უჭირავს, რომელსაც ფოლადის პირის მაგიერად, სტაფილო აქვს გარჭობილი, ფეხებზე კოლბოხები აცვია, ხოლო ტანი, ტანი თბილი ტალახით აქვს მოთხვრილი, რაც მას გარეულ მხეცის გამომეტყველებას აძლევს.

„ხაკანი" სიამოვნებით უმზერს სასიძოს და მას თეთრი

კურდღლის დაჭერას ავალებს, რომელიც „ხაკანს“ აკი სენი-საგან გამოჯანმრთელების საშუალებას ჰპირდება.

არაბი უფლისწული უტევს იქვე მოწნულ გალიაში მყოფ ვეება თეთრ კურდღელს, რომელიც მას ბრძოლის დასას-რულის შუბს შეუჭამს და არაბი უფლისწული ტირილით გარბის.

– ესეც ასე, – ამბობს ხაკანი და ახლა ინდოთა ბატონიშ-ვილს ესაუბრება.

ლორელები დასცინიან ინდოთა ბატონიშვილს, მასხრად იგდებენ მის ამალას, მაგრამ ინდოთა ბატონიშვილი მაინც გაფხორილი გამოდის, თავს მდაბლად უკრავს ხაკანს და დავალების მიღებას ლამობს მისგან. „ხაკანი“ ფიქრობს რა დააკალოს ინდოთა უფლისწულს და ბოლოს იქვე ახლოს, ორმოში მოშარდვას სთხოვს მას. ინდოთა ბატონიშვილი გაოცებულია დავალებით, მას ხომ რაიმე საბრძოლო, გმირუ-ლი ეწადა გულით და ამ დროს „მოშარდეო“ სთხოვენ და თანაც აკვირდებიან. გაოგნებული ბატონიშვილი კვლავ დაეკითხება „ხაკანს“, რომელიც უცვლელად უმეორებს და-ალებას და სთხოვს რაც შეიძლება უფრო დიდ სიგრძეზე შარდოს, რათა მისი მამაკაცური შესაძლებლობები იქნას გამოყენილი.

საბრალო ინდოელი, გულჩაკლული იწყებს შარვალში რაღაცის ძებნას, ხელების ფათურს. ინდოთა უფლისწულის გადმოკარკლული თვალები და დაბნეული გამოხედვა ლო-რელთა და ბერიკათა ჰომერული სიცილ–ხარხარის მიზეზი ხდება. „ხაკანი“ ხშირად მოუწოდებს ლორელებს სიმშვი-დისაკენ, ისინი კი ფართოდ გაღებული პირებით ხარხარე-ბენ, მუცლებზე ხელებს იჭერენ და ციხესიმაგრის ქონგურე-ბიდან გადმოყოფილ ფეხებს მძლავრად ურტყამენ კედლებს, სიცილისა და ცრემლნარევი ჩაბჟირების დროს.

– „ნუ დაანგრეეთ ლორეს კედლებს“, – გაიძახის ხაკანი ზათქითა და ზანზარით ამოძრავებულ ლორელებს და შემ-დეგ ინდოთა უფლისწულს ეკითხება!!! – რას ეძებ მაგ ხვანჯარში, ჩემო სასიძოვ?!!! ინდოთა უფლისწული თითქოს პოულობს იმას, რასაც ეძებდა, მაგრამ გამოქაჩვის დროს ხელში ხის ჭოჭონაქი შერჩება გაოცებულს. ინდოთა უფ-

ლისწული ტირილითა და ყვირილით გარბის და სტოვებს სარბიელს. „ხაკანი“ გაოცებულია, მას ხელში ჭოჭონაქი რჩება. ამ დროს მის წინ ოვსთა უფლისწული გამოჩნდება და ქალიშვილის ხელს მოსთხოვს. „ხაკანი“ გახარებულია, იგი ოვსთა ბატონიშვილის დაჩაგვრას ლამობს,მაგრამ ამ დროს ოვსთა ბატონიშვილი ლორეს ციხისაკენ ე.ი. მაყურებლისაკენ მიტრიალდება, წამით ხის მუზარადს და ხალათს იხდის და ხალხს აჩვენებს, რომ სინამდვილეში ის ბერიკაა, რომელმაც „ხაკანს“ ქალიშვილი მოჰპარა და ეხლა ლამობს კელავ გააცუროს „ხაკანი“ და საქორწინო ნებართვა დასტყუოს მას. ამ ახალი გმირის გამოჩენა დიდ სიხარულს იწვევს ლორეს დამცველებში, ისინი ხომ ადრეც ბერიკას მხარეზე იდგნენ და მის ყოველ ქმედებას ესალმებოდნენ. ასე რომ ოვსთა ბატონიშვილის ტანისამოსში გადაცმული ბერიკა ლორელთა მხარდაჭერით გახარებული ჯერ თეთრ კურდღელს იჭერს და „ხაკანს“ მიჰგერის, ხოლო შემდეგ თხრილში შარდავს, თანაც ისეთ სიგრძეს აღწევს, რომ „ხაკანი“ ნასიამოვნები რჩება და იგი თავისი ქალის ოვსთა ბატონიშვილთან ქორწინებას ადასტურებს. ლორელები ყიჟინითა და ჟრიამულით ეთანხმებიან. „ხაკანის“ მასხრული სიტყვის ძალა უკვე აღარაფრით ჩამოუვარდება გიორგისა თუ იოანეს მხედრულ შეძახილის წონასა და მნიშვნელოვნებას.

* * *

— ყუოლუ მომგვარეთ,— თქვა ლორეს ხევში დაბანაკებულმა გიორგი მესამემ. ორმა მხლებელმა ბრძანება სწრაფად და მონდომებულად აასრულა. რამდენიმე ხანში ფარისმტვირთველი. ხალიჩაზე მორთხმით წამოწოლილ მეფის წინაშე გაირინდა და გიორგის წითელ წუღებს დაუწყო ჭვრეტა.

— როგორ ამბობდი ცეცხლი ცეცხლით არ დაიძლევაო? — მეტისმეტი სიხარულით თქვა გიორგიმ და ფარისმტვირთველი აათვალიერ—ჩაათვალიერა.

— მომიტევეთ, მეფეო თუ ეცდებოდი, — განწირულის ხმით თქვა ჭაბუკმა

— სწორად ამბობდი,გესმის რა ხდება ლორეში,ჩვენები დოლს უკრავენ, ლორელები კი ზურნებს აჭყეტინებენ. დილით ორივე მხარე ხაშს ერთურთს აჭმევს, ხოლო შუადღისას ირმის მწვადს უგზავნიან უმეტესად ჩვენები ლორელთ, რადგან იმათ საქონლის მეტი სხვა საკლავი არ გააჩნიათ. იცი თუ არა ეს ყოველივე.

— ეიცი, მეფეო. გაამრთლა სიბრძნემ, მაგრამ გაამართლა თქვენმა ა'ხრმა, მე საზოგადოდ ვმსჯელობდი მხოლოდ.

— შენ საქმეებს მალე ჯეროვნად შეეაფასებთ, მაგრამ ყუთლუ შენ არ იცი ახალი ამბავი, დემნა უფლისწული დღეს დილით ციხიდან გადმოეშვა და პირდაპირ ხელში ჩამიყარდა. გაიგე სტიქიონთა ურთიერთდაპირისპირების ოსტატო რაც მოხდა თუ არა?

ყუთლუ გაკვირვებისგან გადაქანდა. იგი მოელოდა რაღაც ასეთს, რაღაც ამის მაგვარს, აფრთხილებდა კიდევაც მეფე გიორგის,დემნა და იოანე შეიძლება დახოცონო ლორელთა, მაგრამ დემნა პირველად წოდებული მეფის ამგვარ სწრაფ გადაწყვეტილებას იგი ვერ იგებდა.

— ასე და ამგვარად, ფარისძვირთველო, მალე ახალ სამსახურ'ხე გაგამწესებ. თელა თუ გეხერხება მითხარი, — გიორგი მეფეს ხმა'ხე ეტყობოდა სასიხარულო განწყობილება.

— სრულად ვფლობ თვლის ხელოვნებას, ვაღრმავებ ცოდნას და არაბულად ვეწაფები ალ ჯებრსა და ალ მუკაბალას. ამავე დროს ვიყენებ რომაულ აბაკს გამრავლებისათვის და ჩვენს ბაბილოვნურ ფარს, რომელიც უმეტეს წილად გაყოფა გამრავლების წყობაა და სხვა არაფერი.

— ჰოდა მოყმევ, თუ ეგენი შენთვის ასე ახლოა, ხვალვე ჩაუდგები სათავეში ლორესა და ამირსპასალარის საჭურჭლეს, გაიგე!!! ჩამავალი მ'სის სხივები მეფე გიორგი მესამეს მტკიცე შუბლს თანდათანობით ებრჯინებოდნენ. ამ ფინიშნებით აღფრთოვანებულმა ყუთლუ მეჭურჭლეთუხუცესმა დაუსოქა ასე აშკარად მ'სისაგან გვირგვინ–კურთხეულ ხელმწიფეს.

ახალციხის „აია სოფია“

ქალაქ ლომსიას ირგვლივ შემოგრაგნილი ჟანგისფერი კლდეები ნისლს დაებურა. იატაგანივით დაკლაკნილ ქუჩებში ხელოსანთა შეძახილი,ვაჭართა ლანძღვაგინება და იანჩართა საალიონო აღლუმის ჭყეტინა ხმები ერთმანეთში ირეოდა.

– ისტამბულიდან ემისარი გეახლათ პატრონო, – გაისმა რაბათის საზაფხულო სახახლის დარბაზში, მესტუმრეთუხუცესის და პოეტის რეჯებ ფალავანდიშვილის ხმა.

– ვინ ჩამოსულა, რეჯებ? – ჩაილაპარაკა ჰარემში ულამაზეს ხორვატ მხევალთან, დოდონასთან, მყოფმა ახალციხის ფაშამ და ათაბეგმა აჰმედ ჯაყელმა.

– ვიღაც პიპინესკუა, რუმინელი, სულთნის ბეჭდით და უსაზღვრო უფლებებით აღჭურვილი ძაღლი, – იქცა რეჯებმა დაბალი ხმით.

– რუმინელს ნაღდი თურქი მერჩივნა, შეიყვანეთ იგი „ლომის ხახაში“, – ბრძანა აჰმედმა. ხორვატმა დოდონამ მუსიკალური ხმით ჩაიკისკისა.

– „ლომის ხახა“ ერთდროულად საასპარეზოდ და სასტუმროდ მოწყობილი დარბაზი იყო. ფუფუნებაში ჩაფლული „მბრწყონვალე პორტის“ წარმომადგენლებს აქ იმგვარ გამაოგნებელ წარმოდგენებს უმართავდნენ, რომელთა შემდეგ ერთნი ისტამბულს ახალციხეზე ლაპარაკსაც ერიდებოდნენ, ხოლო მეორენი სიამოვნებით იხსენებდნენ „ლომის ხახად“ წოდებულ ავბედით სასახლეს.

– მოგესალმებით, სვეტედნიერი სულთნის, რუმის ავგუსტის და ევროპა–აზიის მეფეთა და მთავართა მბრძანებლის, მბრწყინვალე მურადის წარმომადგენელო, – მდაბლად დაუკრა თავი რუმინელ პიპინესკუს რეჯებმა, ვეფხვის,ფოცხვერისა და ტახის ტყავებით მოფენილ დერეფანში შეუძღვა

სტუმარს და დარბაზის მორკინული კარის მძიმე ურდულის გახსნას შეუდგა.

პიპინესკუ, სწაელული კაცის დარად ყურადღებას არ აქცევდა „ვიღაც მესტუმრის" ჩალიჩს, თავის კანტურით სა-კუთარ მისიაზე ფიქრობდა და მწვავე სიტყვას ამზადებდა.

უეცრად დარბაზის სიღრმიდან გამაყრუებელი ყვირი-ლის ხმა ჩაესმა რუმინელს და მან თვალი ურდულთან დაჭიდებულ ფალავანდიშვილს მიაპყრო.

— იგი თავად სჯის ორგულებს, — თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა რეჯებმა და ურდული ჩახსნა.

სულთნის კარსე ტირანიასა და სისხლს ჩვეული პიპინეს-კუ გულგრილობის ნიღბით აპირებდა „ლომის ხახად" წოდე-ბულ დარბაზში შებრძანებას, რომ არა ერთი მოულოდნელობა, რასაც ზრურბლზე გაწოლილი,ცოცხალი ლომი ერქვა.

პიპინესკუ შედგა, ლომს შეხედა, თავისთვის რაღაც ჩაილაპარაკა და ნაბიჯი გადადგა,რომ ვეება ლომმა სის-ხლში ამოსვრილი ტორები გაშალა, პიპინესკუსაკენ ისკუპა, რუმინელის თავს ზემოთ კამარა შეჰკრა და ფართო დარბა-ზის ჩაბნელებულ კუთხეში გაუჩინარდა.

პიპინესკუ საგულედან ამოვარდნილ გულის ფართხალს ყურს უგდებდა და ცდილობდა იატაკზე არ დაცემულიყო. ის წყეული მესტუმრეც სადღაც გამქრალიყო. რუმინელის ირგვლივ ბნელოდა და მხოლოდ საიდანღაც მოღწეული შუქის მკრთალი სვეტი ანათებდა პიპინესკუს სახესა და აცეცებულ ხელებს.

იქ,სადაც ლომი გაუჩინარდა,ახლა რაღაც მბზინავი და მბრწყინვალე ამოძრავდა და სტუმრისაკენ გამოემართა. პი-პინესკუმ ახალი მოულოდნელობისა თუ გამოცდის მოლო-დინში ხელები აღაპყრო და უეცრად მის ირგვლივ ერ-თდროულად აელვებულ მაშხალებს მოჰკრა თვალი.

დარბაზი ერთბაშად გაბრწყინდა, სპილოს ქელით, სადა-ფით ქარვით, ახალციხური აქატითა და გიშრით გაწყობი-ლი, ოქრო—ვერცხლით მორთული კედლები უჩვეულოდ აელ-ვარდა და თვალის მომჭრელ ბრწყინვალებაში, რუმინელმა მისკენ მომავალი, წითელმანტიამოსხმული ახოვანი ფაშა შენიშნა.

ფაშამ სტუმრისათვის განკუთვნილი მისალმება სტამბოლის ეტიკეტის სრული დაცვით წარმოსთქვა და რუმინელს იქვე ატლასის ბალიშებზე მოსვენება შესთავაზა.

— შორი გზებითა და უღელტეხილებით მგზავრობისაგან დაღლილმა პიპინესკუმ მისალმებისა და ურთიერთმოკითხვების შემდგომ ოქროთი და ყვრცხლით მოქარგულ ბალიშებზე ნებივრად მოიკალათა, გაპუტულ წვერზე ხელი ჩამოისვა და მასპინძელი შეათვალიერა. შუა ასაკში შესული ახალციხის ფაშა ვარდისფერ ლოყება,თაფლისფერთვალება, ფართო და მაღალშუბლიანი, მხარბეჭიანი ამბედი, თავის კბილა სულთანზე ბევრად უკეთესად გამოიყურებოდა, რაც მონობაში გაზრდილმა რუმინელმა მისი სახელმწიფოს სისუსტის და მოშლილობის გარდუვალ მაჩვენებლად მიიჩნია.

„სულტანს, დე ჰფარაკდეს მას ზენაარი, სამასი ულამაზესი ცოლი და ათას ორასი უმშვენიერესი მხეკალი ჰყავს, ეს ახალციხელი კი სუ რაღაც სამოცი ცოლითა და რამოდენიმე ათეული მხეკლით ცდილობს, უზენაესი მბრძანებლის სახის ფერის, მეფური მოთენთილობის და მორჭმული სიცოცხლის არა თუ მიბაძვას, არამედ გადამეტებას," — ფიქრობდა პიპინესკუ გაგულისებით და გონებაში მომზადებულ სათქმელს სიცხარეს უმატებდა.

— თქვენს ქალაქს კარგი მდებარეობა აქვს კავკასიაში სულთნის მარადიული მმართველობის დასამყარებლად, — დაიწყო რუმინელმა და თვალები მოჭრუტა სიტყვისათვის გზნების მისაცემად.

— თქვენი თვალები ჭეშმარიტებას ამჩნევენ, — ბრძანა პასუხად ფაშამ და რუმინელის თვალიერებას შეუდგა.

— ქალაქი კარგად გაქვთ გამაგრებული, ჩინებული კოშკები აგიშენებიათ და ფორტიფიკაციის კანონებიც დაგიცავთ,— აგრძელებდა აზრს პიპინესკუ.

— საფაშო ერთთავად კოშკში და რკინაშია ჩასმული და არა თხილის ნაჭუჭში, — ხელები ზეაღაპყრო ამბედმა.

— ვიცი, ვხედავ, მაგრამ ასეთ ქალაქს, — პიპინესკუმ ლომსიაზე შიუთითა — დიდი სულიერება სჭირდება.

— სულიერებას წიგნებით ვიკაჟებთ, — გაღიმებული ამბედი რუმინელის დაბრეცილ თვალებში დაფარული აზრის ამო-

კითხვას ცდილობდა.

— სულიერების განმტკიცებას წიგნებიც სჭირდება და მშენებლობაც, — ბრძანა რუმინელმა.

— და ურჩების სასტიკი დასჯა, — უეცარ გამძვინვარებას შეწითლებული ღაწვებით ადასტურებდა ათაბაგთა შთამომაეალი.

— გეთანხმებით, მაგრამ... — სულთნის წარმომადგენელი აზრებში იქექებოდა.

— ბრწყინვალე სულთნის ყველა ბრძანება სრულდება ჩემს საფაშოში, — კელავ ღიმილი გადაიელო ტუჩებზე აჰმედმა.

„ჩემს საფაშოშიო" — ეს გამოთქმა კი არ მოეწონა ძველი საგვარეულოების მტრად ცნობილ რუმინელს, რომელიც ყოველთვის უგვარო და დროებით მმართველებს აძლევდა უპირატესობას და არა „ძირძველ ვეფხვებს", რომლებიც აქა-იქ მაინც განაგრძობდნენ შთამომავლობით მმართველობას ოტომანთა ყრცელ, მაგრამ დაშლის პირას მიმდგარ იმპერიაში.

— ჩემს საფაშოში თავმოყრილი მყავს სარწმუნოების დამცველი მეომარნი, რომლებიც მზად არიან საღვთო ომი წამოიწყონ ოთხივე მიმართულებით, — თქვა აჰმედმა და ტაში შემოჰკრა.

ოქროთი და ატლასით მორთული კარი გაიხსნა და პიპინესკუს წინ ცხრა მეომარი აღიმართა.

— ეს პირველი, — აჰმედმა რუმინელს მაღალ შაეგვრემან ჭაბუკსე მიუთითა — ჩემი საუკეთესო ფალავანია, ფალავანდიშვილთა ცნობილი გეარიდან. დანარჩენი რვა დაქირავებული მკვლელნი გახლავთ, რომლებიც ჩემს საფაშოში შორეთიდან მოვიდნენ. ისინი აჰმედის სიკვდილს ლამობდნენ. მაგრამ ჩემი სასიკვდილო იარაღი ერთია და იგი მხოლოდ სულტანს უპყრია ხელთ, — თქვა აჰმედმა და პიპინესკუს შეხედა. რუმინელი დუმდა.

— ახლა კი ასლან ბეგ ფალავანდიშვილი ღირსეული პიპინესკუ ბეგის წინაშე შეებრძოლება რვა მომხედურს,— რვა მკვლელსა და მსტოვარს. თავად პიპინესკუ ბეგის ხელშია ამ ბრძოლის ბედიღბალი და ჩემი ფალავნის ხელში ჩავარდნილი რვა კაცის ბედი, — ბრძანა ფაშამ და

თეალებმოჭუტულ რუმინელს გადახედა.

— თქვენი ფალავნის ბედი არ განაღვლებთ, რადგანაც იგი მახვილით არის შეიარაღებული, ხოლო ეს ვაჟები უიარაღონი არიან, — თქვა პიპინესკუმ და ფაშას დაბრეცილი ტუჩებით გაუღიმა.

— რეჯებ, — თქვა ფაშამ და დარბაზში შემოსულმა რეჯებმა პიპინესკუს წინ ქართული ხმლები და თურქული იატაგანები დაყარა.

— შეიარაღდით! — უბრძანა გახალისებულმა პიპინესკუმ მის წინ მოლასლასე რვა კაცს და იარაღის გროვას ქოშის წვინტი წაჰკრა.

— შეიარაღდით, და იბრძოლეთ ისე, რომ თქვენი ეაჟკაცობით მოიპოვოთ შეწყალება, — თქვა ახალციხის ფაშამ და რეჯებს რაღაცა ანიშნა.

მანამ, სანამ მკვლელები იატაგანებს, ხმლებსა და ხანჯლებს დაფიქრებით და დუმილით ირჩევდნენ, პიპინესკუ ფაშას მიუბრუნდა და უთხრა: — „ვეჭვობ შანსი ჰქონდეს გამარჯვებისა თქვენს ფალავანს, მაგრამ იცოდეთ, თუ ბრძოლის სასწორი ქართველი ბეგის წინააღმდეგ გადაიხრება, მე შეეაჩერებ ბრძოლას".

მახვილმა, ხმლებმა და იატაგანებმა ცისარტყელის ფერების შემოხატვა იწყეს. აჰმედისა და პიპინესკუს თვალწინ. მხოლოდ ჰაერის შხუილით კვეთა არ იკმარეს მებრძოლებმა. ფოლადის წკრიალა ხმა, მოძალადობრივი ძრწოლა, გმინვა, შეძახილი, აქეთ—იქით ხტომა, გაბოროტება, გმირობა და მოწყალება ერთმანეთს გარდაეჭდო და ერთ მთლიან ბატალურ პანიდ შეიკრა.

ფალავანდიშვილი ლომივით ბრდღვინავდა და ყოველ მხრიდან შემოჯარულ მკვლელებს საერთო მანძილზე იგერიებდა. ცხრავე გულადად იბრძოდა. ასლან ბეგმა ერთი ხმამაღლა დაიღრიალა და მოწინააღმდეგეს ფეხდაფეხ მისდია დარბაზის კედლამდის. წამში კედელთან მისეხილის მოჭრილმა თავმა პიპინესკუს წინ გორაობა იწყო. შვიდ კაცად დარჩენილნი ყოველი მხრიდან შემოერტყნენ მათთვის ზეციურ რისხვად მოელენილ ფალავანდიშვილს. მკვლელნი ოსტატურად უგებდნენ მახეს წრეში მოქცეულ

ქართველ ბეგს და ერთდროულად უტევდნენ მას ფლანგებიდან, ფრონტიდან თუ ზურგიდან. კალიასაკით ხტოდა და ბრძოლის მიმართულებებს ოსტატურად ცვლიდა ფალავანდიშვილი. ზურგს რომ ეგონა ზურგი ვარო, ის უეცრად ფრონტი ხდებოდა, ფრონტს რომ ეგონა წინა ხაზი ვარ და შეტევა მომეთხოვებაო, ისიც უეცრად, მოწინააღმდეგის გარეშე რჩებოდა და იარაღს ჰაერს უქნევდა. ახალციხელი ბეგი ისე უეცრად მოუტრიალდებოდა შეჯგუფულთ, რომ ისინი, ერთმანეთი არ დავკოდოთო, საჩქაროდ უკან იხევდნენ და ისევ ფლანგებში და ზურგში დარტყმას იწყებდნენ.

– აი, სწორი ტაქტიკა სპილოზე ნადირობისა, რომ იცოდეთ ამგვარად დაამარცხა სციპიონ აფრიკელმა ჰანიბალი, – თქვა გამარჯვებაში თითქმის დარწმუნებულმა პიპინესკუმ და აჰმედ ფაშას სიამაყით შეხედა.

– გგონიათ გაიმარჯვებენ მკვლელნი? – იკითხა ბრძოლის ეშხში შესულმა და თვალებში სისხლჩამდგარმა ფაშამ.

– იქვენი ფალავანი ალყაშემორტყმულია, სამწუხაროა, მაგრამ უნდა აღიაროთ, რომ ამჯერადაც რიცხოენება იმარჯვებს გმირობაზე და როცა ასლან ბეგი დაიქანცება, მას აუცილებლად მოკლავენ ეს გიენები, – იქედნურად ჩაიცინა გმირობის მოძულე რუმინელმა.

– თუ ფალავადიშვილი დამარცხდება, მაშინ მე ამ უცხო თვალს თქვენ დაგითმობთ, – თითიდან შავი ბრილიანტის თვლიანი ბეჭედი წაიძრო და რუმინელს მიაწოდა აჰმედ ფაშამ. პიპინესკუ დააცქერდა მრუმე ფერებში მოცურავე სტიქიონს შავი და მღელვარე გარდასახვებისას და გაიბადრა.

– მე არაფერი მაბადია მსგავსი, მაგრამ ჩემი სიტყვა თოფჩაქსარაის მბრწყინვალე დარბაზებში დიდი ფასეულობაა. თუ თქვენი ფალავანი გაიმარჯვებს, სიტყვას გაძლევთ, დიდ ვეზირთან ხუთი წელი თქვენს ქებაში ვიქნები და ყველა ანგარიშში, რასაც კი დავწერ კავკასიაზე, თქვენს დიდ საქმეს მოვიხსენიებ, – აცუნდრუკდა პიპინესკუ და მბრწყინვალე თვალს გზნებით ეამბორა.

– მიღებულია, – ზრდილობიანად თქვა ფაშამ და ალყაშემორტყმულ ფალავანდიშვილს „მესხურიო" შეუძახა.

ფალავანდიშვილმა ჭექა–ქუხილის ხმით დაიღრიალა და

მის გარშემო შეკრულ წრეში ზურგს უკან მდგომ ჭაბუკს არნახული სისწრაფით გამოეკიდა. ექვსი კაცი დაედევნა ასლან ბეგს. როდესაც სხეულები ერთმანეთს ისე გარდაეჭვედნენ, რომ არაფრის ნათლად გარკვევა აღარ შეიძლებოდა აჰმედმა რუმინელს გადმოხედა და უთხრა:

— დღეს ჩემი დღეა, — გაიმარჯვა გმირობამ და არა რიცხოვნებამ.

— ეგ როგორ,— სისხლი გაეყინა ძარღვში პიპინესკუს.

— ასლან ბეგმა ყველა დახოცა, ალბათ, თეითონ სძინავს დაღლილს, — იხუმრა აჰმედმა.

— ვერ დავიჯერებ, — ხმა უნებურად აუცახცახდა სულთნის მსახურს.

— ასლან ბეგ, ადექი ფეხზე, თორემ დამეჩაგრა სტუმარი, — ქართულად შესძახა ფაშამ.

სულ მთლად სისხლში მოსვრილი ასლან ბეგი ფეხზე წამოიმართა და ტანის დასაბანად გამი'შვიო, — სთხოვა ახალციხის ფაშას.

— მოისვენე აჰმედის მტრების რისხვაე, 'შენ დღეს დიდი სანაძლეო მომაგებინე, — ბრძანა ფაშამ და პიპინესკუს ალმაცერად გადახედა.

— ძაინც ვერ გავიგე, როგორ მოახერხა ამ რისხვით სავსე მეომარმა ერთად მოსვრა ამდენი კაცისა, — ბუტბუტებდა პიპინესკუ და არეული თვალებით გასასვლელისაკენ მძიმედ მიმავალ ასლან ბეგ ფალავანდიშვილს უმზერდა.

— ეგ გვარის იდუმალი ილეთია, საქართველოს ყოველ წარჩინებულს ხმლის, ხანჯლის და სატევარის ხმარების განსაკუთრებული ჯილა აქვს და მას გასაჭირში ჩავარდნილი თუ ხმარობს. გულს ნუ გაიტეხ. რადგანაც 5 წელი მესხების მეხოტბე ხარ, ბევრი რამის დანახვა გმართებს ჩვენსას. ახლა კი რეჯები ახალციხურად გვიმასპინძლებს, — შესძახა გამარჯვებისაგან თვალებგაბრწყინებულმა აჰმედმა და სასახლეში, თარისა და მანდოლინის დამათრობელი ჰანგები დაირხა. ფათერაკის 'შემდგომ სიტკბოებით სავსე ხმებმა, სასახლის ჩინარ თუ უჩინარ კართაგან შემოვარდნილმა ატმის ყვავილივით აფეთქებულმა ქალებმა ბანგში გაახვია რუმინელის მბუუტავი გონება. სპილოსძელისფერი

ძუძუ–მკერდის, ბარძაყების, დუნდულების და გიშრისფერი დალალების მის ირგვლივ რხევამ თვალები აუჭრელა, თაებრუ დაახვია პიპინესკუს და ის მოულოდნელად წითელი ატლასის ბალიშებზე გადაყირავდა.

– წყალი, წყალი, – აყვირდა რეჯებ ფალავანდიშვილი და გრძნობა დაკარგულსა და სასეგაფითრებულ რუმინელს მიეარდა.

– ღვინო ჩაასხით მაგას პირში! – ბრძანა აჰმედმა და მის წინ მოცეკვავე დოდონას თვალი ჩაუკრა. ხორვატი, ქლიავის ფორმის მკვრივ თეძოებს ფაშას ცხვირწინ უთახთახებდა და აჰმედს ხარბი, ეოვლის გამაერთიანებელი ღიმილით შეჰყურებდა.

საღამო ხანს, როცა მხევალთა მიერ ნაფერები აჰმედი დოდონას ხორვატიულ სიმღერას ჩაფიქრებული უსმენდა, ქარებთან რეჯების ფეხის ხმა გაისმა. ფაშამ მხევალს გააგრძელეო ანიშნა და თვითონ რეჯებს მიუტრიალდა.

– საჭურისი ყოფილა ეგ წყეული, – მოახსენა გაღიმებულმა მესტუმრემ ფაშას.

– კიდეე რა შეიტყვე, რეჯებ, – იკითხა მხევალთა ფერებით დაქანცულმა და ხორვატიული სიმღერით მოთენთილმა აჰმედმა.

– პირში ღვინო რომ ჩამასხით, ის მომიტანეთო მითხრა და ახლა წრუპავს თურმე ალადასტურს, – ჩაიცინა მესტუმრეთუხუცესმა.

– სხვა რაიმე ლტოლვა ხომ არ გაუმჟღავნებია? – ცბიერად იკითხა ფაშამ.

ეროგული რეჯები ბატონის ყურთან დაიხარა და რაღაცა უჩურჩულა პატრონს. ფაშამ ერთი გულიანად გადაიხარხარა და ბრძანა:

– მანკიერი და მახინჯი ხალხის ხელში ვართ ჩავარდნილი, რეჯებ. ისტამბულის საჭურისები და წყეული თუქსუსები თავად ზიზღის აღმძვრელი მონანი არიან და ამავე დროს მათი ძალაუფლება განუსომელია. კურტუმოს ქნევითა და მანჭვა–გრეხვით, თოფქაქის სასახლეში ეგენი უფრო მეტს აღწევენ, ვიდრე შენი ძმის, ასლან ბეგ ფალავანდიშვილის მსგავსი მეომრები ხმლითა და ზარბაზნით. მაგათ

ხელში ჩაყარდნილი სულტნის და მთელი იმპერიის დღეები დათვლილია. მოვა დრო და დავით მეოთხე აღმაშენებლად წოდებულის ტოლი ქართველი შემოკრავს პორტას და გადაარჩენს ჯოჯოხეთის მსახურთა ხელში ჩავადნილ ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანას.

მეორე დილას ეწვია პიპინესკუ აჰმედ ფაშას. სუსტ გულს და გრძელ უსწორმასწორო გზებს დააბრალა რუმინელმა წუხანდელი გულყრა და ათაბაგთა შთამომავალს მორჩილი ღიმილით ესაუბრა. კონსტანტინოპოლური სი'სვიადე და ისტამბულური იქედნურობა უკვალოდ გამქრალიყო პიპინესკუს დამპალი მსხლისფერი სიფათიდან და იგი იმგვარი მორჩილებით ესაუბრებოდა აჰმედს თიოქოს, მისი ყონაღი ყოფილიყო.

რუმინელის სიტყვებიდან იგრძნობოდა, რომ სულტანს ახალდაპყრობილ მიწათა შემომტკიცების ძველი მეთოდები აღარ მოსწონდა და იგი ახლებურ პოლიტიკას მიმართავდა.

– ახალ მიწებზე მაჰმადის რჯული მარადიულად უნდა გამეფდეს და ამისათვის ახალციხეში დიდი მეჩეთი უნდა აიგოს, – მლიქვნელურად უღიმოდა ქართველს რუმინელი.

– დეე, აღსრულდეს ნება ალაჰისა, – პასუხობდა აჰმედ ფაშა და ათაბაგთა სპილოსძვლის ტახტის ქრისტიანულ სიმბოლოებს – კრავსა და ჯვრისბუნიკიან დროშას ფართო ხელებით ეალერსებოდა.

იმავ საღამოს პიპინესკუსთან გამოსათხოვებელი თათბირისას, ათაბაგთა შთამომავალი სარკმლიდან გაჰყურებდა ახალციხის ტანწერწეტა ეკლესია–მონასტრებს და სულტანის ცბიერ ბრძანებაზე ფიქრობდა.

– რეჯებ, ისეთი სასტიკი გზებით ატარე იგი, რომ ჩვენს მხარეში გამომგზავრება კიდევ დიდხანს ვერაფინ შეძლოს, – უთხრა აჰმედმა ერთგულ მესტუმრეთუხუცესს და მის წინ გადაშლილ არქიტექტურულ საიდუმლოებებზე დაწერილ ბერძნულ ტრაქტატს დაუბრუნდა.

საღამო ახლოვდებოდა, როცა აჰმედმა, ასლან ბეგ ფალავანდიშვილი იახლა და ქრისტიან წინაპართა საგვარეულო საძვალისაკენ, საფარის სავანესკენ გაქუსლა.

„სასოწარკვეთილობაში მყოფ კაცს წინაპართა უტყვი

საფლავები უფრო მეტს ურჩევენ, ვიდრე თანამედროვენი," – ფიქრობდა აჰმედი და ჟანგისფერ გორაკების გასწვრივ მიმავალ დაკლაკნილ გზას მიუყვებოდა.

„საფარა თავად ისეთ დაფარულ სიბრძნეს წარმოადგენს, რომელსაც უშუალოდ თუ არ მიადგები ზღურბლზე, ისე ვერანაირად ვერ შეიცნობ," – გაუელვა აჰმედს გონებაში. ვინ იცის რამდენჯერ იყო იგი საფარის ლაერაში,მაგრამ ყოველ მგზავრობის ჟამს მონასტერი ისე მოულოდნელად გამოჩნდებოდა კლდეთა და გორაკთა ლავგარდენიდან,რომ უგრძნეულად გააშეშებდა აჰმედსა და მის მხლებელთ.

– საფარის სავანეში ერთი აზრი მიტრიალებს ასლან ბეგ და იგი მესხეთის ოტომანთაგან გამოხსნისაკენ მიბიძგებს, – გადაუგდო აზრი მებრძოლ ბეგს ახალციხის ფაშამ.

– ხერთვისში, ფალავანდიშვილთა საგვარეულო სამარხიც იგივეს მეუბნება, პატრონო, – მხედარისათვის დამახასიათებელი გულწრფელობით თქვა ასლან ბეგმა.

– წინაპარმა ჩემმა ნეტარმა ბექამ, სწორედ აქედან, ყრმა გიორგის აღსრდით იწყო დიდი ივერიის აღდგენაზე ფიქრი და მუშაობა, – თავისთვის ჩაილაპარაკა აჰმედ ფაშამ, როდესაც წინ ფიჭვნარის ტყეში, ვით უჭკნობი ყვავილი იდუმალი მშვენიერებისა, საფარის წმინდა სავანე ამოესვეტა.

ჩამავალი მზის სხივები ყოველი მხრიდან ანათებდა წმინდა საბას მონასტერსა და მარინეს ეკლესიას. სხივები ელაცლიცებოდნენ სარგის ჯაყელის მრისხანე ციხესიმაგრესაც და ათაბაგთა საზაფხულო სასახლის, „ორბთა ბჭეს" თლილ, სათუთად ამოყვანილ კედლებს. წმინდა საბას ეკლესიის სამზერიდან ურაველის გადამწვარი ფერდობები და მესხური ტერასები მოჩანდა. ნაზი და დაფიქრებული სიო ქროდა საქართველოს ამირსპასალართა და ივერიის მეფეთა აღსრდით თავმომწონე ათაბაგთა საფლავებზე.

– პატრონი ათაბაგი მობრძანდება, – დაიძახეს ქვის კოშკების სათოფურებიდან მომსირალმა ბერებმა და საფარის კარიბჭე გაიხსნა.

– ღვთისმშობლის საფარველქვეშ შემობრძანდი, ათაბაგო, გამსრდელო უფლისწულთა, წინაპრების საუკუნოო განსვენებას უმსირე პატრონო ათაბაგო! მეორედ მოსვლის

ჟამს მკედრეთით აღდგომასე იფიქრე პატრონო ათაბაგო! წმინდა საბას სასწაულები იწამე პატრონო ათაბაგო! წმინდა მარინე გლოცავდეს პატრონო ათაბაგო! ღვთისმშობლის საფარველქვეშ შემობრძანდი, – დასძახეს წესისამებრ საფარის ბერებმა და ბოლოს საბაური ჰიმნი წამოიწყეს.

გამაჰმადიანებული აჰმედ ფაშა, ქართულ საგალობელს სამონასტრო სასწაულებლის მოწაფის გულისყურით უსმენდა და სახეზე უსასღვრო ნაღველი ესახებოდა. ასლან ბეგი ცხენის კისერზე წახრილი მდუმარედ ელოდა სასულიერო ჰიმნის დასრულებას. საფარელი ბერები კი რწმენით გაჯერებულნი, აღტკინებით მღეროდნენ ღიმილით საესე სახეებით ცას მიშტერებოდნენ.

– გამარჯვება საფარელ ბერებს! – შესძახა აჰმედ ფაშამ და ცხენიდან ჩამოქვეითებული ბერებს გადაეხვია.

– ღვთისაგან გამარჯვება არ მოგეშალოს, – ერთხმად პასუხობდნენ ბერები ფაშას.

– წინამძღვარი როგორ ბრძანდება? – დაინტერესდა აჰმედი.

– უკეთესად, თავის სენაკშია მამა ბასილი, – უპასუხა ფაშას ტანმაღალმა მორჩილმა.

ათაბაგად მოსრულხარ თუ თურქ ფაშად, წინაპაროთა სამკვიდრებელში?! – შესძახა ბერის სენაკიდან გამოსულმა ახოვანმა წვეროსანმა მოხუცმა და ათაბაგის შესახვედრად წამოვიდა.

– მეუფეო, ათაბაგად მიგულე, ისე კი არც ფაშაა ურიგო ვაუკაცი, – იცინოდა აჰმედი და მამაოდ წოდებულ წინამძღვარს მდაბლად ესალმებოდა.

– ერთ შესახედად, ბექა მანდატურთუხუცესს ჰგავხარ, ღმერთმა სამოთხეში ამყოფოს მისი სული, ამიტომაც მინდა ვიცოდე, რომ სულაც ბექა ხარ ჩამოსული ზეცის კიბიდან და არა აჰმედი ამოსული ლომსიადან.

– როგორც გინდა ისე განსაჯე, ჩემო მეუფეო, მაგრამ დღეს მნიშვნელოვან საქმესე და საჭირბოროტო საკითხზე ვარ ამოსული ამ სავანეში, საკამათოდ სულს არ სცალია ჩემსას, ამიტომაც შეეიდეთ საოსტინგოში და ვიბჭოთ, – შუბლშეჭმუხვნით თქვა ახალციხისა და მთელი სამხრეთ

საქართველოს ბატონმა.

საფარელ ბერთა საფხვინოს უხვად ამშვენებდნენ საეკლესიო ნიეთები, ხატები და ბარძიმები. კედელ'ზე მიქუდებული ძველ საეპისკოპოსოთა საეკლესიო დროშები, საბრძოლო ჯერები საერისთაოებად, სადროშოებად იყო დაყოფილი და რუდ'უნებით ერთმანეთის გვერდით ჩარიგებული. აშმედ ფაშა შეჩერდა დროშების წინ. პარხლის სპერის, კოლას, არტაანის, ართვინის, კარის, ბანას, კლარჯეთის, ქვეშო ტაოს, თუხარისის, ჩრდილის ტბის ალმები დაკარგულ მიწებსა, თუ განადგურებ'ულ საეპისკოპოსოებს ასახაკ'ნენ მხიდ'ოდ.

– საეპისკოპოსოები თავიანთ წმინდა საუნჯ'ეებს ჩვენსკენ ხიზნავენ. ცარიელდება იშხანი, პარხალი, ოშკი, ბანა. აქ ამ დარბაზში იკრიბება ქართული მადლი კეთილი მომავლის მოლოდინში. ველით იმ დღეს, როდესაც ყოველი ხატი და ბარძიმი, თუ ფეშუნეში და დროშა თავიანთ საკანეს დაუბრუნდება, – თქვა ბასილ წინამძღვარმა და აშმედს მართალი მსერა შუბიეით გულ'ში აძგერა.

– რთული დროა, წინამძღვარო, მიტოვებ'ული მონასტრები და მიწები რომ დავიბრუნოთ, მყარად უნდა შევინარჩუნოთ სამცხე და ჯავახეთი, – აშმედი ოთახში სიარულს მოუკვა.

– რა აქაც მოგვადგნენ ავი ზნისა და უცხო რწმენის მოქადაგენი? – იკითხა წინამძღვარმა და ფაშას დიდრონი თაყვლისფერი თვალები გაუსწორა.

– სულთნის ბრძანებით დიდი მეჩეთი და სასწავლებელი უნდა აიგოს ახალციხის კლდეზე, – ბრძანა აშმედმა და მაშა ბასილს გამჭოლი მზერით შეუტია.

– ახალციხეში დიდი მეჩეთის აგება სუნიტური მრწამსის გავრცელებას შეუწყობს ხელს უძველეს ქრისტიანებში – მესხებში, რომლებიც კაპადოკიელთა მსგავსად აღიგვებიან პირისაგან მიწისა, – თვალები მოქიშპე ცეცხლით აუელვარდა წინამძღვარს.

– თუ სულტანი დაიძერება უზარმაზარი არმიით, იმ შემოხვევაშიც გადაშენდება ქართული ჯიშის ხერხემალი – მესხური ჯიში და ჯილაგი, რის შემდეგაც დარჩებიან

მხოლოდ ქურთნი, გრიგორიანნი და კათოლიკენი, — ბრძანა ათაბეგმა და დოინჯშემოყრილმა შეათვალიერა ურავლის გადამწვარი ველები სენაკის სათოფურიდან.

— წავიდეთ შვილო, ბექა მანდატურთუხუცესის აკლდამას ეკითხოთ რჩევა. სწორედ ბექას გაუხსნია ურთულესი კვანძები ჩვენს ისტორიაში. მონგოლები ისე გამოუყენებია ქართული სახელმწიფოს მშუნებლობისათვის, როგორც ძირძველი ქართველები. ყაენის ძალმომრეობასა და მზაკვრობისათვის უჯობნია მის ჭკუასა და შორსმჭვრეტელობას და მტრის ძალადობა ქართველთა შინაგანი და გარეშე მტრების დასამხობად მიუმართია. წავიდეთ, ათაბაგო, ბექას აკლდამას შევეეედრით ღირსეული ასრი მოგვიელინოს რწმენის ხაფანგიდან გამოხსნისათვის, — ამბობდა აღტკინებული წინამძღვარი და მიწის სიღრმეში ჩამავალ საფეხურებზე წვალებით ჩადიოდა.

ხავსმოდებული ძელქვის კარის ადგილიდან დაძვრის შემდგომ მარადიულობის, სანოლისა და ხის ფესვების სურნელი შეიყნოსა აშმედ ფაშამ და ეამისაგან გაშაეებულ—გამწვანებულ ქვის მიწისქვეშა ბაქანზე დაადგა ფეხი წელში მოხრილმა. ‘უხილავი შუქი, ალბათ, საჰაერო მილკავებიდან შემოჭრილი, ანათებდა სამცხის ძველი მთავრის ბექასა და მისი თანამეცხედრის ვახახის სამუდამო განსასვენებელს.

„და მიიცვალა მთავარი სამცხისა ბექა, აღმატებული ყოველთა საშინაო და საგარეო საქმეთა შინა, გამარჯვებული სარდალი, დიპლომატი, ეკლესია—მონასტერთა მაშენებელი, ქვრივობოლთა გამკითხე ქრისტეანნი, კანონმდებელი და სჯულმდებელი, აღმსრდელი მირონცხებული დიდი მეფისა გიორგი მბრწყინვალესი, ქართული ჯიშისა და ჯილაგის დამცველი ურდოში და ორთაეე იმპერიაში”, — ორატორული სულისკვეთებით მოსთქვამდა მეხლებზე დაჩოქილი წინამძღვარი. აშმედ ფაშამაც მამა ბასილის გვერდით ჩაიჩოქა, ხელნი აღაპყრო და წარმოთქვა:

— ჰოი, პაპის—პაპავ ჩემო, ქრისტეს მხედარო, ძალგულოვანნო, მაპატიე მე, უღირს მონას შენსას და მომეც გონი საკაცობრიო და საერო მოღვაწეობისათვის, რათა მომავალმა ჩემმა არ ითაკილოს გახსენება აშმედისი და არ სთქვას

შენზე ვერ განსწავლაო შორეული თესლი თავისი. ამიტომაც განმსწავლე დიდო წინაპარო".

– მამა ბასილმა,ეახახის საფლავზე დაჩოქილმა ეს ლოცვა წამოსთქვა აშმედ ფაშას სიტყვის მოსმენის შემდეგ:

– პოი,მთავარო და დედუფალო მესხეთისა,ქალაქ ლომსიას, რწმენას გვრაცებენ ხელიდან აგარიანნი, თურქნი და ტკბილხმოვანი ქართული ლოცვა – გალობის გადაგდებას ლამობენ უცხო რწმენის მოქადაგენი. მონა ღვთისა აშმედი და უღირსი მამა ბასილი მოვედით შენს წინაშე საქართველოს მონგოლთაგან გამომხსნელო, დიდი ბექავ ჯაყელო, გაუნათე მონას აშმედს გონება,რათა ლომსიას ქრისტეანობა დაიცვას.

– და შენც, ვახახივ, მეუღლეე სამცხის მთავრისა, ქვრივ ობოლთა განმკითხველო და თქვენც ქართველთა დიდო დედუფალო, ნათელავ, მოგიწოდებთ ეეედრეთ წმინდა ღვთისმშობელს ჩვენი გადაწყვეტილებისათვის.

– და შენც, პაპავ სარგის, მეომარო უებროვ, ამირსპასალარო, ხელოვანნო მშვილდოსანო, სიბრძნის ისარი სტყორცნე გასაჭირში მყოფ მესხეთს, და საქართველოს.

– და შენც, არქიტექტოროვ საფარისა, ფარეასა ძევ, გვამცნე რჯულის ქვაში გადმოცემისა და რწმენის შენებით განმტკიცების იდუმალება," – წინამძღვარი კიდევ დიდხანს ლოცულობდა და საფლავის ქვებს ცრემლით ალბობდა.

აკლდამიდან გამოდიოდნენ ფაშა და წინამძღვარი, როცა აშმედმა სულიერს მამას მესხეთისას უთხრა:

– ამ ღამეს, საფარის ტაფობზე დედა ღვთისმშობლის საფარველქვეშ გავათევ და დილას მზის ამოსვლისას გეტყვი საბოლოო გადაწყვეტილებას ჩემსას.

– წმინდა ღვთისმშობლის საფარველქვეშ უფალი და დედა ღვთისმშობელი მოგივლენს ნათელ ასრს, შვილო ჩემო, – ცრემლი მოსდიოდა კვლავ წინამძღვარს. იგი ხელებგაშლილი მოეხვია აშმედს და მკერდზე ეამბორა მას.

* * *

ისევე,როგორც ლაშქრობისას ტყავებზე,თავქვეშ უნაგირამოდებული ეძინა იმ ღამეს აჰმედ ფაშას. ერთგული ყონაღი, ასლან ბეგ ფალავანდიშვილი პატრონის გვერდით თეთრ ნაბადში გახვეული დაღლილი არწივივით თვლემდა. იასამნისფერ ღრუბლებში მოკამკამე ნესვისფერი მთვარე საფარის კლდის ქიმს, ფაშას სახესა და მის უკან აღმართულ ძველ კოშკს მისტიურ ფერებში ხვევდა. „სარგისის ციხის" სახელით წოდებული ძველი ციხე–კოშკის ერთ–ერთ საბრძოლო ბილიკზე ქვასავით უძრავად მლოცველი, თავად მონასტრის წინამძღვარი ბასილი იყო.

ტყის ქათმებმა შეიფართხალეს ალიონზე. მყრინველთა გალობამ, მჯახე და მყვირალა ხმებმა, მონასტერს სიმშვიდის საბურველი უთენიას შეუგლიჯეს და საფარის საკანე განთიადის საერთო ფერხულში ჩააბეს.

თვალებგახელილი იწვა აჰმედი, ჩუმად და უხმოდ უსმენდა ზეციდან წამოსულ სურნელების შეჯახებას მიწიდან ამოსულ ფორიაქთან, ბრძოლასთან და ხმოვანებასთან. ზეცა თავისი უკიდეგანო სივრცეებით ამშვენებდა, აოკებდა მიწას, ხოლო მიწა ბორგავდა და უსაშველოდ ითხოვდა საქმეს, ვიღაცის მიერ ვიღაცის ძლეევას, თავგანწირვასა და გარდაცვალებას.

სივრცისა და მიწის შეჯახებისა და ურთიერთგადაკვეთის ადგილას უჩინარ ზეცის კარიბჭესთან იწვა აჰმედი და აქეთ–იქით სფეროსებრი, საფშვინველის მსგავსი, რძისფერი და სხივების დამაოკებელი საბურველი მოხვეოდა მას. ბავშვივით ეღიმებოდა აჰმედს, გული აფეთქებას, ხოლო სული დაოკებას, ამ საბურველში დარჩენას და მასთან ერთად შორს, კლდეებისა და მონასტრების ზევით უჩინარ გადაფრენას სთხოვდა.

* * *

— გადაწყვეტილება მიღებულია, ჩემი ბრძანებით ლომსიას გორაზე აიგება თურქთა მიერ მეჩეთად გადაკეთებული, მაგრამ დღესაც ქრისტიანულად მოღალადე კონსტანტინოპოლის აია სოფიას მსგავსი, მისი სულისა და მოყვანილობის გადმომცემი ტაძარი. თუ სულთანი მასსედ ბრძანებს, რომ იგი არ გახლავთ მეჩეთი, მაშინ თავადვე გადათქვამს მართლმადიდებლების მიერ ცრემლით დატირებულ აია სოფიას ძალად გამეჩეთებას და გამუსლიმანებას. უკეთუ სულთანი გადაყლაპავს წყენას და ჩემს ნაგებობას მიიღებს, მაშინ იგი საზარელ შურისძიებას ჩაიფიქრებს, რომლის წარმატებისა თუ წარუმატებლობის მიუხედავად ახალციხეს, მესხებს და ივერიის მკვიდრთ სამუდამოდ თვალწინ ექნებათ ძეგლი მართლმადიდებლური ქრისტეანობისა. მე მწამს, მამაო, ჩემს მიერ აგებულ ტაძარში ქართულად ილოცებენ ჩემი შთამომავალნი, — ამბობდა ანთებული თვალებითა და საოცრად ნათელი შუბლით აჰმედი და წინამძღვარს ცრემლიან თვალებში შეჰყურებდა.

— ქართველობა მოწამეობრივობა და სულის უკვდავებაში საკუთარი ხორცის დარწმუნებაა, შვილო, — პირჯვარს სწერდა შინ დაბრუნებულ უძღებ შვილს ბასილ წინამძღვარი.

* * *

.საფხულის დასაწყისს ახალციხეში დიდი მშენებლობა დაიწყო. კირითხუროთა, ქვისმოლელთა, მიწის მუშათა და სხვათა ბანაკმა უძველესი ქალაქის კედლებში დაიბანაკა. ფაშა თავად ადევნებდა თვალყურს მესხეთის შუაგულში გრანდიოზული მშენებლობის მსვლელობას. მისსავე ბრძანებით, განსაკუთრებული მანდატურნი იცავდნენ განტოტვილ ხარაჩოებთან მიმოსელის ბილიკებს და ამიტომაც ცნობისმოყვარე მგზავრს მხოლოდ მუშათა ნაჯორავებით შეეძლო იმის გარ-

ქვევა,თუ რა ხდებოდა ლომსიას თავს. ახალციხელი ქრისტეანნი და ქართველი მაჰმადიანნი პირველ ჟამს გულგატეხილი გაჰყურებდნენ ჭიანჭველის ბუდის მსგავს კერას მშენებლობისას. წელში გატეხილი ძირძველი ახალციხელები თელიდნენ, მეჩეთს დაგეადგამს თავს ფაშაო და დუმდნენ. ერთ დღეს საოცარი ხმა დაირხა ხალხში, – არქიტექტორმა საკურთხეველის ადგილი მონიშნა და ღამით საფარელი წინამძღვარი მოიყვანა. სად მეჩეთი და სად საკურთხეველიო? – ჰკითხულობდნენ ერთმანეთთან ვითომ მატყლის საჩეჩად გადასული მესხი ქალბატონები და მაჰმადიანურ სამოსში გამოწყობილ მეუღლეებს გაბადრული უბრუნდებოდნენ. საფაშოს ყადი თავდგირიძე, როგორც ფაშასთან განსაკუთრებით დაახლოვებული პირი, დარბაისლად დაიარებოდა მშენებლობაზე და არემარეს მრავალნაცადი სარდალივით ათვალიერებდა. წიგნიერებით ცნობილი და ერთ ერთი უმდიდრესი ბიბლიოთეკის მფლობელი აჰმედ ფაშა მთავარი ხარაჩოების გვერდით წიგნთსაცავსაც აგებდა და მოქალაქეებისათვის ლომსიას უბანში შადრევანსაც კაზმავდა.

* * *

ფირუზისფერ მარმარილოს სრუტის სიახლოვეს დაბანაკებულმა ოსმალთა მეჯლისმა რამდენიმე თვე გაუთაევებლად იყაყანა და საბოლოოდ იმპერიის განაპირას, ახალციხის საფაშოდ წოდებულ მხარეში ფანატიკოს მუსლიმან–დერვიშთა გაგზავნა ბრძანა. პიპინესკუ ბეგი სტამბულის ფაშფაშა ყადის გვერდით წიწილასავით რომ ჩაცუცქულიყო, ახლა იმაზე ფიქრობდა, თუ რა ოინს მოუმზადებდა წვეროსან და გულუბრყვილო დერვიშებს სტამბოლელი პოლიტიკოსებით მოთამაშე ქართველი ფაშა და მისი გაქნილი დამქაში რეჯებ ფალავანდიშვილი.

პიპინესკუ ალეგორიულად შენიღბულ წერილს წერდა აჰმედ ფაშას – „რახან მელას გაუძელი, ეხლა დათვებს ელოდეო," – და ბოლოს უმატებდა – „ხუთი წელი თაფლის ჭამამ თავად მოლაც იმსხვერპლაო," – რაც მისი წაგებული

ნიძლავის წლების დამთავრებას და პიპინესკუს თავისუფლებას მოასწავებდა.

პიპინესკუ ბეგი ცდებოდა. სულთანმა,რომელიც დერვიშებს ნაკლებად ენდობოდა, დაგმო მეჯლისის გადაწყვეტილება და თავად გადაწყვიტა გალაშქრება კავკასიაში ირანის ბატონობის წინააღმდეგ. ეს კი მის ახალციხეში ჩასვლას და იქაური ამბების მოკითხვასაც ნიშნავდა.

შემდგომ გაზაფხულს სარანჩასაკით მოუდგნენ თურქი მცირე ა'სიის თემებს. უზარმაზარი,შემზარავი ლაშქრითა და უთვალავი მონებით მოიწევდა თავად მბრძანებელი პლაკაციოს ტბის მიმართულებით და ირანის ჯარის პო'ზიციებს ზვერავდა. ჩრდილის ტბასთან დასცეს ბანაკი თურქთა. ამოდენა ლაშქარი აქამომდე ჯერაც არვის ენახა მესხთა შორის. დაბნეულნი უმ'ხერდნენ ბალკანეთისა და ავსტრიის სახელმწიფოთა დამანგრეველ ოსმალურ რეგულარულ ჯარს და არტილერიას 'ავ'შეთის მთებიდან მომ'ზირალი ერისთაეები. სულთანმა ართვინის, კოლასა და აბოცის საქმეების განხილვის შემდეგ 30 000–ანი ცხენოსანი მეთოფე იახლა და ახალციხის მიმართულებით დაიძრა. ერუშეთის მთასთან მბრძანებელს ა'ჰმედ ფა'შა ეახლა, რომელსაც ოსმალთა გაევროპოებულმა სულთანმა მრავალი ტაბილი სიტყვა უწყალობა და მასთან ერთად წყაროსთავში ქაფქაფა „ხაკა" მიირთვა.

ქალაქში უგრძნეულად შეჭრისა და ყოველივეს აოხრებას მოყვარული თურქნი ახალციხეში დარბაისლურად, სამეჯლისო ნაბიჯითა და გულის გამყინავი მარშით შეეიდნენ. ქალაქი ისე უხვად მორთულიყო ფანრებითა და ფარდაგებით, რომ სულთანმა მხლებლებს უბრძანა ოქროს ფული მიაყარეთო მოქალაქეებს, თავად კი ა'ჰმედთან ერთად თავქარიანობას მოწყურებული დიდი მშენებლობისაკენ გაჭენდა. ისე თავისუფლად მიჰქროდა სულთანი ამ უცხო ქალაქში, თითქოს, სამარადჟამოდ მისი წინაპრების ყოფილიყო იგი. კავკასიის ფერდობებისათვის არჩეულმა ახალთექურმა ულაყმა სწრაფად აიარა ჟანგისფერი ბორცვი, სულთანმა მათრახიანი ხელით თვალები მოიჩრდილა, მზერა დაძაბა და გაშეშდა.

ზღვისა და ხმელეთის მბრძანებლის წინ, ახალციხედ წოდებული პატარა ქალაქში მისი მთავარი მოწინააღმდეგე, ოტომანთა ცოდვა-მადლის გამკითხველი, ქრისტიანთა დალვრილ სისხლზე მოდაღადე, დაუმარცხებელი აია სოფია იდგა.

* * *

გაბოროტებული სულთანი მიზეზს ეძებდა. ერთხელაც, როცა ოსმალთა რეგულარული ლაშქარი მისივე სარდლობით ბრძოლის ველიდან დამარცხებული გამორბოდა, ხოლო მას უკან ყიჟინით იმერელი და გურული ვაჟკაცები მოსდევდნენ, სულთანმა ბრძოლის წაგება ახალციხის ფაშას გადააბრალა. კეახჭირ'ში, იმერეთ'ში, აშედ ახალციხელმა უკანასკნელად მოავლო თვალი ერთგულ მხლებლებს — რეჯებ და ასლან ბეგ ფალავანდი'შვილებს, შესცინა სამშობლოს მთებს და „დამკარიო„ ჯალათს შესძახა.

აშედ ფაშას ცხედარი ერთგულმა მესხებმა ახალციხეში წამოასვენეს და მისივე აშენებული ტაძრისა და ბიბლიოთეკის გვერდით სახელდახელოდ შექმნილ აკლდამაში დაკრძალეს.

1828 წელს გენერალ პასკევიჩის მხედრობამ ახალციხეს შემოარტყა ალყა. ქართველმა თავადმა, პოეტმა და სარდალმა გრიგოლ ორბელიანმა, არტილერიის ცეცხლით ახალციხის იერიშისას მენეთად გადაკეთებულ ტაძრიდან თურქთა სიმბოლო ნამგალა მთელი ზრიალით ჩამოაგდო და თურქნი სულითხორცამდის შეაძრწუნა.

* * *

2002 წლის აგვისტოში მე თავად გახლდით ახალციხეში. ჩვეულებისამებრ, საქართველოს პატრიარქის, მცხეთა თბილისის მთავარეპისკოპოსის ილია მეორეს მიერ რუდუნებითა და დაძაბული შრომით განახლებული საფარის მონასტერი მოვინახულე. დავტკბი ქართა ბერთა სულისმეტყველებით და შვილებს თამარსა და თინათინს საქართველოს ისტორიის მესხური ნოველები ვუამბე.

– წაგვიყვანე რა, მამა, ამშედის ტაძარში, – აღტაცებული სახით მომაფრინდა თამარი.

– წაიდეთ ლა, – მიბაძა დაიკოს პატარა თინათინმა.

მეც გვარიანად მენატრებოდა ახალციხის რაბათის მონახულება და ამიტომაც ყური არ ვათხოვე ხვატით შეწუხებული მეუღლის, ნინოს, გაფრთხილებებს და სწორედ იქეოკენ დაეძარი ჩემი რაზმი.

ქალაქის გალავანში შესული ამშედის ტანმაღალმა და მონუმენტურმა ტაძარმა (მას ზოგიერთი მცდარად ამშედის მეჩეთს უწოდებს) მომსიბლა. აღმშენებელიეით ძლიერი, იდუმალი და ტრაგიკულია სამხრეთ საქართველოს ისტორიის, მისი წარსულისა და მომავლის ამსახველი ეს ძეგლი. იგი მძიმე ჟამს მოღვაწე კაცთა ცხოვრების ამსახველია. საქართველოს უნიკალურ ძეგლთა შორის ამშედის თაოსნობით აგებული ტაძარი დღესაც გამოცანასაეით დგას რელიგიებსა და საუკუნეებს შორის.

იქნებ გამოვიცნოთ ეს გამოცანა, იქნებ ჩავწედეთ ბეწვის ხიდზე გადებულ ბედს ჩვენსას.

რაც შეეხება ამშედის ტაძარს, ვფიქრობ, იგი, როგორც მართმადიდებლურ ტაძრად ჩაფიქრებული, საკურთხევლის მქონე ნაგებობა, უნდა გადაეცეს ქართულ მართლმადიდებლურ ავტოკეფალიურ ეკლესიას.

სისხლით დაწერილი ქართული ისტორია ამასვე მოითხოვს.

შამპოლიონი ანუ ინიციატივა ისჯება

მინისტრის მისაღებში ჩემთვის დამახასიათებელი ყოველად უყარგისი ღრმა მოწიწების გრძნობით შეეედი და მუქ გაცვეთილ საგარძელში ჩავჯექი. ამ დროს „ბროშკამაც"' ინება მინისტრის კაბინეტიდან გამოსელა და ჩემი ერთგვარი ეჭვით შეთვალიერება.

„ბროშკა" მინისტრის მდივანია. ის უკვე ორმოცდაათ წელს მიტანებული გამოცდილი ქალბატონია. „ბროშკასავით" სულ ამ კაცს დაჭყება, სადაც გადაიყვანენ, იქ ჩნდებაო, – ამბობენ მასსე სამინისტროს სხვა ქალები, რომლებიც, რატომღაც ასეეე თან დაჭყებიან სხვა კაცებს უწყებიდან უწყებაში და თვითონაც არ იციან რომელი საქმე ეკითხებათ მათ საბოლოოდ. „ბროშკა" მედგარი ქალია, მე მას ხანდახან შოტლანდიელ მეომარს ვამგვანებ და ასე ვერთობი კიდეც.

– თქვენ მასთან გნებავთ? – იკითხა „ბროშკამ" გააეებით და შავ–წითელა თვალებით მომაფრინდა.

– დიახ, იცით ქალბატონო, გარკვეული პროექტები მაქვს და მინდა ბატონ მინისტრთან შეკათანხმო – ვთქვი მე მეცნიერის ტონით, რომელიც მდივან ქალს არაფრით ეპიტნავა.

– ჩაწერილი ხართ? – ბოხი ხმით მკითხა „ბროშკამ"' და ზევით ამომხედა.

– წინა კვირას ჩავეწერე, – ვთქვი მე და „ბროშკას" შავ, წითელ თვალებში დავიწყე ჩემი ბედის ამოცნობა.

– კარგი, მოვახსენებ, – თქვა მან და სხარტად დაიძრა მინისტრისაკენ.

– შებრძანდით, – თქვა მინისტრისაგან გამოსულმა „ბროშკამ" და თვითონ თავის პორტატიულ ბუდუარში შეჭყო თავი. რატომღაც უეცრად ილია ჭავჭავაძის „ლამაზისეული" გა-

მახსენდა და ამ ქალის მიმართ თბილი გრძნობა გამიჩნდა.

ბატონი მინისტრი უკვე იმდენი სფეროს მინისტრი იყო, რომ თვითონაც ერთმანეთში ერეოდა, ალბათ, მის ფერხთ ქვეშ გართხმული დარგები და სფეროები. 2001 წლისათვის, სამინისტროების გამსხვილების დროს, მის მცირე სამინისტროს ისეთი უწყებები შეუერთეს, რომ მინისტრის ტიტულების ჩამონათვალი რომის იმპერატორის გამარჯვებების სიას ჰგავდა. ასეთი იყო შევარდნაძის მმართველობის ბოლო პერიოდი, რომელშიც სახე და აზრდაკარგული ორგანიზაციები ხანაც ერთდებოდნენ და ხანაც იშლებოდნენ, ჯგუფთებოდნენ და ადგილებს იცვლიდნენ.

მინისტრის საავარძლში მჯდომ კაცს უტყვი სახე და ასეთივე უტყვი გამოხედვა ჰქონდა. ასეთ მზერას მანამდე არსად შეესწრებიკარ. თვალები თითქოს მზის სხივებსაც კი არ აირეკლავდნენ, ძვლების „კარკასზე" გადაკრული სახის სქელი კანი კი ისე გულდასმით იჭერდა ამ კაცის გონების ნაყოფს, რომ გარეთ მის არცერთ მიღწევას არ აძლევდა გამოპარვის საშუალებას.

– დაბრძანდით, მე წავიკითხე თქვენი პროექტი და ეთვალი, რომ ამ მიმართულებით საჭიროა ხანგრძლივი კვლევის განხორციელება. თქვენ აზრებს ჩვენ გამოვიყენებთ იმ შემთხვევაში, თუ თქვენი იდეებისათვის იმ ნიადაგს გამოვიკვლევთ, რასეც ნაყოფიერმა პროცესმა თავისი ხანგრძლივი განვითარება უნდა მოგვცეს, – ამბობდნენ მინისტრის ტუჩები, ხოლო მისი თვალები კი უსიცოცხლოდ შემომყურებდნენ.

მე ძალიან მინდოდა, თუნდაც რომელიმე თანამედროვე და ახალი აზრით გამემდიდრებინა საკუთარი საუბარი მინისტრთან, მაგრამ მისი უტყვი თვალები და სოლიდური ტუჩები არანაირ შანსს ამისათვის არ იძლეოდნენ.

იგი ოც წუთზე მეტს საუბრობდა ჩემთან მონოლოგის სტილში და მხოლოდ წარბებს ამოძრავებდა ამა თუ იმ გამონათქვამისათვის მიმართულებების მისაცემად. მე კი სახეზე აკრული მტკიცე ღიმილით ვუსმენდი მას და, ალბათ, მასავით წარბების მოძრაობით და უფრო ღრმად ჩახეული ღიმილით ვცდილობდი მინისტრის კეთილგანწყობილების დამსახურებას.

– მე თქვენ დამჭირდებით და თქვენს მიერ გერმანიაში მიღებულ ცოდნას აუცილებლად მოვახმართ საქმეს და სამშობლოს. დაუბრუნდით თქვენს ადგილს. მე თქვენს ასრებს გავითვალისწინებ, – მითხრა მან მონოლოგის ბოლოს.

– დიდი მადლობა, რომ მომისმინეთ, – ფეხზე წამოუდექი. ის კი უსიცოცხლო, გაყინული თვალებით დამემშვიდობა და სადღაც შორს, თითქოს მისსავე არაცოცხალ სამყაროში დარჩა.

– მოგისმინათ? – იკითხა „ბროშკამ" დამშვიდობებისას, რასედაც მე უსიცოცხლოდ თავი დავაქნიე და სამინისტროს მეხუთე სართულზე ჩემს კაბინეტში დავბრუნდი.

– მოგისმინა? – იკითხა ჩემმა ერთ–ერთმა კოლეგამ და დაამატა – აუცილებლად დაგაწინაურებს.

ერთი კვირის მანძილზე ვცდილობდი ტელეფონთან ახლოს ვყოფილიყავი. ყოველ ზარზე რაღაც საინტერესო დავალება მესმანებოდა.

ერთი კვირის თავზე ჩემს სამუშაო მაგიდაზე დოკუმენტების დასტა გაჩნდა, რომლის თავფურცელზე მინისტრის ხელწერა იკვეთებოდა. „ბატონო არჩილ" იკითხებოდა გარკვეით, „გთხოვთ განიხილოთ" – მე თითებს ვიკვნეტდი და ეცდილობდი გაკრული ხელით დაწერილი სიტყვების, წინადადებების ამოკითხვას, რაც არც თუ ისე ადვილი იყო.

– ჯერ გამოუცდელი ხართ და ამიტომაც ჩვენი მინისტრის ხელწერას ვერ კითხულობთ, – მითხრა ხელმძღვანელმა ქალბატონმა და დოკუმენტი ხელიდან გამომართვა.

– „ბატონო არჩილ გიბრძანებთ განიხილოთ," – წაიკითხა მან პირველი ბწკარი და გაკვირვებულმა ამომხედა.

– კი მაგრამ, თქვენ რატომ გავალებთ მინისტრი პირდაპირ, წესით ჩემზე უნდა მოენდო დავალება და მე თქვენ მას გადმოგაწერდით, – ხელმძღვანელი ქალბატონი ბრაზისაგან ათრთოლდა.

– არა უშავს, მაგრამ რას გვავალებს თუ შეიძლება გამარკვიოთ, – ვთქვი მე და ქალბატონს თვალებში ჩავაცქერდი.

– იცით, რა, უცხოეთის გამოცდილება არ არის პანაცეა და საჭიროა ადგილობრივი წესების ცოდნა, – კვლავ ათ-

რთოლდა ხელმძღვანელი ქალბატონი და თვალი თვალ'ში გამიყარა.

– მე ვიცი თუ რა არის სუბორდინაცია, ამიტომაც მოვედი თქვენთან ჩემს უშუალო უფროსთან, რომ გამეგო თუ რას მწერს მე მინისტრი თავისი გაკრული ხელით, – აღშფოთებულმა ვთქვი მე და ხელმძღვანელი ქალბატონის კაბინეტი პროტესტის ნიშნად იმწამსვე დავტოვე.

– ეს რას ნიშნავს, თქვენ მეორე სართულზე (ე.ი.მინისტრთან) ჩემთან შეუთანხმებლად ირბინოთ და მერე მე წავიკითხო თუ რა დაგავალათ ბატონმა ავთომ? – დაიკივლა ხელმძღვანელმა ქალბატონმა და აქოჩრილმა გამოიხედა კაბინეტიდან. მინისტრის წარწერით დამშვენებულმა დოკუმენტმა ამ შეკიეულების დროს ფიქრიას მაგიდაზე მოადინა ზღართანი და შემდგომ სიჩუმე ჩამოწვა.

– ეს რას ნიშნავს? – ეკითხე მე სულ მთლად ფიქრებში წასულ ფიქრიას და დოკუმენტების დასტას ხელი ჩავაელე.

– არა უშავს. არჩილ, ქალბატონი ნუკა კეთილი ქალია, მაგრამ ხანდახან ჩვენც ვიტანთ, მისგან ათასგვარ უწმაწურ სიტყვას, ეგ არაფერი, – თქვა ფიქრიამ და ქართველი ქალიშვილისათვის დამახასიათებელი ფართო, მოლურჯო, ზეაპყრობილი თვალებით სიმშვიდე მომგვარა.

– კარგი ბატონო, მაგრამ ხომ უნდა გავიგო თუ რას მწერს მინისტრი, – ვთქვი მე და ფიქრიას მუდარის გამომხატველი თვალებით შევხედე.

– ფიქრიამ მინისტრის ხელნაწერით დასათაურებული დოკუმენტი ხელში აიღო, ქალური სიბეჯითით უკირკიტა მას, შემდგომ შემომხედა და მითხრა.

– „ბატონო არჩილ, გიბრძანებთ გაეცნოთ" – გარკვევით წერია, მაგრამ შემდგომი წინადადებები საერთოდ ვერ წავიკითხე.

– ამ სამინისტროში ყველაზე ნაღდი შენი მეოცნებე თვალებია, ჩემო ფიქრია, – ვთქვი მე და ქალბატონ ნუკას მისაღები დამძიმებული გულით გამოვიხურე.

ამის შემდგომ ორმა კვირამ განვლო. მინისტრის ხელწერა ჯერაც ჩემგან წაუკითხავი რჩებოდა და ამიტომაც დავალება შეუსრულებელი იყო. მე სამსახურეობრივი მაგი-

ლის ქვეშ ამოდებულ მარკეტინგის ამერიკულ სახელმძღვანელოს ვუკირკიტებდი, შეეექცეოდი ფიქრიას მოწოდებულ ცხელ ხაჭაპურს, ვსვამდი ქალბატონ მზიას მიერ მოდუღებულ რძეს და გონებით მარკეტინგულ ძიებებში ვიყავი.

უეცრად ჩემი კაბინეტის კარი მძიმედ გაიღო და მაგიდას ფაშფაშა ქალის ჩრდილი დაეცა.

– არჩილ, რატომ არ ასრულებ მინისტრის დავალებას, გამარკვიე ერთი, რა ხდება თქვენს თავს, – ხრინწიანი ხმით მომმართა ქალბატონმა ნუკიმ და მე, არამწეველს, იაფი ნიკოტინის არომატი მომაფრქვია.

– აჰა, გამარჯობათ ქალბატონო ნუკი, – ვთქვი მე და ფეხზე წამოვდექი.

– მორჩი ერთი ფორსებს, თუ კაცი ხარ, სად არის დავალება, – თქვა ნუკიმ და სავსე მკერდი მუქარის ნიშნად შეათამაშა.

– რა დავალება? – ვთქვი მე გაოცებულმა.

– ამ წუთას მინისტრის ზარმა მთელი სამინისტრო ააწრიალა და მას არაფერიც არა აქვს გაკეთებული, – თქვა ნუკიმ ჩემს ოთახში მჯდომ გარინდებულ კოლეგებს გადახედა, შემდეგ ხელი ჩაიქნია და გამოსცრა:

– ეს პარიზი არ არის, ძმაო არჩილ, ხვალვე ჩემს მაგიდაზე თქვენი დავალება შესრულებული იდება, ან... ან, – ნუკი ბრაზობდა.

– ან? – ვიკითხე მე და ნერწყვი გადავყლაპე.

– მაგასაც ნახავ, – მომაბრიალა თვალები ფაშფაშა ნუკიმ და თეძოების ტაატით გავიდა ოთახიდან.

– კი მაგრამ თუ ვერ ეკითხულობ მინისტრის ხელწერას! – შევძახე ნუკის საზვარაკე ხმოსავით.

– ვერ კითხულობს, შამპოლიონ! – ჩაიდუდღუნა ნუკიმ და მისი ჩრდილი მუქ ფონზე გაუჩინარდა.

– მართლაც შამპოლიონია საჭირო, – ვთქვი მე და თანამშრომლებს გადავხედე, რომლებიც უსიცოცხლო თვალებით მიმზერდნენ. ამ მზერამ ისევ მინისტრი გამახსენა და საგონებელში ჩამაგდო.

– არჩილ, არ იდარდო, – თქვა ფიქრიამ წყნარად.

– როგორ არ ვიდარდო, სულელური მიზეზით ლამის სამსახურს ვკარგავ, – ვიყვირე მე და გარეთ გავვარდი.

„შამპოლიონ" ნუკის ეს სიტყვა რატომღაც გონებაში ჩამრჩა. შამპოლიონს ეგვიპტური იეროგლიფების ამ დიდ მკვლევარს ხშირად ახსენებდა ჩემი მეგობარი, გერმანიაში ჩემთან ერთად ნასწავლებ–ნაწვალები ოთო გოთუა, რომლის დისერტაცია მკვდარი ენების კვლევისა და მკვდარი წერილების წაკითხვის ახალ მეთოდებს ეხებოდა. ისიც გამახსენდა, თუ როგორი მოსაწყენი იყო ოთოს დისერტაცია წაკითხული ბერლინის უნივერსიტეტში, სადაც ჩემი ძმაკაცი იმგვარი თავგამოდებით დაგვყვიროდა თავზე თავის მიერ ამოკითხულ ერთ–ერთი მკვდარი ენის ტერმინებს, თითქოს ჩვენ მუმიები ვიყავით. უჰ, რა ტკბილი იყო ქართული სუფრა გაშლილი ოთოს ბინაში გერმანელი პროფესორებისათვის.

მოკლედ, ოთო მიშველიდა, მისი მეთოდები და მიდგომები დამაძლევინებდა იმ მოულოდნელ დაბრკოლებას, რასაც მინისტრის საიდუმლოებით მოცული კალიგრაფია ერქვა.

– ოთო, სად ხარ ეხლა, ბიჭო, – გავიფიქრე გუნებაში და ძველი ბლოკნოტების თვალიერებას შევუდექი.

ოთოს სახლის ნომერი მალევე ვიპოვე და ტელეფონს იმედით საესე განწყობილებით მივუჯექი.

– ალო, გისმენთ, – მიპასუხა ქალის სასიამოვნო ხმამ.

– გამარჯობათ, მე არჩილი ვარ, ოთო გოთუას მეგობარი, თუ შეიძლება დამალაპარაკეთ.

– ოთო ეხლა საქსახურშია, იქ დაურეკეთ, – მითხრა ქალმა და ტელეფონი მომცა.

– ალო, ოთოს სთხოვეთ, – უთხარი ახალ ხმას, რომელსაც ოთოს მეგობრად გავაცანი თავი.

– საქმეესა, ძმაო, გასული – მითხრა ხმამ და მობილურის ნომერი მომცა ოთოსი.

– ალლო, ბატონო ოთო გამარჯობა – მივესალმე ოთოს მობილურ ნომერზე.

– ვა არჩილ, შენ რა თბილისში ხარ? არ დარჩი ბიჭო ევროპაში? – შესძახა ოთომ სიხარულით.

– იცი რა, ოთო, შენი დახმარება მჭირდება ძმაო, – ვუთხარი ძველ მეგობარს.

– კი ბატონო, – გაისმა ოთოს შეფიქრიანებული ხმა.

– შენ, ალბათ, ეხლა არქეოლოგიურ გათხრებზე ხარ, არა?

– ჩავეკითხე ოთოს

– რა არქეოლოგია, არჩილ, აღარც არქეოლოგი ვარ და აღარც მკვდარი ენების სპეციალისტი, – დაიძახა ოთომ მქუხარე ხმით.

– მოიცა, ხუმრობ ალბათ, აბა სად მუშაობ.

– აგერ გაერიოს მანქანების მძღოლი ვარ, ძმაო. ოჯახი შაქვს ბავშვები მყავს და აქ მოვეწყვე, ეხლა კი გალ'ში ვართ, აფხაზეთთან მოლაპარაკებაზე, – ხალისიანი ხმით მაუწყა ოთომ თავისი ადგილსამყოფელი.

– მე კი შენ ისევ მკვდარი ენების სპეციალისტი მეგონე და მინდოდა შენთან დაშიფრული წერილი გამომეტანა გასაშიფრად, – ჩავილაპარაკე მე უიმედოდ.

– რა არის? შუმერულია? – იკითხა ოთომ გალიდან

– არა „მინისტრულია" – ვუპასუხე მე თბილისიდან და ორიეენ გავიცინეთ, ძველებული ძმაკაცური, ალალი სიცილით.

– „ეჰ ოთო, ოთო, რა იწვალე ბიჭო და რა ტყუილად" – გავიფიქრე მე და მინისტრის წერილის გაშიფრვის ეს ბოლო იმედიც დავკარგე.

მეორე დილას სამსახურში შეკუმშული გულით მივედი და პირდაპირ ფაშფაშა ნუკის კაბინეტისკენ გავემაროე. დაეალება შეუსრულებული, ხოლო მინისტრის წარწერა წაუკითხველი იყო და აღარც კი ვიცოდი რა მექნა.

– დღეს ნუკი არ იქნება, გრიპი შეყრია, – მითხრა ფიქრიამ და ზეაპყრობილი თვალებით მომნუსხა. არ ვიცი რატომ ამიფრთხიალდა გული წყლიდან ამოყვანილი თევზივით. ნუკის ავადმყოფობამ თუ ფიქრიას თვალებმა მომგვარა ხალისი. ვიდექი და გაღიმებული ფიქრიას შეყურებდი, ის კი იჯდა მიყურებდა და მზერით რაღაც ცუდისაგან მკურნავდა.

– ფიქრია, შენ ექსტრასენსი ხომ არა ხარ? – ვკითხე მე გოგონას. მან თავი გვერდით გადახარა ,თვალები ახალი ,თბილი ფერებით შეავსო და მიპასუხა: – აბა რა ვიცი, არჩილ?

საღამოს, სახლში გასეთებმომარჯვებულს, ჩაის სმისას დედაჩემმა ტელეფონთან მისვლა მთხოვა. მეც ყურმილი რიხიანად ავიღე და გავოგნდი, როცა ნუკის ხრინწიანი ხმა

გაიგონე.

– არჩილ, გამარჯობა, ავად ვარ, გრიპი მჭირს, მაგრამ ემუშაობ, შენგან განსხვავებით. საქმე იმაშია, რომ მინისტრს კიდეც მოუკითავს ის დავალება შენ რომ მოგცა. შენ კი იგვიანებ. მოკლედ ბატონი ავთო მთხოვს დაგელაპარაკო და ეგ დავალება ჩაგამთავრებინო. შენ კი მადლობასაც არ მეტყვი მერე, მაგრამ არა უშავს. ახლა კარგად მომისმინე, სასწრაფოდ უნდა ვიმოქმედოთ მე და შენ. მართალია არ გიყვარვარ, მაგრამ მაინც ერთად უნდა ვიმუშაოთ. არ არის საჭირო თავის გამართლება. ევროპაში წასული ბევრი მინახავს, მაგრამ იქედან ჩამოსული ხვირიანი არავინ. ჩვენი მინისტრი კი ირევა ევროპაში განსწავლულებზე და, ალბათ, სწორედ მაგიტომ მოგცა ეგ დავალება შენ, გამოუცდელ კაცს. ახლა, აღარ მინდა კამათი და ბჭობა, მოათრიე ტელეფონთან დოკუმენტები მინისტრის წარწერით და დაიწყოთ.

ნუკის ხმას, ალბათ, მაგიური ძალა გააჩნდა. უეცრად მისმა ხრინწიანმა და გაციებულმა ხორხმა, გლანდებმა და სასამ ამამოძრავა და მთელი ჩემი საქმიანი „საქაღალდეებით" ტელეფონის აპარატთან დამსვა.

– მოუედი, ქალბატონო ნუკი, დიდხანს ხომ არ გალოდინეთ? – ვკითხე გაციებულ, გრიპიან ქალბატონს და უჩვეულო თავაზიანობა ჩავაქსოვე ბოლო სიტყვებში.

– ეგ არაფერი, ჩვენ ყველანი სამშობლოს ჯარისკაცები ვართ, აბა დაიწყე, – ჩაახველა ნუკიმ და რაღაცის მოსასმენად მოემზადა.

– საიდან დავიწყო? – ვიკითხე მე.

– როგორ თუ საიდან, მინისტრის დავალება რაში მდგომარეობს ეგ ადგილი ჩამიკითხე და მერე მე ვიცი, – თქვა ნუკიმ დამაჯერებელი ტონით.

– კი მაგრამ, რომ არ იკითხება პატივცემული ავთოს წარწერა ქალბატონო ნუკი? – გავიკვირვე მე.

– როგორ თუ არ იკითხება? – იკითხა ნუკიმ.

– ხომ გითხარით, ამ დავალებას კი არა მთვებს გადავდგამ, მაგრამ თავად დავალება რაში მდგომარეობს ვერ გავარკვევ, ბატონი მინისტრის გაკრული ხელწერის გამო, – დავიბენი სულმთლად.

– პა, შენ კიდეე არ გაგირკვევია დავალება რაშია და 41 გრადუსიან ქალს მაფორიაქებ, – აფეთქებას იწყებდა ნუკი.

– მე კი არა მთელმა დეპარტამენტმა ვერ წაიკითხა, ქალბატონო ნუკი, და ისიც კი გავიფიქრე, რომ ეს ხელნაწერი, მკვდარი ენების კათედრაზე ძიმეტანა გასაშიფრად და წასაკითხად.

– რაო, მკვდარი ენებისო, შენ რა მაშაყირებ, თუ ვის აკვირვებ ცოდნით, – გაჰკიოდა მთელი ძალით ნუკი.

მე ყურმილი დავკიდე და სარკეში დავიწყე მინისტრის ხელნაწერის ამოკითხვაზე ჩალიჩი. სადღაც გამიგია, რომ ძველი მოღვაწეები დაშიფრულ წერილებს სარკეში წერდნენ და ამ მეთოდით იქნებ ჩვენს მინისტრსაც ესარგებლა. რა თქმა უნდა ვერაფერს გავხდი.

ერთ საათში ტელეფონმა კიდეე დარეკა. ეს ფიქრია გახლდათ.

– არჩილ, რაღაცეები გაგიგე. თურმე ბატონ ავთოს ხელნაწერს ჩვენთან ვერავინ კითხულობს. არის თურმე ერთი ქალბატონი ლიზიკო,ბატონი ავთოს ქართულის მასწავლებელი, რომელიც ჩვენს სამინისტროში მუშაობს არქივარიუსად და მხოლოდ ის თუ არჩევს თავისი მოსწაველის კარაკულებს. ჩაიწერე ქალბატონი ლიზიკოს მისამართი,რადგანაც მას ტელეფონი არ ჰქონია, გაიგე?

– ფიქრია, უღრმესი მადლობა, შენ რომ არა, დავიღუპებოდი, – ვთქვი მე.

– არჩილ ქალბატონი ლიზიკო 84 წლისაა, ამიტომაც იჩქარე, აბა შენ იცი, – მითხრა ფიქრიამ და ამ სიტყვებმა სულ მთლად ამაფორიაქა.

ღამის 11 საათია. პლეხანოვზე, რომელიც ამჟამად დავით აღმაშენებლის გამზირად იწოდება, შავი და ცოდვილი ჩრდილები მოძრაობენ. გამზირი მხოლოდ ალაგალაგ არის განათებული. ავტომობილები მოურიდებელი სიჩქარეებით მიმოქრიან, ფეხით მოსიარულეებს სახეები აღარ მოუჩანთ.

ფაქტიურად ჩრდილების გამზირზე მივდივარ და ნემთვის ვიმეორებ ქალბატონი ლიზიკო, ძაღლის ჩიხი ნომერი 5, სახლის წინ შავი ბირჟა იკრიბება, თუ მკითხეს რაიმე, მაშინ სიმთვრალე ან სიმუნჯე უნდა მოვიმიზეზო, შუშაბანდში

ჩამსხვრეული მინების ნაცვლად აფრიგ სიმონის სურათია ჩასმული, სწორედ ამ სურათის პირდაპირ არის ქალბატონი ლიზიკოს ოთახი, სადაც ეს ქალბატონი ბატონ აკოოს ხელნაწერებს უკირკიტებს. ამ საქმეში ლიზიკო ფულს არ უნდა იღებდეს,მაგრამ ლიქიორს,შავ ყავას ან შოკოლადის შეკერას უარს დღეს ვერავინ ეტყვის".

ვხედავ „ძაღლის ჩიხის" ჩასახვევს, მოჩანს 5 ნომერი, რომელიც რატომღაც 2–ს წააგავს. შაეი ბირჟა უცვლელად დგას. აფრიგ სიმონის სურათი კი არსად აღარ არის. რა ვქნა, – ეფიქრობ მე და ამ დროს თბილისურ მოაჯირზე დაკრდნობილ დედაბერს ვხედავ. იმედით ვივსები.

– უკაცრავად ქალბატონო,ქალბატონ ლიზიკოს მინდა ვესაუბრო, საჩქარო საქმეა, შრომის სამინისტროდან ვარ არჩილ ალბათელი, – ყამბობ მე სხაპასხუპით. დედაბერი მიყურებს, თავს დასტურის ნიშნად მიკანტურებს და ამბობს:

– კიდევ არ ესწავლია წერა იმ შეჩვენებულს, მაჩვენე, აბა, რა გაქვს, შვილო.

აბრეშუმის გზის სტუმრები

„მყარ ჩვევად მაქვს ყოველ ქალაქს სახეც დავუთვალიერო და გემოც გავუსინჯო, ამ მხრივ თბილისი აზიის თეორი მარგალიტია, რომელიც თავისი ათინათებით მნახველსაც ათრობს და მცხოვრებსაც ართობს, არასოდეს მინახავს ასე უსრულველი ხალხი, მოქალაქენი მომღიმარი სახით ხვდებიან ერთურთს. ლამაზ ქალსა ჰგავს თბილისი და მას ისევე როგორც ლამაზმანს,მცირედი გარჯით შეუძლია კარგად იცხოვროს. შეხედე აქაურებს, თუნდაც შედედებული რძის დამტარებელთ, გინახავს ასე ამაყად მოარული ვინმე კაიროში და მაზანდარში. ჩვენში ხელოსანს დღედაღამ ხვითქით ჩამოსდით ოფლი შრომისგან, ამათ კი სულ ქეიფსე და დროსტარებასე უჭირავთ თვალი და მაინც ფული საკმარისი აქვთ. უდაოდ ღვთის განგებამ შექმნა ეს ქალაქი სინათლისა და სიყვარულის ურთიერთობით“,

ეუბნებოდა იბნ ჰაუკალი თავის ძმისწულს, რომელიც ბიძის გვერდით მიუყვებოდა მტკვრის სანაპიროს.

„ეს ქალაქი არაბთა ჩრდილო დასაყრდენი იყო ერთ დროს, ასე წერია ჩემს წიგნებში. ახლაც ვატყობ არაბთა ხელს ქალაქის აღმოსავლეთ მხარეს და ზოგიერთ სახლს შეფენილს მთის ფერდობზე მრგვალი მოედნის პირდაპირ. აქ მე ეხედავ ჩვენ გავლენას და სხვას არაფერს, – კუშტად გამოთქვამდა თავის აზრს ალ აჰმედი.

„ოი, ჩემო ძმისწულო, არ შეიძლება ყველაფერი მხოლოდ შენი წიგნებით შეაფასო, ამ ქალაქში თითქმის ოცდაათჯერ ვყოფილვარ და ვიცი რასაც ვამბობ“.

„რას ამბობთ, ბიძაჩემო, როგორ დავიჯერო, რომ ეს ქალაქი, ამ უბრალო და უწიგნური ხალხის ხელში ჩავარდნილი, არ გვთხოვს ჩვენ – ჯიმართებო, მიდით დაამყარეთ თქვენი წიგნიერი სჯული და კანონები და მოიპოვეთ ის, რაც ერთხელ უკვე გეკუთვნოდათ – ქალაქი საქარავნო გზასე.

ეს ქალაქი ხომ ასე მნიშვნელოვანია დღეს აზიის კარიდან გამოსული მხედრობისა თუ ქარავნისათვის“, – თვალები უბრწყინავდა ალ აჰმედს.

„ჩვენც ყიცით რაღაც ძმისწულო, ის წიგნი მე არ წამიკითხავს რითაც შენ დღედაღამ გაბრუებდნენ მედინის სასწაულებელში. მე ყველაფერი გზებით მაქვს ნასწავლი, გზები კი თავად წიგნებია, მასზე ქარავნები წერენ და შემდეგ გამოცდილი სალხი კითხულობს ამ წიგნებს. შენ პირველად ხარ მგზაურობაში, არცთუ ურიგოდ გიჭირავს თავი, მაგრამ ჯერ ვერ კითხულობ საქარავნო გზის სიბრძნეს. ერთ ამბავს მოგიყვები ამ მხარეს რომ წარმოაჩენს წარჩინებულად და ღირსეულად.

ერთხელ შენი მამის იაკუბ იბნ აჰმედის სიცოცხლის ჟამს ჩვენი ქარავანი ბარდასთან შეჩერდა. ჩამორჩენილ აქლემებსა და მათ მცველთ ველოდებოდით. ასე უქმად ვიდექით ერთ დღესა და ერთ ღამეს. გამთენიისას ზეცა თქეშად დაინთქვა დედამიწაზე, მუჭის სიმსხო ღვარცოფი და სეტყვა დაატყდა თავს ჩვენს ბანაკს, დაუბერა აღმოსავლეთის ქარმა და გალაენის გარეთ მყოფ სახლებს სახურავების აგლეჯვა დაუწყო. ჩვენი კარავი ბუმბულივით აკრიფა ქარმა, გადატყდა კარვის ერდო და ნატეხი იგი შუბივით ჩაესო ჩემს მსახურს ყივნაღ ოთაღოს, აქლემები უდაბნოს ქარაშოტებს შეჩვეულ ქარს მტკიცედ რომ უძლებდნენ, ხოშკაკალამ გადამირია და გამიქცია. სასოწარკვეთილი ხან აქლემებს მიესდევდი დასაჭერად და ხანაც მსახურებს ვშველოდი ბარგის შეგროვებაში. ქარი არ ცხრებოდა. წვიმა იმგვარად გაძლიერდა, რომ ბარდავს მცხოვრებნი ციხე-კოშკს მიაწყდნენ და ქალაქის თავს ციხეში შეშვება მოსთხოვეს. წვიმის წყლით მოდიდებული მდინარე ბარდავის ჯებირს და სარწყავ არხს გრგვინვით ეჯახებოდა. მცირე ზომის არხი ვერ უძლებდა გადარეული ბუნების შემოტევას და დატბორვით ემუქრებოდა არა მარტო ბოსტნებს, არამედ ქალაქსა და მის შემოგარენს.

უმწეოა კაცი ბუნებასთან შერკინებისას, სტიქიონის შემოტევა წამალია კაცთა თავნებობის განსაკურნავად. შეეყურებდი თუ როგორ მინადგურებდა ქარიშხალი და წასალე-

კად მოეარდნილი მდინარე იმ აელადიდებას, რაც ცოდვითა და ჯაფით მქონდა ნაშოვნი და თავს ვერაფერს ვშველოდი. ამ დროს დაჭრილმა ოთაღომ შემომყვირა – ციხეში შედით, ბატონო, და ამ საქონელს მე მოვუვლიო. ავიღე ხელში ფულით სავსე ზარდახშა და ციხე კოშკისკენ წავედი არა იმიტომ რომ მეშინოდა, არამედ იმიტომ, რომ ქარაულის სამოძრაოდ ასე საჭირო ნაღდი ფული გადამერჩინა და შემღეგ ჩემ მხლებლებთან ერთად შინ დავბრუნებულიყავი. ძლივს მიკიკელეედი გზას მოლიპულ სრიალა ფერდობზე და როგორც იქნა ციხე–კოშკის კართან აღმოვჩნდი. ჰეი, ციხისთავო, შემომიშვით, გთხოვთ, უცხოელი კაცი ვარ, ქარაულის თავი, – შეეძახე მე და კარიბჭეს ხელი დავკარ. წვიმა ძლიერდებოდა და არემარე დაბნელდა ამ დროს. მთის ძირი, სადაც ჩემი ბანაკი და მსახურნი დავტოვე, თითქმის აღარ ჩანდა. სასოწარკვეთილი გავყურებდი გადარეულ გარემოს, გონებაში სარალს ეითვლიდი და ეელოდი თუ როდის გამიღებდნენ კარს ქალაქელნი. ერთ–ერთი სარკმელი რომ გაიღო და წეერიანი კაცის მსუნაგი თვალები დავინახე, უნებურად ზარდახშას ქულაბა ჩამოვაბურე და სარკმლისაკენ ავიხედე, წვეროსანი აღარ მოსჩანდა. სამაგიეროდ რამდენიმე ხანში კარიბჭე გაიღო და ოთხი შეიარაღებული კაცი აქეთ–იქეთ ამომიდგა. ორმა მათგანმა ხელები გამიკავა, ხოლო ორმა ზარდახშა გამომგლიჯა ხელიდან. აღარ ვიცოდი მეყვირა თუ მეტირა, წინააღმდეგობის გაწევა აღარ შემეძლო, დავიჩოქე ქალაქის კარიბჭესთან და სველ მიწაში ჩავყავი თავი. ასე ვეგდე ერთხანს და მერე, როცა თქვში შეწყდა, ფეხზე წამოვდექი და ქალაქს ავხედე, მთელი მრისხანება ჩავაქსოვე ყვირილში და როცა ვიყვირე, კატის კნაეილს წააგავდა იგი, შეძრცხეა კიდეც საკუთარი უსუსურობის და თავი ჩავქინდრე. გახსოვდეს კარგად, ყველაზე მამაცი კაციც კი შეიძლება უსუსური აღმოჩნდეს უეცარი უბედობის წინაშე. მეც მდიდარი და სახელოვანი ახალგაზრდა უეცრად ყარიბად გადავიქეცი. აქლემები აღარ მყვანდნენ, მსახურნი ტალახიდან და ტბორებიდან ამოსულ მათხოვართ მივამსგავსე. მდინარის თავხედობას გაეტაცა თითქმის ყველა ყუთი და ზარდახშა რაც მე მებადა. სველ მიწაზე დამჯდარი ეუყურებდი ზეცას და ჩუმად ვტი-

როდი. ეტიროდი, როგორც უბირი და ღატაკი, დამარცხებული და უიმედო. ღამდებოდა. მხოლოდ დილას უნდა მომეძებნა ჩემი აქლემები და ეს ასრი აფორიაქებდა ჩემს სულსა და გონებას.

ღამე თეთრად გავათენე,ელოცულობდი. ლოცვა იმედს მიმატებდა და ღმერთის ხსენება ძალას. გავიხსენე თითქმის ყველა ნაცნობი ამბავი ქარავანთა შესახებ და მივხედი ჩვენი გზა ფათერაკებით უნდა ყოფილიყო საცხე, ხოლო ჩვენი წყური გამოცდილებით. რატომ აქვს ქარავნის თავს მშვიდი საცხე მსერა? იმიტომ რომ თვალები მისი წვდებიან და ხედავენ მთებსა და ზღვებს შორის გადაჭიმულ იმ სიბრძნეს — მოგებას რომ ეძახიან. მივხედი ახლა ამ ავბედობის ჟამს უნდა ვყოფილიყავი მედგრად და გამემხნევებინა მსახურნი ირგვლივ. სულ მალე ფეხზე დავაყენე ჩემი დაკონკილი რაზმი და დაკარგული აქლემების მოსაძებნად გავეშურე. მართალი გითხრა ვგრძნობდი, რომ ვიღუპებოდი. დაღუპვის პირას იდგა მთელი ჩემი საქმე, ღირსება და მომავალი. გალუმპული და დაჩაგრული, ღვთის ნებით მიეიწევდი ახალი დღის შესახვედრად.

არც კი ვიცი, რამდენი ვიარე უსიტყვოდ და უხმოდ. ნისლი, რომელიც ახლომდებარე ბილიკებს მოსავდა, ნელ–ნელა შარაგზისაკენ მოიწევდა. ვერ ვიტყვი ვიცოდი კი საით მიმყავდა ჩემი ხალხი? არა, არ ვიცოდი. ასევე უმიზნოდ და უგონოდ ვინ იცის რამდენ ხელმძღვანელს უტარებია თავისი დასტა. მეც მიმყავდა ყივჩაღი და არაბი, ირანელი და ერთიც უტომო და უმეცარი კაცი — ფეროზი. ყველანი უხალისოდ მომყვებოდნენ, ყივჩაღი ოთაღო მთისკენ იყურებოდა დაბაფრული, არაბი მიწას ჩასჩერებოდა ხოლო ირანელი ცას. მარტო ერთი ფეროზი მომდევდა და მისი სუნთქვის ხმა თუ იპყრობდა ჩემს ყურადღებას ამ დროს.

— ფეროზ, — მოვუტრიალდი მას ღიმილით — საით მივდიეართ არც კი ვიცი, თუ ასე გაგრძელდა ან ვიღაცა დაგვხოცავს გზაში, ანაც ოქვენ — ჩემი ხელქვეითნი მომისწრაფავთ სიცოცხლეს უთავბოლო წინამძღოლს.

— დიდო ბატონო, გზაში მრავალი რამ გადამხდენია. ამ საქმეს ვიცნობ, ხეტიალში გავსრდილვარ და გამოვბრძმე-

დილევარ. არც მე ვიცი საით მივდივართ და როდის შემოგ-ეხვდება თუნდაც ერთი წესის, ადათისა და სჯულის დამ-ცველი დასახლება, სადაც ბატონი ისევ ბატონად გადაიქცე-ვა, ხოლო ყმა – ყმად. მაგრამ გოხოვთ ერთს, იარეთ ი

განრისხებულ მარტორქასავით.

არაფერი ვიცი რა მოხდა ჩემს ბანაკში, ასე ვოელიდი და ახლაც ეთვლი, რომ სიკვდილი იქვე ახლოს დარორინებდა იმ დამეს და ეს ყოველივე მამამ შეიტყო, ჩემი უტყვინობით და გამოუცდელობით აღშფოთებულმა.

გამოენიისას უკაცრიელ ტბას წავაწყდი, ცხოველივით დავეწაფე მის წყალს და ამ დროს საკუთარ ანარეკლს შევაყლე თვალი, არეული სახე, მღვრიე უძილარი თვალები და, რაც მთავარია, 'ში'ში შემომყურებდა ტბის კამკამა წყლიდან. შემეცოდა ჩემი თავი და რაც მთავარია, სამშობლოდან ასე შორს გადმოგდებულმა იმედთან გამოთხოვება წარმოვიდგინე. იქვე ტბის პირას დავწექი სიკვდილის მოლოდინში და შეწუხებული ველოდი ჩემ ხვედრს. რამდენიმე ხანს ასე ვეგდე და ველოდი რაღაც უსილაესა და საშიშს. ცოტა სნის შემდგომ ჩემი თავის დაცინვა დავიწყე გულში. ამან გამამხნევა. რაც უფრო დავცინოდი ჩემს თავს, მით უფრო მძულდა ჩემი 'ში'ში და საქციელი. სულ მალე იქვე ნაპირთან დაგდებულ სიპ ქვას დავავლე ხელი და შეეძახე ომახიანად – „ჰეი, გამოდი, შემებრძოლე, თავი უნდა ჩაგიმტვრიო–თქო" – რა თქმა უნდა არავინ გამომეპასუხა.

აი, აქედან იწყება ჩემი ხელახალი აღორძინება. მრისხანებით აღტკინებული მივიწევდი წინ,ვახტებოდი ლოდებსა და ქარაფებს და უცნობ ბილიკებს მივთელავდი. ხელში ქვა მეპყრა და სულში უდარდელობა მედო თავხედობასთან ნაზიარები. გადაეიარე მთა, ტყე და ფაროო ველზე გავედი, აქლემი რომ გადააწყდება მოსისინე უხსენებელს, ეგრე მოულოდნელად თავზე წავადექი მინდორზე გაწოლილ ფართოდაშნიან და ოეორ ყაბალახიან მეომარს, რომელიც იმდენად დაიბნა ჩემი დანახვისას, რომ ფეხზე წამოჭრაც კი დააგვიანა. ამასობაში მე ვეძგერე მას მაჯებში. დაშნა წაეართვი და მისი ქარქაშიდან ამოღება დავეაპირე, ამ დროს რამდენიმე მუსარადიანი კაცი წამოიჭრა ბალახებიდან, ყველამ რაღაც შეჰყვირა, ხმლები გააშიშვლა და მომვარდა.

მე მრისსანედ დაეტრიალდი ამ მოქმეთა მიერ გარშემორტყმული. ერთი იმწამსვე დავჭერი მაჯაში და მისმა ღმუილმა კიდე უფრო გამაცოფა. ჩემს მიერ დაშნაწართმეული

კაცი შუბშემართული მოქროდა ჩემსკენ. ვიგრძენი მისთვის დიდი შეურაცყოფა იყო იარაღის წართმევა და ახლა ჩემი სისხლით აპირებდა სირცხვილის განელებას. დაშნაწარ-თმეულმა სწრაფად მომიქნია შუბი და ბარძაყში დამკოდა. არაბულად ვიყვირე – ყარიბად სიცოცხლეს სიკვდილი მირჩევნია–მეთქი და დაშნაშემართული მივუხტი ჩემს დამ-ჭრელს.

– შუბოსანი ჩემს ენაზე მეუბნება – „ვინ ხარ თქვი, რად დაგვესხი თავს?“ – და ტანსაცმელზე მაკვირდება.

არაბულის გაგონებისას თვალთაგან ცრემლი წამომ-ცვივდა, დაშნა შორს მოვისროლე, ჩავიმუხლე და ალაჰს შევევედრე თავიშუბოსანი შედგა და ჩემს სურგს უკან მდგართ მჭახე ბგერებით რაღაც უბრძანა. მე დაბნეული ვიდექი და ვერძნობდი სმალგაშიშვლებული მიმზერდნენ უცნობნი და ერთმანეთს რაღაცას ანიშნებდნენ.

„რა გქვია და საიდან მოდიხარ?“ – მკითხა ჩემს მიერ დაშნაწართმეულმა.

– რა მნიშვნელობა აქვს საიდან ვარ, თუ მგზავრებს თავს ესხმით, მაშინ მეც მგზავრი ვარ, – ვუპასუხე დაეჭვებ-ულმა მათი რიცხოვნობით.

– ჩვენ მგზავრებს არ ვერჩით, შენ ჩვენს უფროსს დაესხი და ღირსი ხარ, რომ აქვე მოგკლათ, მაგრამ ჩვენ არ ვკლავთ უიარაღოებს, თქვენგან განსხვავებით. ამიტომაც ცოცხალი ხარ, – მიპასუხა დაშნაწართმეულმა.

ამასობაში ჩემს დამტყვევებლებს რამდენიმე ათეული მსედარი შემოემატათ. ახლა კი მართლაც არ ჰგავდნენ ისინი შარაგზის ყაჩაღებს. ცოტა ხნის შემდეგ მათ დიდი ტყავის დოლს ჰკრეს ხის ჩუგლუგით, რასმი ოთხრიგად დაეწყო და სამი თეორცხენოსანი გამოჩნდა, რომელთა შო-რის ერთი შავი ჯაჭვით შემოსილი ვეება რაინდი, მარ-თლაც რომ დათვს წააგავდა. მის ძალუმ სხეულს წითელი ტოგა ემოსა, ისეთი, როგორც ბიზანტიელ პატრიციებს აცვი-ათ, ხელში მსუბუქი მშვილდი ეპყრა და ყველას მამაშვილუ-რად ეპყრობოდა. ასევე ყველა მოწიწებით ეპყრობოდა მშვილ-დიან გოლიათს, მე ვიგრძენი, რომ მის გამოხედვაში ვეფხვი და მარტორქა იმალებოდა. რასმეული დაეწყო, ცხენოსნებმა

დაიქვეითეს და ერთ ჟამს ჩემსკენ შემოტრიალდნენ. ვერ ვიგებდი მათ უცნაურ ენას, რომელიც მე ფრინველთა სმენს მივამსგავსე თავდაპირველად, მაგრამ ვხვდებოდი რომ მ'შვილდიანი ჩემზე ეკითხებოდა მის წინ დაწოქილ რაზმელებს და ჩემსკენაც იყურებოდა. ამ დროს მეც მიმიყვანეს მასთან და მიწაზე დამაგდეს.

– ვის მოკვლას ლამობდი გვითხარ, ისმაილიტო, – საკმაოდ რბილი არაბული სიტყვებით იკითხა მ'შვილდიანმა ბელადმა.

– არავის მოკვლას არ ვლამობდი, ვუთხარი მე და შემდგომ მთელი ჩემი ამბავი მოვუყვეი სვენებ–სვენებით. ბელადი შედგა, ცოტა ხანს მიყურა გამჭოლი მზერით, მისი წაბლისფერი თვალები არწივისებური ცხვირი ჩემი ა'სრების წაკითხვას ლამობენ.

– ყოველთვის ასე ლაპარაკობთ,იგონებთ რასმეს,ნუთუ გგონია რომ მე თუნდაც დავემალებოდი 'შენს ან 'შენი ხალიფის თუ სარდლის გამოწვევას? –მკითხა მან.

– სარდალო, – მიეუგე, მე არასოდეს მითქვამს ტყუილი, რადგანაც მართლმორწმუნე ვარ, თუ გნებავთ 'შეამოწმეთ ჩემი სიტყვები, გნებავთ დამსაჯეთ.

– როგორ შეიძლება შეეამოწ'მოთ ის, რაც მოგვიყვეი? – იკითხა მ'შვილდიანმა ბელადმა.

– ბარდაში გაგ'სავნეთ ვინმე და ჰკითხეთ ქალაქის მცხოვრებთ ჩემი ქარავნის დაღუპვის ამბავი, არა მგონია, ხალხს არ ახსოვდეს თუ რა მოხდა გუშინწინ, ხოლო თუ არავინ გყავთ გასაგზავნი, მა'შინ თვით უფალი იყოს ჩემი ია'ვდები, – ვთქვი მე მძაფრად.

– ნუ გეშინია ვაჭარო – მომმართა ბელადმა და სიტყვა ვაჭარი რადაცნაირად, ზიზღით წარმოთქვა, მალე ჩვენ ყველანი ბარდავში ვიქნებით და ბარდავის გამგებელს ია'ვად უთხარი 'შენი სათქმელი. მე განგსჯით ორთავეს და ვინც მტყუანი გამოდგება, თავიც იმან დაკარგოს, – თქვა ბელადმა სიცილით და ჩემს მცველებს ხელი აუქნია.

– ჩვენთან მოდიხარ, მაგრამ იცოდე თუ გვატყუებ, ჩემთან გექნება საქმე, – მითხრა და'შნაწარომეულმა.

მიმოვიხედე, სულ უფრო და უფრო მეტი ცხენოსანი მო-

იწევდა ჩვენს გარშემო. შორს დროშები გამოჩნდნენ და რაზმებად დაწყობილი სადღაც გაემართნენ. ჩემმა მცველებმა ცხენზე შემაჯინეს და ხელებიც კი არ შეუკრავთ ჩემთვის, ისე გამაჭენეს.

— საოცარი ხალხია, ნეტავ ვისთან მოვხვდი? — ვფიქრობდი მე და ცხენს მივაჭენებდი. დაბლა გზაზე მშვილდოსნები და შუბოსნები მოემართებოდნენ ჩქარი ნაბიჯით, მონა სპებს დაშლილი საალყო მანქანები მოჰქონდათ, ღერძებს ჯორები მიაგორებდნენ. უეცრად ჩემმა მცველებმა ცხენიდან ჩამომათრიეს და მჭახე სიტყვებით მიწაზე განმართხეს. თვითონაც დაიჩოქეს. როდესაც თავი ავწიე და ზევით ავიხედე,მიწაზე დამხობილი ლაშქარი დავინახე. ჩემი თვალები ეძებდნენ ვიღაც ხელმწიფეს ან სპათა განთქმულ სარდალს, მაგრამ მათ ნაცვლად ვეება ტყავის შალითაში შეხვეული ჯვარი დავინახე. „გურჯების ხელში ვყოფილვარ ჩავარდნილი, — გავიფიქრე უმალ და თვალი გავაყოლე საომრად მიმავალ ქრისტეანთა სიმბოლოს, რომელსაც წვეროსანი რაზმი მიასვენებდა“.

— შემდეგ რაც მოხდა, ბიძაჩემო, მივხვდი კარგად, რადგანაც ვიცი რომ იმ ჟამიდან მოყოლებული ქარავანი უეჭველად თბილისზე დაგყავს, — თქვა გაღიმებულმა ალ აშმედმა და იბნ ჰაუკალს შეხედა, რომელიც მოღვენთილი სანთლის ფორმის სახით მონუსხული გასცქეროდა სიონის მონასტრის დედო—ჯვარს.

მთავარის მგოსანთა ვნებათაღელვა XII ს–ში

მთვარე შუბის ტარზე იდგა, როცა მოსასვენებლად ნატიფი ჩუქურთმებით შემკულ ტახტზე წამოწოლილ ალ აშმედს მრავალხმოვანი სიმღერა მოესმა. მკაცრ შიიტად აღზრდილი ალ აშმედი მარცხენა თეძოზე გადატრიალდა და მარჯვენა ყური თითით დაიცო. სიმღერა შეწყდა, ყურებდაცულ აშმედს მარტოოდენ საკუთარი გულის ცემა ესმოდა: ბაგ–ბუგ, ბაგ–ბუგ, ბაგ–ბუგ. გავიდა რამდენიმე ხანი. აშმედმა მარჯვენა ყურიდან თითი გამოიღო და მეორე თბილისელ მომღერალთა ხმები მოძალადესავით შეიჭრნენ ალ აშმედის ყურში, ავიდნენ ტვინში, თვალის ფოსოებში და ქვევითაც ჩაიჭრნენ სტომაქში, უფრო ქვევითაც გაითამაშეს. კუშტმა არაბმა მეორე დაიცო მარჯვენა ყური და საკუთარ გულის ცემას მიენდო: ბაგ–ბუგ, ბაგ–ბუგ, ბაგ–ბუგ – აგრძელებდა „სიცოცხლის ჩაქუჩი“ თავის ჩვეულ საქმეს.

ცოტა ხანს ასე იწვა ალ აშმედი და დაძინებას ცდილობდა. თვალს რული არ ეკარებოდა, მაგრამ აშმედი მოთმინებით ელოდა მას. გ'საში ზლა'ვნითა და ტაატით მიმავალ აქლემებზე ხშირად ჩათვლემია ახალგაზრდა არაბს, თბილისაკენ ათიოდე დიდსა თუ პატარა ქალაქში მოუსვენია, მაგრამ ისლამის სპარსული ხალიჩასავით ჭრელ სხეულზე, შუბიანით მიბჯენილ ურწმუნოთა ქალაქში ბოლო ორ ღამეს ვერ მოესვენა მოქარავნეს.

მცირე ა'სიელი ბერძნის პონიდიქიონში ცხოვრობდნენ ისინი. ბიძა იბნ ჰაუკალი დილიდანვე ეთხოვებოდა ალ აშმედს და საქმეებს მი'ზ'სობდა. მხოლოდ ღამით ბრუნდებოდა იგი 'უკან და იძინებდა. სიჩუმეს და მარტოობას მიჩვეული ალ აშმედი წესისაებრ ლოცულობდა და ფოლიანტებს ათვალიერებდა მთელი დღე. ალ ჯებრისა და ალ მუკაბალას ა'სრებში ჩაძირულ, ცოდნის მაძიებელ არაბს

არაფრად მიაჩნდა ურწმუნოთა ქალაქი და მასში მცხოვრებები ბრბო. სარკმლიდან ხედავდა იგი აღმა–დაღმა მიმავალ გაბურძგნულ თმა–წვერიანთა გუნდებს, ესმოდა მათი გაცხარებული რატ–რატი და ასე გადიოდა დრო. ღამე კი ჩვეულებრივ ეძინა ალ აშმედს მორწმუნე კაცის მშვიდი სავსე ძილით და კმაყოფილი სინდისით.

სწორედ ორი დღის წინ ასევე კმაყოფილი, საკსე აზრით გამოელვიძა აშმედს. როგორც ყოველთვის განიბანა და ლოცვა აღავლინა მან. შემდეგ მცირედ ისაუსმა ბერძენი ქალის მიერ მისივე წესით მომზადებული ცხვრის წვნიანით. საჭმლის მოსანელებლად პონდიქიონის ეზოში რამდენიმე ხანს სწრაფად იარა. რამდენიმეჯერ მოიქნია დამასკური იატაგანი, ბრწყინვალედ გაჰკვეთა მიწაში ჩასობილი ალმიანი სამიზნე და ოთახში აიჭრა. ამის შემდგომ ალ აშმედი ალ ჯებრის ეარჯიშს შეუდგა.

შუადღემდე ეძალებოდა იგი სხვადასხვა კეიმატურ გამოცანებსა და სავარჯიშოებს. ოცითნაბადი ოქროს სოდიკით ნელ–ნელა იკვეთებოდა დავიწყებული სიბრძნე, უმეცრების ნისლოვანი იდუმალებიდან. ალ აშმედის გული შეუცნობელ სიხარულს გრძნობდა და სხეული ცოდნის შუქით განათებულ გონებას ლაღად მიანიშნებდა მათი კავშირის სიდიადესა და მიზანზე. თვით გონება და იქედან მომზირალი კაშკაშა აზრი, ისევე როგორც არქიმედის სარკეებით ერთად შეკრებილი მწველი სხივები, შესებისას ნელა, მაგრამ უშიშრად არღვევდნენ, ანადგურებდნენ სიბნელის ზღუდეებსა და ჯებირებს. აზრის ძლიერებით მისი ყოვლისშემძლეობით აღგზნებული ალ აშმედი ზე წამოიჭრა, ერთ–ორჯერ ოთახში გაიარ–გამოიარა და თითქოს სივრცე სწყურიაო, პონდიქიონის საფეხურები ჩაირბინა და ქუჩაში აღმოჩნდა გამელელ–გამომველელთა გვერდით.

შაკწვერიანმა და შავთმიანმა ფეხოსანთა დასტებმა ფართო თვალები, კეხიანი ცხვირები და მაღალი შუბლები მიაპყრეს ალ აშმედს. იგი თავადაც შეცბა ობილისელთა უტიფარი გამოხედვით, მათი ამაოყალ–ნამათვალიერებელი მსერით და ყოვლის შეცნობის სურვილით.

შეცბუნებულმა თავისიანე ტანსაცმელზე დაიხედა, თეორ

ქათიბსა და შავი სარტყელით შემოსილი ნამდვილად გამოირჩეოდა მუქი ფერის შალის სამოსში ჩაცმული ბრბოსაგან. ალ აჰმედის მოწნული ყვითელი ქოშები ნამდვილად იპყრობდა გამვლელთა ყურადღებასა და ცნობისმოყვარეობას.

არაბმა მიმოიხედა და უეცრად ვნებით აივსო ქალაქის მიმართ. ქუსლები იზიდავდნენ მისი სულის ჭურჭელს მაშინ, როცა გონება თავშეკავებისკენ მოუწოდებდა მის თავალებსა და ფეხებს. იქ, ზევით, პონდიქიონის მკირე ოთახში, ალ ჰორეს'ამისა და სხვათა გადაშლილი ეტრატები, საუკუნეების სიბრძნით დამძიმებული ფოლიანტები ელოდნენ ალ აჰმედს. დაბლა – უცხო ქალაქი ბნელი და ვიწრო ქუჩებით, უცხო ხალხით, უჩვეულო რატრატით გულის გახსნის სურვილით უსმობდნენ 'მორიდან მოსულს. „ჰა, გადაწყვიტე", – ეკურჩულებოდა მას ვიღაც იდუმალი და იდგა არაბი პონდიქიონის წინ მტერიან შუკაში.

არაბს მობეზრდა გაშეშება, ის იყო პონდიქიონის ტყავის სახელურიან კარს მოჰკიდა ხელი ეტრატებისა და ფოლიანტებისკენ გულგაწეულმა, რომ უდაბნოს ყუმ ხმოვანებასა და ბა'ხრის ყაყანს ჩეეულ მოგზაურის ყურს სულმტაცი, კუნთთა და სხეულის სხვა ნი'შატთა დამათრობელი ტკბილხმოვანი გალობა მოესმა.

უნებლიედ მისი გმირი „სინდბად–მოგ'საური" გაახსენდა არაბს, მოიხედა უცხო ხმათა მაძიებელ'მა და მისკენ ნარნარით მომავალი ცისფერი ტახტრევანი დაინახა.

ტახტრევანი ზურმუხტისფერ ტოგებში გამოწყობილ ოთხ ყმას მოჰქონდა, მეხუთე წვეროსანი გვერდით მოსდევდა ტახტრევანს და გაცისკროვნებული სახითა და პირსმოფენილი ღიმილით შეჰყურებდა მასში მჯდარ პიროვნებას, რომლისაგან მოედინებოდა ვით წყარო უკვდავებისა ბულბულისებრი ჰანგი შეუცნობელი. ტახტრევანი ახლოვდებოდა და მისმა ობობას ქსელივით თხელი ძაფებისგან ნაქსოვმა ფარდებმა ალ აჰმედს სურვილი გაუჩინა შეეცნო აქამდე დაფარული და შეუცნობელი.

არაბი გაირინდა და მისკენ ნელა მომავალ ცისფერ ტახტრევანს უწეო თვალიერება.

ტახტრევანის ყმები დაღლილნი ჩანდნენ, რასედაც მათი

ფიქრებში ჩაეარდნილი თვალები მიანიშნებდნენ ალ აშმედს. ისინი მტკიცედ მოაბიჯებდნენ, მაგრამ მათ გამოხედვაში სახლისკენ მიმავალი საპალნე სახედრის სიხარული ამოიკითხა ალ აშმედმა. სულ რამდენიმე ნაბიჯი გადმოდგეს ზურმუხტის ფერმა მონებმა და ალ აშმედმა მათი დაკუნთული მკლავების ზეკით ააყოლა თვალი და ფარდებს შეხედა.

გამჭვირვალე ორი თვალი ზეკიდან დაჰყურებდა ალ აშმედს. მზემაც ამ დროს გამოანათა ღრუბლიდან და არაბს თვალში სხივი ჰკრა. ამიტომაც მოქარაგნემ კარგად ვერ გაარჩია მისკენ მოტრიალებული სახის ნაკვეთები, მან ხელით მოიჩრდილა და ჩავლილ ტახტრევანს ზურგიდან დაუწყო ყურება სინანულით. უეცრად ნარნარი ხმა გაისმა, თითქოს არფას ჩამოჰკრესო, ტახტრევანი ათი ნაბიჯის მოშორებით გაჩერდა და შავწვერიანმა მოყმემ ალ აშმედისაკენ გამოსწია მტკიცე ნაბიჯით. ალ აშმედი გაკვირვებული ელოდა შავწვერიანის მოახლოებას და ამიტომაც მას არც უცდია საპასუხო ნაბიჯის გადადგმა.

შავწვერიანმა გაღიმა ალ აშმედს და თავი დინჯად დაუკრა და ტახტრევანისკენ მიუთითა, — ფარდის უკან მყოფს ურსო შენთან დალაპარაკება, — მიანიშნა ხელების ქნევით და ჰაეროვანი ღიმილით. არაბმა ახლალა შენიშნა მომღიმარი შავწვერას დავსებული თვალი და შეფიქრიანდა.

ალ აშმედი დათანხმდა და წაყვა შავწვერიანს, მაგრამ შემცბარი მზერით მოიხედა პონდიქიონისაკენ, შუკას შეაჯლო თვალი და უკან დასახვევი გზა დაიმახსოვრა საქარავნო წესის მიხედვით.

ციისფერი ტახტრევანი ელოდა არაბს. ახლოს მისული ალ აშმედი შედგა, მდაბლად თაყვანი სცა ტახტრევანს და როცა იგი წელში იმართებოდა, ოქროსფერი ძაფით მოქსოვილი ფარდები ზღვის ტალღებივით აქეთ—იქეთ გადაგორდნენ და ზეაწეული ირმისებრი წარბები, სხივთა მსროლი, კლდეში მიმალულ ტბასავით კამკამა და ღრმა სილურჯის თვალნი გამოაჩინეს. თვალწარბისა და მაღალი შუბლის მეტს ვერც ვერაფერს ხედავდა ალ აშმედი, მაგრამ იგი უცნაური სიამოვნებით შესცქეროდა უცხო მნათობის ღრმა თვალებს და ენას არ ძრავდა. ლურჯი თვალებიც სიამაყი-

სა და ცნობისმოყვარეობის გრძნობით შეჰყურებდნენ მას და ფიქრობდნენ.

ალ აჰმედის მუდამ მშვიდ გულმკერდში ათრთოლდა რაღაც უცნაური და იდუმალი. მკერდზე ხელიც კი მიიდო მოქარავნემ და გაოგნებულმა უსვეულო წამებისა და სიტ-კბოების მორევი შეიგრძნო.

უცხოს ღრმა სილურჯის თვალები და ირმისებრი წარ-ბები სამარადისო სიმშვიდით შეჰყურებდნენ ნუშისფერთვა-ლება უცხოელს და ფიქრობდნენ, აზრთა სიმრავლეში საუ-კეთესოს ეძიებდნენ და მჯობნზე მჯობნს არჩევდნენ. ზნე-მაღალი სიჩუმე გამეფებულიყო ცისფერ ტახტრევანის ოქ-როსმკედით მოქარგულ ფარდებში. ალ აჰმედი თავსაც ვერ სწევდა ზევით, ხანდახან თუ შეავლებდა მზერას ტახტრევა-ნის მოჩუქურთმებულ ლომის ხახიან სახელურებს, უცნობი რიდით შეჰყურებდა ობილისის შარაზე განფენილ ჩრდილს და ელოდა. უეცრად რბილი და ხატოვანი სიტყვა, მსგავსი ბულბულის გალობისა, შეერწყა მის ყურს და დააამა გონე-ბისა და სმენის ვნების ამღძვრელი ნატიფი ნერვი. ალ აჰმედი გამოფხიზლდა. იგი სასწრაფოდ ეძებდა იმ სიტყვებს მისალმებისას, რომელიც ბიძამ ასწავლა საქართველოსკენ მგზავრობის დროს. ამ სიტყვებს და ფრაზებს, რომლებიც უფრო ფრინველთა ხმებს ჰგავდნენ, მაშინ მოწყენით იმეო-რებდა იგი. დღეს კი სასწრაფოდ გონების დაძაბვით მახ-სოვრობაში მიმოფანტულ სიტყვებს ეძიებდა და თავის თავს უმეორებდა თრთოლვით. მისალმება თითქოსდა გაიხსენა მოქარავნემ, მაგრამ თავის გონებაში ატრიალებდა კვიმატ ფრაზას და უკირკიტებდა ბოლო სიტყვას. სიბრძნის უღა-ლატო მიმდევარი იყო ალ აჰმედი.

თბილისის შარაზე განფენილი ჩრდილი შეირხა და დაიძრა, შემცბარი აჰმედი მისვდა, რომ ცისფერი ტახტრევანი სტოვებდა გზებისა და წიგნის მოყვარულ არაბს. საოცარი ტკბილი შიშში დაეუფლა მისი მკერდის ქვაბულებსა თუ დერეფნებს. მდუღარე სითხე მოედო მის ანდამატივით ანი-დულ შუბლს, ყვირიმალებსა და კეფას. მუხლებზე დაცემა და ტირილი მოუნდა ცეცხლოვან არაბს. ტახტრევანი კი მბზინავ მოყმეთა დაკუნთულ მხრებზე მოტორტმანე, ზღვა-

ზე მცურავი ხომალდივით მირონინებდა შორს და შორს.

ალ აპმედი გამოერკვა, თითქოს თავის უნიათობა დაამარცხაო, ისე ჩამოიშორა მათრობელა ნეტარება და კუნთებდაჭიმული გაექანა მისგან ასი ნაბიჯით დაშორებული ცისფერი ტახტრევანისაკენ. ნაბიჯ–ნაბიჯ იღვიძებდა მასში ეაჟკაცობა და მხნეობა. ეხლა კი ლომი იყო ალ აპმედი, მაგრამ რა უნდოდა და ვის მისდევდა, ამაზე ფიქრისთვის მას ჯერ არ ეცალა. „აბა, მიდი, აპმედ, მოქარავნე მხნე, ჯიუტი და უკანდაუხეველი უნდა იყოს. სილამაზე და სისადავე არ უნდა გვიპყრობდეს არამედ ჩვენ უნდა ვბატონობდეთ მასზე. მიდი უძლეველო ბრძენო, მიდი!" – უყვიროდა იდუმალი ვილაც.

ალ აპმედი ტახტრევანს დაეწია, მაგრამ ამ დროს მუდამ პირმცინარმა შავწვეროსანმა მოყმემ გაკვირვებით მოხედა მას და დაფსებული თვალით შეუბღვირა მომხდურს. ალ აპმედმა გზნებისგან თავპირაწითლებულმა ვერაფერი მოძებნა სათქმელი და ტახტრევანს ხელებგაშლილი მიეჯრა, ლომისხახიან სახელურებს მოწიწებით მისწვდა და ბიძის მიერ ნასწავლი ქართული მისალმება წამოიძახა. ცისფერი ტახტრევანის მოყმეებმა შეჰყვირეს, მათმა შავმა, კამეჩის მსგავსმა თვალებმა გაიელვეს ალ აპმედის წინ და არაბმა მოქარავნემ კეფაში მძიმე დარტყმა შეიგრძნო.

კამეჩის თვალის ოდენა გაავებული თვალები, თბილისის შარაგზა, შავწვერა მოყმე და თვით ტახტრევანი დატრიალდა ალ აპმედის გარშემო და უეცრად ყოველივე ჩაბინდდა, დაიგმანა და დამთავრდა თითქოს.

ალ აპმედს პონდიქიონში გამოეღვიძა. მას თავს შეშფოთებული იბნ ჰაუკალი და კიდევ ერთი მაღალი კაცი ადგნენ.

– ბიძავ, – წამოიმართა აპმედი.

– ჩუ, იწექი, საფრთხემ ისე ჩაგიარა, ყით ქარიშსალმა უდაბნოს კარიბჭეში, – ღიმილით თქვა იბნ ჰაუკალმა.

– ეს თუ ჩავლაა, კარგია, – თავზე ხელი მოისვა ალ აპმედმა.

– გახსოვს ყველაფერი? – იკითხა ჰაუკალმა

– ყველაფერი, – უპასუხა არაბმა.

— ეს ცუდია, რადგანაც უსიამოვნო შემთხვევას არაფერი შველის ისე, როგორც დავიწყება, — ბიძა ძმისშვილს მკაცრად შეჰყურებდა.

— სიმართლე წარუშლელია, — შუბლ შეჭმუხვნილმა თქვა აჰმედმა და სარკმელისკენ გადატრიალდა.

თბილისის ცა უჩვეულო ქათქათა ღრუბლებით დაფარულიყო. სადაფისფერ–ცისფერი ვეება ღრუბელი გამოჩნდა აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ მცურავი. ცას მიშტერებულ არაბს ლურჯ ტახტრევანად მოეჩვენა იგი და ფეხზე წამოვარდა ალ აჰმედი.

— სად წამიხვალ, მაინც აღმოგაჩენ, მაინც მოგწყდები, — ყვიროდა იგი, ბიძისა და ჯანმაგარი უცხო კაცის მიერ გაკავებული.

— ჩაკეტეთ სარკმლები, — ღინჯად უთხრა მოფუსფუსე ბერძენ ქალს იბნ ჰაუკალმა და ძმიშვილს სასთუმალთან დაუჯდა.

— შენ ხომ ჩემი მომაყალი ხარ, ალ აჰმედ, დაიოკე თავი. დარტყმისაგან ტვინი გაქვს შეძრული. სიმშვიდე სწყურია ახლა შენ გონებას. დანარჩენი ისე ჩაქრება, როგორც ცეცხლი წვიმის მორევში.

ალ აჰმედი რამდენიმე დღეს მონდიმებით ასრულებდა ჰაქიმობაში გამოცდილი ბიძის შეგონებებს. იწვა გაუნძრეველად და ჰონდიქიონის ჭერს შეჰყურებდა. იბნ ჰაუკალი ძველებურად ქრებოდა დაღამებისას და დილით თუ გამოჩნდებოდა ბერძენი ქალი უსვეულო სითბოთი და სინაზით უვლიდა არაბს რასაც ალ აჰმედი უწინდებურად ყურადღებას არ აქცევდა და ყოველივეში ბიძის ხელსა და გონებას ამჩნევდა.

საღამო ხანი იყო, როცა ალ აჰმედმა ‘სარს შემოაკრა და მის ოთახში ბერძენი ქალი შემოიპატიჟა. ჩასუქებული დიასახლისი საუკეთესო ტანისამოსში გამოწყობილიყო და ძორჩილად შეჰყურებდა არაბ მოქარავნეს. ალ აჰმედს ხელთ ლამპარი ეჭირა და დაკვირვებით ადევნებდა თვალს ქალს.

— რა გქვია? — იკითხა არაბმა ბერძნულად.

— მეგარა მქვია და ჩემი ქმარი ბიზანტიას არის წასული, — უპასუხა შეეარდისფრებულმა ქალმა.

— ტანსაცმელი გაიხადე,— ბრძანა არაბმა და ლამპარი ქალისკენ გაიშვირა.

ქალმა გახდა დაიწყო და როდესაც მის ფერხთით უკანასკნელი ქსოვილი დაეცა, მან აჰმედისკენ გამოსწია.

— შესდექ, ქალო, — ბრძანა არაბმა.

ქალი დაიბნა, იგი ალ აჰმედს უცინოდა.

— მითხარი, თუ გსურს წყალობა, ვინ იჯდა იმ ტახტრევანში— არაბის ხმაში უცხო მძვინვარება ისმოდა.

— ვერ გეტყვი, მომკლავენ, — თქვა ქალმა.

— მეც არ გაცოცხლებ! — შესძახა არაბმა და საწოლიდან შიშველი ხმალი გამოაჩინა.

— ვერ ვიტყვი, გამიშვი, — ჩაილაპარაკა ქალმა და საკუთარ სამოსს უწყო შეგროვება.

— შესდექ! — შეჰყვირა არაბამა, რომელმაც ორთავე ხელით შეიპყრო ქალი.

— გამიშვი, თორემ ვიყვირებ, — ჩაიჩურჩულა პონდიქიონის დიასახლისმა.

— იყვირებ და ამ სახლს დაგიწვავ, შენ კი გარეთ გაგაგდებ და მოქალაქენი ნაგქოლავენ, — მძვინვარედ თქვა არაბმა და ქალს მოეჩვენა, რომ იგი მართლაც შეშლილი იყო.

— რად გინდა სახელი, მაინც დაილუპები თუ იმ ტახტრევანს მიეკარები, — კვნესით თქვა ქალმა და ატირდა.

— თქვი სად ცხოვრობს ეგ ხალხი, ვინ არის ის ქალი და რა ჰქვია იმ ცალთვალას, მე რომ დამარეტიანა, თქვი, თორემ ამ ლამპარიდან ნავთს დაეღვრი და შენი ქმარი მხოლოდ ნაცარს იხილავს დაბრუნებისას.

— ხელი გამიშვი, მტკივა, თუ გეტყვი, ბიძას შენსას უნდა დაუმალო ის, რაც განგიზრახავს, — ჩაიბუტბუტა ქალმა და ალ აჰმედს მიაჩერდა.

— არავის ვეტყვი შენ რომ გამიმხილე მათი სახელი, თქვი, თქვი თორემ... — არაბი შეშლილივით შეჰყურებდა დაჩაგრულ ქალს.

— ეგ ხალხი სოდდებილ'ში რომ კოშკია, იქ ისვენებს, მათი ტახტრევანი ყოველ ღამეს გამოდის გარეთ და ქალაქის ბაღებისკენ მიემართება, მეტი არაფერი ვიცი და თუ გინდა მომკალი, — თქვა ქალმა.

ალ აჰმედი დაფიქრდა. ქალს ხელი უშვა, „ნაიცვეიო!" – უბრძანა მას და სარკმელისკენ შემოტრიალდა.

„ოჰ ეს მარგალიტები და მასში მიმქრალი თვალის სურმუხტები, ეს გამაოგნებელი მშვილდები წარბებისა, ტუჩები, როგორც აბრეშუმის ბალიშები და ხმა ბულბულისა, ოჰ, ეს ქალი, სიმშვიდისა და გიჟური ენების მატარებელი უნდა მოვიხელთო ამაღამ," – ფიქრობდა ალ აჰმედი და დაღამებას ელოდა ჯვრით შემკობილი თბილისის თაეს.

* * *

„უდაბნოს გველივით მიეკარი მიწას და ყური მიუგდე თუ ვინ რას ნალიბობს", – ეჩურჩულებოდა თავს ალ აჰმედი და ამგვარად იოკებდა სხეულის ჭურჭელში ნასახლებულ თუ ნაკეტილ ჯინს თავისას. სოლდებილის კოშკის პირდაპირ მაღალ ბალახში ნასაფრებულ არაბს უკვე დაენახა სანუკვარ სურვილად გადაქცეული ცისფერი ტახტრევანი, რომელსაც მთვარის დამაორობელი შუქი ელამუნებოდა.

„აი, შედგა ტახრევანი ჩემი ბედისა, წვეროსანს თუ უცდის, ალბათ„„ – ჩურჩულებდა ალ აჰმედი და ტუჩებით იკენტდა მკერდზე დაკიდებულ საისრეს გველის ტყავისას.

ტახტრევანი მართლაც უცდიდა ვიღაცას, ვისაც, ამ მომთენოავ საღამოს ღრმა ძილს სიამოვნება ერჩივნა, ვისაც უკვე გაეცვალა აბრეშუმისა თუ ატლასის ბალიშები ბალახის საწოლზე და მთვარის გამაბრუებელ ელვარებაზე.

სოლდებილის კოშკის მცირე კარიბჭედან ქალი და მამაკაცი გამოვიდნენ. ისინი დინჯად მიუყვებოდნენ გზას და დარბაისლურად საუბრობდნენ. ცოტა ხანში კოშკის კარები კიდევ ერთხელ გაიღო და იქიდან გამოსულმა ბანოვანმა გედივით ამაყად გამოსცურა ტახტრევანისაკენ და რამდენიმე წუთის წინ გამოსულ წყვილს გაესაუბრა.

ალ აჰმედს მოესმა სანუკვარი ხმა ,მსგავსი ბალობისა და მისი გული ატოკდა გამალებით. „ეს შენ ხარ დედოფალო, ჩემი გულისა და გონების დამტყვევებელი, ჩემი მეცნიერების განმფანტველი, ჩემი გამგიჟებელი, ამიტომაც რაც არ

უნდა მოხდეს ამ ღამეს უნდა მოგტაცო სიმშვიდე სულის და სიამაყე გონების", – ჩაილაპარაკა ალ აჰმედმა და ვით ცხელი წყარო მიწიდან ამოფრქვეული ხარშავს მის სიახლოვეს სამკურნალოდ ჩამომჯდარ ფრინველს, სულის ჯურღმულიდან ამოჭრილმა სამსალამ დაუწვა და დაუთუთქა მას ხორცი, გონებისაგან დროებით მიტოვებული.

ტახტრევანი ტყის შუაგულში მიმავალ ბილიკს დაადგა. ქალი კოშკის პირას მდგარი დაემშვიდობა მონების მიერ ტახტრევანის სიმაღლეზე შესმულ ბანოვანს და კოშკში შებრუნდა. მემაშხალედ მხოლოდ ერთი კაცი მიჰყვა ტყისაკენ მიმავალთ და რაზმეული მალე მუსაფა და თხემლათა ჩრდილში გაუჩინარდა.

„ისინი სულ ხუთნი არიან" – გამალებით უცემდა გული არაბს, რომელიც მოხერხებულად ჩრდილდაჩრდილ მისდევდა ტყისაკენ მიმავალ ბილიკს და ისარ კაპარჭს აშსადებდა.

ბილიკი სულ უფრო და უფრო ძნელად გასარჩევი გახდა. არაბი დაკუზული მიუყვებოდა გზას და მეძებარი ძაღლივით დასცქეროდა მიწას, რომელსაც ტახტრევანის მონათა ფართო ტერფები დაშჩნეოდა.

ტახტრევანი გაუჩერებლად მიროინინებდა.

– იქნებ სხვა ციხე–დარბაზში მიდიან, – შიშნეულად გაიფიქრა ალ აჰმედმა, შუბლზე მოწოლილი ოფლის წვეთები ისრის წვერით მოიწმინდა და შედგა.

მწიფე ნესვივით დაჰყურებდა თავს დედამიწას ამაყი მთვარე. ღრუბლები გაფანტულიყვნენ და ტყის შუაგულში არსებულ კორდზე მათი ჩრდილები გველეშაპებივით გორავდნენ.

ალ აჰმედს ტახტრევანზე შემომჯდარი ბანოვანის ხმა მოესმა და მას ძარღვები ენებითა და ლტოლვით დაებერა.

შეჩერდა ტახტრევანი. მონებმა მიწაზე დადგეს იგი და თვიოონ ტყეს შეერივნენ. მხოლოდ ერთი სხეული აისვეტა ბანოვანის წინ და უჩვეულო ხმით საუბარს მოჰყვა.

სულ მთლად ძარღვად გადაქცეული აჰმედი გუმანით მიხვდა, რომ ეს სილუეტი ლექსს უკითხავდა ბანოვანს. ცეცხლივით აისვეტა რაღაც არაბის გულში. თავისი მგოსნები გაახსენდა მას. უეცრად საოცარი ლტოლვა იგრძნო

მის მიმართ, ვისაც ასე ნასად ეტრფოდნენ და გაკვირვებული შეათვალიერა შავწვერიანი. „ოთხიეს დავხოცავ და შეშლილივით დავესაკუთრები ამ ქალს, რომელსაც გავიყვან ურჯულოთა ქვეყნიდან და ცოლად დავისვამ," – გაიფიქრა მოქარავნემ და მზადება იწყო.

ისარ–კაპარჭი მოიხსნა არაბმა. ბრძოლის წინ თავი შეაყარა მისსაკე არსთა გამრიგეს და კუნთებდაჭიმული, მშვილდისა და შიშველი ხმლის ამარა კვერნასაკით გაცოცდა ტახტრევანის მიმართულებით. როცა პირველი ისარი დაჭიმულ სასხლეტზე მყარად იყო მიბრჯენილი, არაბი უკვე პირველ სამსხვერპლოს ეძებდა. უდაბნოს მებრძოლთაგან პქონდა მას შესწავლილი ომის უჩუმარი ხელოვანება და სწორედ მისი გამოყენებით აპირებდა იგი გაუგონარ საფრთხეში თავის ჩაგდებას.

„თუ პირველს შავწვერას დავისრავ, მაშინ ქალი შეკვირებს და ველს ტახტრევანის მონანი მოეღებიან", – ფიქრობდა ალ აპმედი.

– „თავდაპირველად თუ მონებს დავცხრილავ, მაშინ წვეროსანი წინ ველარ აღმიდგება და ქალს უუნებლად შევიპყრობ", – ბორგავდა ღულამთა და მხევალთა ერისშვილი.

„მაგრამ სად არიან მონანი, არც კი ჩანან ისინი ხეთა ჩრდილში", – აპმედის გული თითქოსდა ხორკლებით იფარებოდა.

„სჯობს ჯერ ამ ცალთვალას დავაგორებ და შემდეგ უიარაღო მონანი წინ ველარ დამიდგებიან", – ჩურჩულებდა ალჯებრისა და ალი მუკაბალას მცოდნე.

არაბმა მიზანში წვეროსანი ამოიღო. მომაკვდინებელი ქვიბურის გასროლას არაფერი შეაჩერებდა, რომ არა ერთი გარემოება. ეშხში შესულმა შავწვერიანმა არაბული ლექსი წამოიწყო.

ალ აპმედს ხელში ისარი შეეყინა. უცნობი სულისა და გონების დამათრობელი გრძნობით, გაღრმავებული ასრითა და ნეტარებით მისი ბიძის იბნ ჰაუკალის ლექსს მღეროდა.

გაოგნდა ალ აპმედი. საიდან უნდა სცოდნოდა შავწვერიანსა და ცალთვალა მიჯნურს არაბი მოგზაურის სიყვარულისადმი მიძღვნილი, ესოდენ დამათრობელი სტროფები.

ზედმეტი დაძაბულობისაგან გული შეულონდა არაბს, ტვინი აერია მოულოდნელი და მოსალოდნელი ხლართების მსხიბავს, პირში ნერწყვი გაუშრა მას და როგორც გამოუცდელ კაცს სჩვევია, ის გზა აირჩია, რაც უფრო მარტივი გახლდათ გონების ლაბირინთიდან გამოსასვლელად.

კვლავ მოსწია ისარი ალ აჰმედმა, უმიზნა არაბული ლექსიდან ეხლა სხვა არანაკლებ მუსიკალურ რითმაზე გადასულ მოწინააღმდეგეს თვისას და ის იყო სროლა დააპირა, რომ ზურგს უკან ცხენის ჭენების ხმა შეესმოესმა. მოიხედა უნებლიეთ ასასინის წყეული ზრახვით შეპყრობილმა ჭაბუკმა და ტყიდან გამოვარდნილი, თეთრი რაშზე ამხედრებული მხედარი შენიშნა.

უმალ ხშირ ჯაგნარში შეიმალა ისარმომარჯვებული.

— გვეწვიე სტუმარო,სწორედ შენს ლექსებს ეუამბობდი მთიების დარ მბრძანებელს ჩვენსას, — შესძახა შაეწვერიანმა არაბულად და ფეხზე წამოიჭრა.

— თავად სიტყვისა და ჰაზრის მეუფეე, ვემონები შენს ლექსს, რომელიც თავად საადის ლექსზე უპირატესია, — გაისმა ბნელ ჯაგნარში ცხენიდან ჩამომხტარი იბნ ჰაუკალის ხმა.

— მომიახლოვდი, დიდვაჭარო, — გალობის დარი ხმით წარმოთქვა მთიებად წოდებულმა ბანოვანმა და იბნ ჰაუკალი მის წინ მიწაზე განერთხო.

— რა სიახლე მოგაქვს ჩვენთვის, დიდვაჭარო — წარმოთქვა ტახტრევან'ში შემალულმა ანგელოზისდარმა.

— ჰოი დიოფალო, მსურს წარმოგიდგინო ჩემი ძმისშვილი, ახალგაზრდა ტანით და მხცოვანი სიბრძნის სიყვარულით, მონა შენი ალ აჰმედი, — მოულოდნელად თქვა იბნ ჰაუკალმა და სწორედ იმ ჯაგნარისაკენ გამოიხედა, სადაც თავად ისარმომარჯვებული მოგზაური იმალებოდა.

— ახალგაზრდა ტანით და მხცოვანი სიბრძნის სიყვარულით, — რა კარგად თქვი დიდვაჭარო და პოეტო, — ჩაფიქრებული თქვა დედოფალმა და მიმოიხედა.

— სად არის ეს ბრძენი? — იკითხა მან.

ალ აჰმედი ყველაფერს მიხვდა. მას მისი ვნების გამახელებელი და გონების დამბორკავი თავისთან უსმობდა.

იბნ ჰაუკალიც შემცბარი იხედებოდა ჯაგნარისაკენ და დაღუპვის პირას მდგარ ძმისშვილს უსიტყვოდ გონიერებას სთხოვდა.

ალ აჰმედმა დააგდო მშვილდი და საისრე, ხმალი მიწაში ჩაასო და უიარაღოდ, ნელი ნაბიჯებით შედგა ტყის შუაგულში მოქცეულ კორდზე.

— აი, ისიც მოდის, ძიუნვეველია იგი სასოგადოებისა, თითქოს წყალობა ითხოვაო, — თქვა ეს სიტყვები იბნ ჰაუკალმა და ძმისშვილს გადაეხვია.

ეს გადახვევა შექების ტოლფასად მიიჩნია ალ აჰმედმა და იგი ტახტრევანის წინ მიწაზე დაეშვა.

— ყმაწვილი ყოფილა დიდყაჭრის ძმისშვილი, მბრძანებელო, — სიტყვა ჩართო შავწვერიანმა და მთვარის შუქით განათებული ალ აჰმედი შეათვალიერა.

— ყმაწვილია, მაგრამ მისი ცხოვრება ეროთობ მძიმე საფიქრალს დაუტანჯია, — ბრძანა გახარებულმა იბნ ჰაუკალმა და ძმისშვილს გადახედა.

ქანდაკებასავით უძრავად იდგა ალ აჰმედი და ტახტრევანში ნებივრად მიწოლილ მშვენიერ ქალწულს ცრელმიანი თვალებით უმზერდა.

— რა სატანჯველს შეუპერია გული ამ დიდებული ჭაბუკისა,— ნარნარი ხმით წარმოთქვა ლექსებითა და შეხვედრებით გადაღლილმა აფროდიტაზე უნასესმა ასულმა.

— შეყვარებულია იგი მწყაველ, — თქვა იბნ ჰაუკალმა.

— ალბათ, არაბსე და შორს ეგულება სატრფოსაგან თავისი თავი, — მოხდენილად წარმოთქვა აჰმედის მოძნუსხველმა.

— ერთ ქართველზეა შეყვარებული, დიდო მბრძანებელო, ჩემი ძმისშვილი, — ბრძანა ალ აჰმედმა და წელში გასწორდა.

— ერთ ქართველ მნათობზეა შეყვარებული მთელი საქართველო, კავკასია და ბიზანტიონი, ერთ ქართველ მნათობს გულსა და ხელს სთავაზობს აზია და ჩინმაჩინი, ხორეზმი და მულლანსანზარი, — წყვეტილი და მოკანკალე ხმით ჩაილაპარაკა შავწვერიანმა და უეცრად ატირდა იგი.

ალ აჰმედიც ატირდა თავისი მტრის სიტყვათა გაგონებისას და ჩაიკეცა.

— დიდ მადლობას გიხდით მთვარის მგოსნებო და დიდვაჭარნო ჩვენთან ხლებისათვის, საცაა მზე გაანათებს ბედნიერი ივერიის ველებსა და მთებს. თავად ფრინველნი და ცხოველნი მალე დაუბრუნდებიან თავიანთ ყოველდღიურ საქმეს და ამიტომაც ჩვენც დავუბრუნდეთ ადგილებს ჩვენსას. შენ კი, შოთავ, დროებით დაივიწყე მგოსნის კალამი და მაშხალით ხელ'ში გამინათე გზა ქალაქისკენ, — წარმოთქვა ტახტრევანის სიღრმე'ში მოსყენებულმა ქალწ'ულმა და ტყის ტევრიდან გამოჩენილ მონებს მიედევითო, ანიშნა.

* * *

იბნ ჰაუკალი თავისი ქარავნით საქართველოდან მიემგზავრებოდა. მოხ'ეცი დიდვაჭარი ჩერქეზეთის გავლით დიდი კიევის მიღწევას ლამობდა. ყველაფერი მ'სად იყო და ბიძა დიდხანს ემშვიდობებოდა თავის ძმისშვილს.

მიუხედავად ბიძის ჩალიჩისა ალ აჰმედი საქართველოში რჩებოდა. „საქარავნო საქმის მცოდნე თბილისშიც სჭირდებაო „ორთაღს", ვაჭართა კორპორაციას." — უმტკიცებდა იგი ბიძას.

გამოცდილ იბნ ჰაუკალს ესმოდა ნამდვილი ხვიშიადი ძმისშვილისა. „ხელის ჭ'ეჭეს" მეფე ქალწ'ელის შორით ტრფობას, მიჯნურობას არჩევდა ალ აჰმედი.

„ა'ხრი ცხოვრებისა სიგიჟეთა შორის ყველაზე დიდი სი'ბლეგე სიყვარულია," — ფიქრობდა დიდვაჭარი და ეთხოვებოდა იგი „შურის ციხის" გალავანზე თბილისურ ყაიდა'ხე გამოწ'ყობილ ალ აჰმედს.

შეხვედრა ოძრეს ყანაში

ის ნახტომისებრი, გაჭიმული ნაბიჯებით მიიწევდა მშობლიური თემისაკენ, სადაც თავისი დედაკაცი, შვილები, შვილიშვილები, რძლები და სიძეები, ძმები და დები, მეზობლები და სიყრმით ძმადნაფიცები ეგულებოდა.

ცალ ხელში მას გრძელლულიანი, სპილენძის სალტეებიანი საბრძოლო თოფი, მეორე ხელში კი ტყავის მძიმე აბგა ეპყრა.

მას არც ჭარმაგ ძოხუცს უწოდებდი, არც შუახნის ყმას. სახეწითელი, ჭალარაშერეული, მხარბეჭიანი და ახოვანი, უფრო უასაკო კლდეს ჰგავდა, რომელიც ქარიშხლებს ეპაექრება.

მის წინ უკიდეგანო, ხლვასავით მოკამკამე, ოქროსფერი პურის ყანა ბიბინებდა. ყანის მეორე მხარეს, ქედი ხვლიკივით რომ გაწოლილიყო, სწორედ მათს თემს გადაჰყურებდა. ამიტომაც მან მგლური, შლიგინა ნაბიჯებით პირდაპირ პურის ყანაში შეაჭრა და ძლიერი ფეხებით იწყო საეალი ბილიკის გაჭრა საკუთარი ალაგისაკენ.

– ასე რიგად რომ არ ვჩქარობდე, ფეხს როგორ დაგადგამდი პუროვ, მაგრამ გთხოვ წყალობა გაიღე, ნემს დედაკაცამდის გამიშვი და მორიგეკ დამიმწყალობე, – აღმოხდა მგზავრს ბუბუნა ხმით.

პერის თავთავები აშრიალდნენ და მას მოეჩვენა, რომ ისინიც აქეთ–იქით ისე წვებოდნენ, თითქოს გზას უთმობენ მეთოფეს.

მეთოფე ერქვა პურის აშრიალებულ ტალღებში კისრამდის ჩამალულ მგზავრს და მისი ნათლობის სახელი თითო ოროლას თუ ახსოვდა ამ ქვეყანაზე.

სიყმაწვილეში,სოფელს ლეკი რომ შემოესია,იგი მამას, თემის მეთოფეს, დადევნებისათვის შეყრილ რაზმში გაპყვა და თემის მთავარი თოფიდან გასროლით რვა ლეკი ერთმანეთის გვერდით ნააწვინა.

– კარგად კი ჩაარიგე ურჯულონი ერთმანეთის გვერდით, მეთოფედ ხარ დაბადებული და ღირსეულად გეტარებინოს თემის მთავარი თოფი, – უთხრა მას მამამ და ვენეციური ლულით ნაქები „ავი მუსაიფი" შეილს გადაულოცა.

მას შემდგომ მახარე მესხს დიდი და პატარა, მეფე, თავადი და გლეხი ამ ღირსეული წოდებით უხმობდა.

სულმნათმა მეფე ერეკლემ და მამამ მისმა ოეიმურაზმა თბილისში მეტეხისა და ნარიყალას ციხეებში გაშაგრებულ ყიზილბაშთა დასამარცხებლად ცხენოსანი ლაშქარი უსარგებლოდ ცნეს და ჯერი თოფოსან მოყმეებზე შეაყენეს. ირაკლი თავად ღერიდა ოფლს მსროლელთა მოერიშე გუნდის შესაქმნელად. პატარა კახი მთელი კავკასიიდან ‘უხმობდა საუკეთესო ‘ებინებს. ქიზიყელი სახემოცინარი ზორბა ბიჭების გვერდით, ოსთა, ყაბარდოელთა, აფხაზთა და ჩერქეზთა არწივის თვალისმქონე მონადირენი შეიკრიბნენ. ირაკლი მეომართა მიმართ უსაზღვროდ გულუხვი იყო და განსაკუთრებით მსროლელებს წყალობდა. მათ შორის მეთოფეც ბრწყინავდა, რომლის ერთ ნასროლს ღღესაც იგონებენ თბილისელი ყარაჩოღელები და ირაკლის ცოცხლად დარჩენილი თანამებრძოლნი.

ლაშქარი ირაკლი მეფისა ნარიყალას სიმაღლეებს უტევდა. ყიზილბაშები დიდი ზარბაზნით ცდილობდნენ მომსდურთა დაშინებას და დაზაფვრას. პატარა კახის ბანაკს მზის ამოსვლიდან შუადღემდე ქვის ჭურვები ეხეთქებოდა. შუადღიდან საღამომდე ყიზილბაშნი ჯეროვნად ისვენებდნენ. ღამეს კი ბრინჯაოს ,ცეცხლგამჩენ ყუმბარებს უშენდნენ ქრისტეანთა და ობოლთა დამცველ მეფესა და მის ჭრელ ლაშქარს. ღამეუძინარი კახნი უშედეგოდ ბობოქრობდნენ მზის ამოსვლის შემდგომ და ალყეშემორტყმულ სიმაგრეს ვერაფერს აკლებდნენ. ყაბარდოელი ცხენოსნები შიშისაგან გაცოფებულ ცხენებს ეელარ აკავებდნენ, ხოლო ოვსნი ჭროღა თვალებით ახედავდნენ ნარიყალას და თაეიანთ მთებში დაბრუნებაზე ფიქრობდნენ. ირაკლის ლაშქარი არეევისა და დაშლის პირას იდგა.

– მეზარბაზნეებს თუ არ დაეხოცავთ, ტყეუილად შეეაწყვეტთ ჯარს ამ კედლებს, – მტრის სიმაგრეზე დაკვირვების

შემდეგ ეუბნება მეთოფე მის ბელადს კუზიან ზაალს. კუ-ზიანი ზაალი ერეკლეს ძმადნაფიცი და დოსტია. „როგორ უნდა ვქმნათ ეგ საქმე?" – ეკითხება ზაალი მეთოფეს და მგლური თვალებით უმზერს მას. „ეგ მე მომანდეთ. ირანში მასწავლეს ციხეთა აღების ხელოვნება და მეზარბაზნეთა კედლებიდან ჩამოყრა," – ამბობს მეთოფე და ზაალს სან-გარშიკე უხსნის თავის გეგმას.

– როგორ მოსპობ მეზარბაზნეებს, ისინი ხომ ჩვენს ზევით, თითქმის ორმოცი ადლის სიმაღლეზე მოთავსებუ-ლან? – ეკითხება თავად ერეკლე ზაალსა და მეთოფეს. მეთოფე ტყავის აბგიდან უცხო სათამაშოს იღებს და მეფეს ღიმილით უხსნის ირანულ სიბრძნეს, რომელიც სინაშდვი-ლეში მის მიერვე არის მოფიქრებული და ქართველთა თავის მოსაქონად ირანულად წოდებული. ჩვენში, ხომ შინა-ურ მღვდელს შენდობა არა აქვს. ერეკლეს ბრძანებით ქარ-თველთა ბანაკში ორმოც ადლიან სარებს ტყავის თასმებს ამაგრებენ და ოსოფეხების მსგავს მოწყობილობას ამზადე-ბენ. ათ საუკეთესო ჩუბინს ამგვარ გრძელ სარზე თასმებით აბამენ და ღამის სიბნელეში უჩუმრად ნარიყალას სიმაგ-რემდე მაღლა ასწევენ. უმთავარეო შუადამეს ნარიყალას კოშკის თავს ყიზილბაშნი დიდ ერანულ ზარბაზანს გამო-აგორებენ და მას საჩქაროდ სტენიან. სარებზე მიკრულ ქართველებს ყიზილბაშნი ვერ ხედავენ სიბნელეში, სამაგი-ეროდ დიდი ზარბაზნის ყართო ხახიდან ამოვარდნილი ცეცხლის ალი მეზარბაზნეთა სახეებს თვალსაჩინოს ქმნის და სწორედ იმ დროს, როცა ყიზილბაში თოფჩიები ირაკ-ლის ბანაკში გამსკდარ ყუმბარას ყიჟინით ესალმებიან, მეთოფის ნადირობა იწყება. იმ ღამეს ათმა გასროლილმა მძიმე თოფმა ათ ურჯულო მეზარბაზნეს შეუნგრია ქვაგუ-ლი. ყიზილბაშთა დიდი ზარბაზანი მეთოფისა და მისი რაზმის მეორე გასროლამ გამაყრუებელი ხმით შუაზე გაარ-ღვია და ქართველთა ბანაკი სიხარულისაგან აიცეკვა. ამ გმირობისათვის მეთოფეს ერეკლე მეფემ აზატობა და სამე-ფო თოფჩიების თავობა ანუ თოფჩიბაშობა უბოძა.

მეთოფემ თოფჩიბაშობა მალე მიატოვა და ერეკლეს რი-გით მოლაშქრედ წაყვა ყარაბახის ომში. აჯი ჩალაბისაგან

დამარცხებული ქართლ–კახეთის ჯარი უკან რომ გამორბოდა მეთოფე საფრიდან ტყვიას ახლიდა ირანელებს. ნუხის ხანთან ბრძოლაში წინა ხაზზე მდგომს მოწინააღმდეგის მრიდან გამოსროლილი ცეცხლოვანი ისარი მარცხენა მხარში შიშინითა და სისინით ეძგერა. „როგორც შხამიანმა ჭხსენებელმა, ეგრე შემიგლიჯა მხარი და დამგესლა იმგვარად, რომ სამი დღე და ღამე სიკვდილი მეალერსებოდა, კიდევ კარგი, რომ იმ დღეს ბატონს გაამარჯვებინა ღმერთმა და ნუხის ხანი რომ დავიფრინეთ, მეფის დასტაქარმა მარჯვედ მიაქიმაო," – უთხრა შინ დაბრუნებულმა მეთოფემ თავის დედაკაცს და დამწვარი მკერდი გადაიღეღა.

ნუხის ბრძოლაში დაჭრილი ოთხ წელს იშუშებდა მძიმე ჭრილობას და შვილთ უზრდიდა სამეფოს. გაბრიელი, დავითი და მამის სეხნია მასარე თემის თოფს სასოებით უელიდნენ,მის ფართო ლულას დათვის ქონით პოხავდნენ და იმ დღეს ელოდნენ, როცა მეთოფე მათ შორის ყველაზე ღირსეულს და ჩუბინს მიანდობდა საბრძოლო გასროლის უფლებას. სამიეე ვაჟკაცი დღედაღამ იმ დაღესტნური ნაალაფარი თოფით ნადირობდა, რომელიც ასპინძის ბრძოლიდან ჩამოიტანა მათმა გამარჯვებულმა მამამ.

კრწანისის ველზე მეთოფე ვერ მოხვდა. იგი გიორგი ბატონიშვილის ლაშქარში იყო და ბრძანებებს უცდიდა. კრწანისის ველზე დამარცხებისა და თბილისის აღა–მაჰმად ხანის მიერ გადაწვის ამბავმა მეთოფე დააღონა და გააკვირვა. ამ დღიდან იგი ერეკლეს ვაჟებს ალმაცერად უყურებდა და მხოლოდ პატარა კახთან სამსახურს ურჩევდა მეომარ ბიჭებს.

ერეკლეს გარდაცვალებისას, მცხეთაში, მეთოფე ცხარე და სიტყვაკაშული ენით დასტიროდა ქართლ–კახეთის მებრძოლ მეფეს და მასთან ერთად საკუთარ განვლილ ბრძოლებს.

გიორგის მეფობის ჟამს თემის თოფი მეთოფის სახლში კედელზე გაუნძრეველად ეკიდა და მნახველის თვალს მომწვანო მოლურჯო ლულ–ხახითა და მგლისთავიანი ჩასმახით ახარებდა.

ქართლ–კახეთის სამეფოს გაუქმებას და რუსის ჯარის შემოსვლას მეთოფე მშვიდად შეხვდა, მაგრამ კავოისხევის

პირას მომავალმა რუსის ჯარმა შეაშფოთა იგი.ირანელი, თურქი, ლეკი და ყარაბახელი მეომრები არაერთი მოუხელთებია მას ვენეციური ლულის სამიზნეზე. თურქია ცხენოსანი გუნდიც აუშლია საფარიდან გულდაგულ დამიზნებულ მის თოფს და ქათმები

გაბედულებაც აკლდათ. აღარც კუსიანი ზაალი ან ზაალ ანდრონიკაშვილი იყვნენ ცოცხალთა შორის. მათ არყოფნას ახალციხელი თურქი ექისრები ან სპარსელი მსტოვრები ვერაფერს შველოდნენ. შეკრებილ ლაშქარს არც საჭურველი ჰქონდა და არც დროშა–ბელადი ჰყავდა. რუსთა კოლონის გამოჩენისას ბატონიშვილები ისე დაიბნენ, როგორც კრწანისის ბრძოლის დროს. ჯარი ზარბაზნების ყუმბარებმა ჯერ ნაწილებად დაფანტეს, ხოლო შემდგომ მცირე გუნდებად და ნაგლეჯებად დაყვეს. საარტილერიო კანონადის შემდგომ რუსებმა გრენადერები, ეგერები და ჰუსარები დაძრეს და „ურას" ძახილით აჯანყებულების გარ–შემორტყმა დაიწყეს.

მეთოფე ბრძოლის დასაწყისშივე მის მიერ სასელდახელოდ მოწყობილ საფარში იჯდა და ომის მსვლელობას აკვირდებოდა. რუსთა კოლონებს შორის მან ქართულ ჩოხებს მოპკრა თვალი, ორბელიანების ალამი შენიშნა და გაოცდა. რუსის მთავარ კოლონას გიორგი მეფის ყოფილი ასისთავი ზაქარია მოუძღოდა, რომლის დანახვისას მეთოფემ „ავი მუსაიფი" გადმოიღო და ზაქარიას დაუმიზნა. იმ დროს, როცა ასისთავი ერთ–ერთ აჯანყებულს ხმლით ეჭვერა, „ავი მუსაიფის" მჭექარე ხმა გაისმა და ზაქარია ცხენიდან მოცელილივით დაეცა. ამ გასროლამ რუსი ოფიცრები მეთოფის საფრისაკენ შემოატრიალა. „ავმა მუსაიფმა" კიდევ იჭექა და პირში მუნდშტუკგაჩრილი, მრავალი ორდენით შბრწყინავი რუსთა ერთ–ერთი ბელადი ამოატრიალა. მეთოფე მიხვდა, რომ დაყოვნების დრო აღარ იყო. ულვაშა გრენადერები მისკენ მორბოდნენ. მეთოფემაც ტახის სისწრაფითა და მელიის მოქნილობით მიატოვა საფარი და ხშირ ბუჩქნარში გაუჩინარდა. მას ზურგში რამდენიმე ტყვია მიაყოლეს, მაგრამ მეთოფე დაუკოდავი მგელივით უვნებლად მიიუნძულებდა შინისკენ. აჯანყების მარცხი მისთვის აშკარა იყო.

ეხლა იგი ოქროსფერ პურის ყანაში, ხელიკივით გაწოლილი სერისკენ მირბოდა. სერის გადასვლას მეთოფე დაღამებამდე მოახერხებდა და მშობლიურ სახლში, სიბნელეში შეაბიჯებდა. დედაკაცი, რომელიც მას ელოდა, მეუღლის

დანახვისას გუარის უძველესი დედაბოძის წინ დაიჩოქებდა- და არსთა გარიგეს ცრემლით გაპატიოსნებულ მადლობას შესწირავდა და ქმარს პურს დაუცხობდა. დედაკაცი სათნოებასა და სინაზეს მეთოფეს გვერდით ყოფნისას უხვად აფრქვევდა.

ვაჟები ასატი და ამაყი გლეხები იყვნენ. მათ გუთანიც უჭრიდათ და სრმალიც. რძლები გაზაფხულში აყვავებულ ატმის ყვავილებს ჰგავდნენ. შვილიშვილები ბროწეულის კვირტებივით იწონებდნენ თავს და მეთოფეს მათ გვერდით ყოფნა ამქვეყნიურ სამოთხედ ეჩვენებოდა.

მშობლების საფლავები ეკლესიის ეზოში მარადიულ ძილში, საკაცობრიო ფშვინვაში გახვეული დუმდნენ და უფალს ცოცხალთა დაცვას, ხოლო გარაცულილთა შეწყალებას შესთხოვდნენ. მეთოფე აბიბინებული ოქროს ყანის გაკლით მიიწევდა იქით, სადაც მას ცოცხალნი ელოდნენ და გარდაცვლილნი ელანდებოდნენ.

მზის მცხუნვარებამ იკლო, საღამო ხანი ახლოვდებოდა, როცა მეთოფემ ხორბლის ყანის დასასრული და ხვლიკისფერი სერის დასაწყისი დალანდა. სერი რატომღაც უფრო მრუმე და მაღალი ეჩვენა მას. მეთოფემ ნაბიჯს უმატა და „აკი მუსაიფ" მხარზე გადაიდო. „კიდევ ორმოცდაათი ნაბიჯის შემდეგ უსიფათო ყანა დამთავრდება, სერზე რომ არ შემნიშნონ, იქნებ დაღამების დალოდება სჯობდესო." – გაიფიქრა მან და სწორედ იმ დროს როცა იგი ხორბლის ბულულებიდან სერის მიდამოების დათვალიერებას ლამობდა, მის ყურს უსიამო შარიშური მიწვდა. მეთოფე მიხვდა, მას აქ რაღაც სულიერი ელოდა და მოტრიალება დააპირა.

– არ ელოდი განა ყანის ბოლოში ჩასაფრებას? – გაისმა ზურგიდან მამაკაცის ხმა.

– რატომ სერზე არ ჩამისაფრდი? – იკითხა მეთოფემ და შემობრუნება სცადა.

– ეგრე იდექი, თორემ ორ ტყვიას მოგაჭედავ, სერზე რომ არ ჩაგისაფრდი ეგ იმას ნიშნავს რომ კარგად გიცნობ ვინც ბრძანდები, – თქვა უცნობმა.

– ვინ ბრძანდები, ბატონო? – მეთოფე ზურგს უკან მდგარი უცნობის ჩრდილს მიაცქერდა.

– თავად ზაალ ორბელიანს ესაუბრები და მისი ტყვე ხარ, თოფი დადე და შემოტრიალდი, – მრისხანედ სთქვა თავადმა.

– ეს თოფი თემს ეკუთვნის და ცოცხალი მას ხელს არ გავუშვებ თავადო, – მეთოფეს ხმაში სიკვდილის მიმართ გულგრილობა იგრძნობოდა.

– გაძლევ უფლებას შემოტრიალდე, – თქვა ზაალმა.

მეთოფის წინ იდგა განთქმული გმირი, უკვე ასაკში მყოფი, წარმოსადეგი, ჭაღარაშერეული თავადი, რომლის თეთრ ქულაჯას შედედებული სისხლის კვალი ემჩნეოდა. ზაალს ორთავე ხელთ დიდი რუსული დამბაჩები ეპყრა და ტყვისაკენ მიეშვირა. თავადის კეთილშობილმა ნაკვეთებმა და ამაყმა გამოხედვამ მეთოფეს გულში პატივისცემის გრძნობა აღძრა.

– დაჭრილი ხომ არ ბრძანდებით თავადო? – იკითხა მეთოფემ.

– ოდნავ გაკაწრული ვარ, დავჯდეთ, – თქვა ორბელიანმა და მეთოფეს იმ ადგილისაკენ მიუთითა, სადაც იგი უნდა ჩამომჯდარიყო. ამ ოქროს ყანაში თავადი მასპინძელი იყო და მეთოფეს სტუმარივით ექცეოდა.

– ცხონებული, მირონცხებული მეფის ყონაღი ხარ, კარგად ვიცი, ბევრგან გიხილე, – დაიწყო დინჯად ზაალ ორბელიანმა.

– მეც გიცნობთ, მეომართა მომჭირნე სარდალი ბრძანდებით, – ქებაზე ქებით მიუგო მეთოფემ და თავადს დამბაჩის ლულებში შეაცქერდა.

– ეჰ, ძმობილო, ეხლა ვის ახსოვს, თუ ვინ ვყოფილვართ მე და შენ. სამეფო აღარ გვაქვს. მე იმპერატორს შევფიცე ერთგულება და ამ ფიცით ჩავალ სამარეში.

– მე არც არავისთვის შემიფიცია ერთგულება გარნა ირაკლისა და ამიტომაც დღეს იქ გახლდით, სადაც ბატონიშვილები იყვნენ, – მეთოფემ აჯანყების სავარაუდო ადგილისაკენ მიმართა საჩვენებელი თითი.

– აჯანყება დამარცხდა და უნდა დამარცხებულიყო კიდეც. ქართველობა ხელახლა უნდა მოშენდეს და ეს მშვიდობაშია შესაძლებელი. ბატონიშვილებს რუსეთში წაიყვანენ და მეფურად აცხოვრებენ. მათ შორის ღირსეულს ისევ უკან დააბრუნებენ და ერთიან საქართველოს ჩააბარებენ, –

აგრე რიგად მესმის მე, – ერუდ თქვა თავადმა.

– რუსები ქალებსა და ბალღებს სარბაზნებში აბამენ, – გულისტკივილი ვერ დამალა მეთოფემ.

– ერანელები ან ოტომანნი ანაც თუნდა ლეკნი განა უფრო სათუოად გვექცეოდნენ? – იკითხა დამბაჩაშვილართულმა თავადმა.

მეთოფე სდუმდა. იგი თავადის თეთრ ქულაჯას შესცქეროდა და სისხლის სქელი ფენის წარმოშობაზე და მნიშვნელოვნებაზე ფიქრობდა.

– ტყვედ უნდა მიგგვარო რუსებს, – თქვა თავადმა და თვალები ნეტარებისაგან მოჭრუტა.

– ჩემი ხნის კაცს ტყვეობაში არაფერი ესაქმება, გიჯობს მესროლო, – მეთოფემ დამბაჩებს მკერდი მიუშვირა.

– მე და შენ მაგ სასახელო თოფივითა ვართ, თუ სასროლი გექონდა რაიმე, უკვე გავისროლეთ და აწი ნაკლები საქმე დაგვრჩა ამ მიწაზე, – ბრძანა ორბელიანმა და მიწას ჩააცქერდა.

– ეს თოფი კიდევ ბევრს გაისვრის, – სიამაყით ჩაილაპარაკა მეთოფემ და განუყრელ „ავ მუსაიფს" ლულაზე ხელი გადაუსვა.

– რუსების თოფები თუ გინახავს, მიხვდებოდი, რომ შენცა და შენი თოფიც ჟანგისთვის ხართ განწირულნი.

მეთოფეს ცუდად ენიშნა თავადის უცნაური საუბარი და თვალი თვალში გაუყარა ერეკლეს სარდალეოფილს. მახარე მესხმა ორბელიანის ცისფერ თვალებში მოწყენილობა შენიშნა მხოლოდ.

– თავადო, მე ტყვედ არსად წამოგყვები და არც თოფს დაგანებებ, – ომახიანად თქვა მეთოფემ და ორთავე ხელი იარაღს მოუჭირა.

– მესმის, მეთოფეე, მაგრამ მე შენ ვერსად გაგიშვებ, ფიცით ვართ შეკრული მე და შენ და ამიტომაც უნდა ვესროლოთ ერთმანეთს. ასეთია წესი და ჩვენი შეგნება.

– მესროლე მაშინ, რაღას აყოვნებ, – კლდესავით დადგა მეთოფე. თავადი კი დუმდა და მეთოფეს აკვირდებოდა.

– ამ სერს იქით ჩემი სახლია, კავთისხევი, – ჩაილაპარაკა მეთოფემ.

– იმ ქედს იქით ჩემი მამულებია, მაგრამ რა მერე კაეშან-

ში გალამბული სიტყვები თქვა თავადმა.

— ერთსელაც ხომ უნდა დაემშვიდობოს კაცი მამულს და ეს დროც მოსულა, — მეთოფემ თავადის დაბაჩებს შეხედა და თოფის სასხლეტს ცერა თითი მიაბჯინა

— მოსკოვური დამბაჩებია, ას ნაბიჯზე კამეჩს უსულოდ აგდებს, — თავის იარაღს ეფერებოდა თავადი და მეთოფესკენ მოიწევდა.

— ვენეციური ლულა,მაყაროიანი ჩახმახი,სამას ნაბიჯზე კაცს ცოცხალს არ გაუშვებს, — მხიარულად აღწერდა მძიმე თოფს მეთოფე და მელიას ნაბიჯებით უკან იხევდა.

— ორივე დავიხოცებით, მაშასადამე, — სიცილით ამბობდა თავადი.

— ეგრეა, ზაალ ბატონო, — კვერს უკრავდა მეთოფე

— ჯერაც საკმაო დრო გვაქვს, მითხარი რა სურვილი დაგრჩა სიკვდილის წინ, — დაინტერესდა თავადი და შეხერდა.

— ვაჟები გავზარდე, ქალები დავათხოვე, დედაკაცი მეცოდება, მაგრამ იმასაც ეშველება, ოჯახში კაციც ეგ იქნება და ქალიცა, — მეთოფე შეფიქრიანდა.

— ერეკლეს ყონაღს სახლში სიკვდილი არ გნებავს, ხომ ასეა? — მჯიდი აიქნია თავადმა.

— რა სჯობს ომში წასელას და ფიცგაუტეხელ გარდაცვალებას, — თქვა მეთოფემ და ოქროსფერ ხორბალს გადახედა.

— არცერთი ორბელიანი ჩემს წინ არ მომკედარა ავადმყოფობით დაშრეტილი და დასტაქართა უნაყოფო ჩალიჩით შეწუხებული. ბალღობიდან მახსოვს, რომ გვასწავლიდნენ — „ვალმოხდილი სიკვდილიაო ბედნიერი გარდაცვალება", — ბრძანა თავადმა

— ვალმოხდილი შეეგებები ეხლა შენ ტყვიას თავადო, — ჩამავალ მზეს თვალი გაუსწორა მახარე მესხმა.

— იმ დიდ გზაზე მარტო ვერ გაგიშვებ მეთოფევ, მეც შენთან ერთად ვალმოხდილი მივალ ზენაარსთან, — ჩაიბუბუნა თავადმა.

— ეგ როგორ? — სიმწრისაგან გაეცინა მეთოფეს.

— მაგაზე მერე მოგახსენებ, — თავადის თვალები ჩამა-

ვალ მზეს აირეკლავდა.

მზე ნელ–ნელა ჩადიოდა ხელიკისფერი ქედის იქით. თავადი ზაალ ორბელიანი სალაშქრო, მხედრულ დაფაზე გაჭიმულ პერგამენტზე რადაცას საჩქაროდ წერდა, მეთოფე კი თოფს ბლუჯავდა, თავადის სასროლად გამზადებულ დამბაჩებს ათვალიერებდა და ხელიკისფერი ქედს იქით, შეილიშვილებთან მყოფ დედაკაცზე ფიქრობდა.

– მომისმინე, –მბრძანებლური ხმით თქვა თავადმა და დაიწყო

– „მე, ზაალ ორბელიანი, თავადი, უშვილძირად ვცხოვრობ ოქროს ყანაში. ის კაცი, ვინც მე თანაბარი პაექრობისას ტყვიას მესვრის და მეც ტყვიას დავახლი, გამორჩეული ყონაღია ერეკლე მეფისა. იგია მახარე მესხი, მეთოფედ წოდებული. სამწუხაროდ მე და ეს კაცი ორიოვნი ფიცის ყმანი ვართ. ამიტომაც სხვადასხვა მხარეს მყოფნი პატიოსნად ვცლაეთ ერომანეთს. ამ ანდერძის აღმასრულებელს, ორბელიანთა დიდი სახლის შვილებს ვთხოვ ჩემი და ჩემი მკვლელის მახარე მესხის ცხედრები საგუარეულო საძვალეში დაკრძალოს. მე წამასვენეთ კუმისში, ორბელიანთა საყდარში, სადაც მრავალი რჩეული საქართველოისა განისვენებენ. მახარე მესხი წაასვენეთ და დაკრძალეთ კაეთისხევში მისივე გუარის განსასვენებელს ალაგს. კიდევ ვუბარებ ჩემი ქონების გამგებელს, მოიკითხოს მახარეს ქერივი და სამსახურში აიყვანოს მისი მემკვიდრენი, როგორც გაუტეხელი ვაჟკაცის საქმის გამგრძელებლები. აწი იხარეთ თქვენ ჩემო მომდევნო შემკვიდრენო," – ჩაიკითხა თავადმა ზაალმა თაკისი ანდერძი და მეთოფეს მიაპყრო მზერა.

– ბატონო ჩემო, ტყვედ ჩამიგდე, შეგეძლო მოგეკალი, მაგრამ არ მესროლე, თოფი არ დამაგდებინე და ესლა ორთაბრძოლაში მიწევს, როგორც ტოლი სწორს. დიდ პატივია ეს ჩემი გუარისათვის, მაგრამ გთხოვ მესროლე და თავად უკნებლად წადი, – თქვა მეთოფემ და ზაალს მოწიწების გრძნობით შეხედა.

– ჯერ ერთი ორბელიანნი არ წერენ ორჯერ ანდერძს და მეორეც თუ ვაჟკაცურად გსურს სიკვდილი მაშ შემებრძოლე. ვინც გადარჩეს, ის წავიდესო თაკის გზახეო, რომ

გითხრა, სარდალეოფილს მასსრად ამიგდებდი. ოღონდ ახლა მითხარი გული გწყდება კი რაიმესე?

– არც არაფერსე თქვა მეთოფემ და ხვლიკისფერ სერს გახედა.

– აი, ღირსეული პასუხი მოყმისა, აბა ორბელლიანნო, ძალოვანნო გმირნო, სარდლიანო გუარო, ქართლის ძირო და ჯილაგო მიმიღეთ უძღები ზაალი თქვენს წიაღში! – იძახდა ქართლის თავადი და დამბაჩებმომარჯვებული დაჯლურს ცეკვავდა ოქროს ყანაში.

– მესსნო, მხნე მეომარნო, ჩუბინნო, არწივის თვალიანნო, მამაჩემო უბატონო კაცო, დიდთან დიდო და პატარასთან პატარაო, ჩემო ერეკლე მეფეე, კუზიანნო ზაალო, მიმიღეთ თქვენთან მახარე, მეთოფედ წოდებული, – ხაფი ხმით ყიჟინებდა მეთოფე და ხორუმის ილეთებით მიწანში იღებდა დამბაჩებიან მოწინააღმდეგეს.

სამმა გასროლამ თითქმის ერთდროულად იჭექა. თოფის გრგვინვასა და დამბაჩების ჭახანს საავდროდ მომზადებული ცის ქუხილი გამოეხმაურა და სულ მალე წკაპუნა წვიმამ გაახალისა სულშეგუბებული, დამფრთხალი ბუნება.

ამბავი ერთი ზარის შემოკვრისა

კლაუდია

ვასკამ და გიკამ ერთმანეთი გერმანიის ქალაქ პანოვერში გაიცნეს, უმალ საერთო ნაცნობები გამონახეს, საქართველოში გამეფებულ ქაოსს მწარედ აგინეს, ბევრი იცინეს, იხარხარეს და დაძმობილდნენ.

ერთხელ ორივენი ქალაქის ბულვარზე იდგნენ და ქერათმიან გოგონებს ათვალიერებდნენ. ორივეს მეგობარი გოგონას გასცინა გულით ეწადა, მაგრამ აი როგორ დაეწყოთ, რა ეთქვათ, ან ვისთან დაეწყოთ არშიყობა არც ერთმა არ იცოდა.

აი, მოდის ბულვარზე ტანადი, ქერათმიანი, ცისფერთვალება გოგო, სიგარეტის რეკლამისათვის რომ გამოდგება ისეთი და ქუჩას ფართოდ გახელილი თვალებით ანათებს.

– კლაუდია შიფერია მიდი გამოეცნაურე, – ეუბნება ვასკა გიკას და მრავალმნიშვნელოვნად თვალს უბრიალებს.

– არა, ძმაო, ამასთან არაფერი გამოგივა, ვერ ხედავ ნაღდი კლაუდია შიფერია? – ამბობს გიკა თავის გასამართლებლად.

ვასკა პასუხად ხელებს შლის და ისეთი მკაფიო და მრავლისმეტყველ ჟესტიკულაციებს აკეთებს თითქოსდა, პალუკინაციებს ებრძვისო.

– შენოდენი გერმანული რომ ვიცოდე, ვერ გამაჩერებდი, შენ კი, ეჰ, – ამბობს ვასკა და გიკასკენ ხელებს იშვერს. გიკამაც იცის, რომ ერთი კარგი პანღურის ღირსია და ხმას არ იღებს. ამასობაში მეორე ქერათმიანი, შემოტკეცილშარვლიანი, დუნდულები ბურთივით რომ აქვს დაბერილი, სწორედ ამგვარი ქალიშვილი მიუყვება ქუჩას. მიდი, მიდი ბიჭო, მიდი, შე ჩემის ტრულაილა, – ღრინავს ვასკა, მაგრამ არაფე-

რი გამოსდის. გიკა პირდაღებული უყურებს მოსიარულე სექსუალურობას და რაღაცას ფიქრობს.

ერთ დღეს ვასკა გახარებული მივარდა გიკასთან სტუდენტურ საერთო საცხოვრებელში და ზარის ღილაკს მანამ არ აუშვა თითი, სანამ მეოთხმეტე სართულიდან გიკას ნამძინარევი ხმა არა გაისმა.

– ჰალლო, ვერ ისთ და?

– მე ვარ ვასკა, ჩაიცვი და ჩამოდი ახლავე. მაგარი საქმეა, შენი გერმანული სჭირდება ჩემს საქმეს, – სხაპასხუპით თქვა ვასკამ.

გიკამ ვასკას პასუხი აღარ გასცა, მდუმარედ დაიწყო ჩაცმა და ვასკას გამაყრუებელ ზარს მანამ არ მიაქცია ყურადღება,სანამ არ ჩაიცვა და ლიფტში პირველი სართულის ღილაკს არ შეეხო.

– რა იყო, რა ამიკელი, – თქვა გიკამ და ეზოში მწვანე სკამზე ჩამომჯდარი აწითლებული ვასკა შეათვალიერა.

– ეჰ, დროზე ჩამოსულიყავი, – წარმოოქვა ვასკამ და ფრჩხილებს დაუწყო კვნეტა.

– რაო, ძმაო? – იკითხა გიკამ და არემარე მოათვალიერა.

– რაო და „ის" აქ იდგა, შენ კი დაიგვიანე.

– ვინ, მაიცა რა ვასკა, რას იგონებ?!

– აი, ის გოგო, აი აქ იდგა და გელოდა, – დაყინებით თქვა დაინტერესებულმა ვასკამ და თითი დატკეპნილი მიწისაკენ გაიშვირა.

გიკამ მტვერში მართლაც შენიშნა წყვილი ბოტასის კვალი, მაგრამ ყურაფერი გაიგო და ვასკას შეხედა.

– რას მაგიყებ, გამოცდისათვის ყემზადები, შენ კი რაღაცეებს მიყვები, იყო და არ იყოო, გარკვეეით თქვი რაშია საქმე.

– ეჰ, გიკა. ტრამვაით მოვდივარ, რა თქმა უნდა, უბილეთოდ და უეცრად ვხედავ, რომ ის გოგო, აი კლაუდია შიფერს რომ წააგავს, ბულვარსე რომ ვნახეთ, ჩემს პირდაპირ დადგა, უცნაურ მატროსის ქუდითა და აქსელბანტებით შემოსილი. შემდეგ გამიღიმა და დამელაპარაკა თავისი სილო გიტარასავით მუსიკალური ხმით.

– მოიცა, მოიცა, ის გოგო, ჩვენ რომ რეკლამის ქალს

შეეადარეთ დაგელაპარაკა? – გაფაციცდა გიკა და ძმაკაცის გაბურძგნილ ქოჩორს ხელი აუქნია.

– ჯერ მოიცა, ძმაო, მარტო დამელაპარაკა? მალაპარაკე რა და გაიგებ რაც მოხდა. უბრალოდ შენი გერმანული მაკლდა და შენც ჩამიქაქე სიტუაციაში, მაგრამ მომისმინე.

ვასკა გამარჯვებული სახითა და გაცისკროვნებული მზერით იხსენებდა ყოველ დეტალს.

– მოკლედ გამიღიმა, ტუნები გააღო და არფის მსგავსი ხმა გამოუშვა იქედან., აი ასე – „ლა–ლა–ლა–პლუნგ–პლანგ–პლონგ" – გამხიარულდა იგი.

– მერე შენ ვერ უპასუხე, – „პლუნგ, პლინგ, პლონგო, პლანგ",– ამოძრავდა გიკა და მასაც ლოყები აუწითლდა ემოციებისაგან.

– მოიცა, სული ნუ გისწრებს. მე შენსავით კი არ ვიბნევი. მართალია, გერმანული არ ვიცი, მაგრამ თვალები ხომ მაქვს, წარბები, ტუნები, ფეხები, ხმა. წარმოიდგინე, რომ ყველაფერი ჩავრთე საქმეში და ქალი გავაგიჟე. წარმოიდგინე, ჯერ ცოტა ფრანგულად ველაპარაკე და ერთი ლექსიც ვუბოძე სკოლაში ნასწავლი ფრანგული პოეზიიდან.

– იცი, ქალი შეეარდისფრდა–შეწითლდა, ტუნები ააცმაცუნა და დიდხანს თვალებში მიყურა აღტაცებითა და გაკვირვებით.

– ალბათ ეგონა, რომ გიჟი იყავი, – ათქლოფინდა გიკა.

– არა, არა ხომ ვგრძნობ „სიტუაციშენს". თბილისში რამდენი გოგო გამიცვნია, ვიცი რა, ძმაო, რასაც ვბაზრობ. დამიგდე ყური.

– მიდი, მიდი, – თქვა თვალდაჭყეტილმა გიკამ.

– ჰოდა, ბიჭო, ინიციატივა მე ავიღე ხელში, ჩავიროე და იმდენი ვილაპარაკე ქართულად, ფრანგულად, რომ „რეკლამის ქალი" ჩვენი „კლაუდია" ალბათ გავიიშე. ისე, შევიტყეე, რომ ფრანგულზე უფრო უკეთ ქართული ესმის ან ქართულად უფრო იგებს ჩემს ემოციებს ვიდრე ფრანგულად და ამიტომაც კროპკეს სადგურიდან მუნტერმტრასამდე ქართულად ვებაზრე.

– მაინც რას ეუბნებოდი, გალაქტიონის „მერის" ხომ არ უკითხავდი, – კვდებოდა სიცილით გიკა და თვალზე მომ-

დგარ ცრემლს ხელის გულებით იწმენდდა.

— არა, ძმაო, გალაქტიონი მე რა ვიცი. ისე ეგ „მერი" ამ ქალთან ნამდვილად გაჭრიდა. არა უშავს, მაგას მერე ყეტ-ყვი. უბრალოდ, ველაპარაკებოდი ვინ ყარ და რას ვაკეთებ ამ ქალაქში და თუ როგორ მომწონს მე ის პირადად. სხვათა შორის 'შენ'სეც ვუთხარი ერთი—ორი სიტყვა და ისიც ვაგრძნობინე ,რომ გერმანულს გრძნობების ენა მირ-ჩევნია მეთქი.

— მერე, მერე, როგორ განვითარდა მოკლენები? — იკითხა გიკამ.

— ტრამვაიმ რომ ჩვენს გაჩერებას მიაღწია, ვუთხარი მას — „წამო გიკასთან გპატიჟებ — მეთქი". დაკუმატე ის რომ შენ ფილოსოფიას სწავლობ და განათლებული კაცი ხარ. „ნიცშე, ჰეგელ, კანტ, შტაინერ, რუსთაველ", — ვუმეორებდი მთელი გრძნობით მას და ხელით „ზილოსკენ" მიეუთითებ-დი. როცა ტრამვაი გაჩერდა კიდევ რაღაცეები ვუთხარი ქალს და კარები რომ გაიხსნა, შენ წარმოიდგინე მან თავი-სი მშვენიერი ფეხი ვაგონის რკინის საფეხურზე ჩამოდგა, მსუბუქად დაეშვა ჩემს გვერდით და არაჩვეულებრივი მოძ-რაობით, ტანის რხევა—რხევით თან წამომყვა.

— კარგი, რას მატყუებ, ნუ ახურებ, წადი რა, გაიარე, — გიკა ხელებს იქნევდა და აქეთ—იქით ქანაობდა.

— მოიცა, გიკა, მომისმინე, არ გატყუებ, — ისეთი გულ-წრფელი სახით წარმოთქვა ვასკამ, რომ გიკა გაჩუმდა.

ვასკას ისეთი კაცის სახე ჰქონდა, რომელსაც ნაშრომი წყალში გადაუყარეს და მიაფურთხეს. აქამდე გიკა უხეშ ვასკას იცნობდა, მაგრამ ის დღეს აქამდე უჩინარ დაფარულ სერიოზულობასა და სითბოს ავლენდა.

— რა მოიცა, ბულვარზე ნანახ „რეკლამის ქალს", ტრამ-ვაიში აეკიდე, თანაც „ქართულად" და იგი შენთან ერთად ჩემთან წამოვიდა?

— ფრანგულადაც ხომ ველაპარაკე, ესპანურადაც ვცადე და როცა არც ერთ ენაზე არ მიპასუხა,ქართულზე გადავედი.

— და გაიგო არა? ქართულად მიგიხვდა და თავი შეგაბ-მევინა არა? — წადი დამეკარგე აქედან, შე ცრუპენტელა, — თქვა გიკამ.

– მე არ ვიტყვი რომ ყველაფერი გაიგო, მაგრამ ვიცი, რომ ოთხმოცი–ოთხმოცდაათი პროცენტი მაინც გასაგები იყო მისთვის. მაგრამ რა გინდა, შენ მთავარი ნაწილი არ მოგისმენია. ის რომ ტრამვაიდან ჩამოვიდა და გრაციოზული რხევარხევით გამოიყვა, ეს გეფიცები სიმართლეა. აი, ნაკვალევი. ეს იმის ბოტასებია. აი, ჩემი ტუფლის ზომას შეუდარე თუ გინდა, – თქვა ვასკამ და არქეოლოგივით თავისი „ალმოჩენის „ გაზომვას შეუდგა.

– ჩემს ფეხსე ოდნავ ჰატარა ფეხია, რაც იმას ნიშნავს, რომ ის ჯანსაღი, ძლიერი და სექსუალურია, – შეჰყვირა ვასკამ და გიკას ხელის ვადახვევა დაუპირა.

– წადი, შე აფერისტო, ბოტასის ნაკვალევით გინდა დამაჯერო, რომ შენ ის „ბალერინა"' აქამდე გამოგყვა? წადი რა..., –ბრაზობდა გიკა.

– არა მარტო ნაკვალევით, არა. ჯიბეში იმ გოგოს მოცემული სავიზიტო ბარათი მიდევს და როცა მინდა, მაშინ დავურეკავ. გაიგე? – თვალები აუწრიალდა ვასკას და გულის ჯიბისკენ წაიღო ხელი.

– გინდა განახო? ჯერ მომისმინე და მერე განახებ, – თქვა მან.

– აი აქ ანუ ამ ადგილას ვიდექით მე და ის და შენნაირ ზარმაცს ველოდით. არ იკითხავ რატომ? ახლავე გიპასუხებ. არა მარტო გერმანულის გამო მჭირდებოდა 'შენი გასიებული თავი, არამედ ამ გოგონას მინდოდა განათლებული სტუდენტი ქართველი ენახა, ყავას დავლევდით ერთად, ერთ–ორ ქართულ ჰიტს მოვასმენინებდით და იქნებ მაგის დაქალებიც გაგეცნო. მოკლედ გაიგე რა, ასეთ ტიპის გოგოს დაქალებიც მისსნაირი „კლაუდიები" და შოკოლადივით ტკბილები ეყოლებათ. მთელ პროგრამას ვამზადებდი ჩვენი მომავალი გაჯირითებისათვის, შენ კი, 'შენ ზუსტად ნახეკარი საათი არ ჩამოხვედი და არც კარი გაგვიღე. რომ ემოვსულიყავით. ხომ იცი, როგორი იმპროვიზატორი ვარ, გზადაგზა მახსენდება რა ეთქვა და რა ვილაპარაკო. ასე რომ, ვიფიქრე, თუ არ ჩამოდის, იქნებ ამ რეგვენმა 'ხევით მიგვიპატიჟოსმეთქი,მაგრამ რამდენი არ ვრეკე,'შენ ეროიც არ მიპასუხე.

— ვიცვამდი, ძმაო, ისე შენი გაბმული სარი მესმოდა, — ჩაიდუდღუნა გიკამ.

— მე მას ვეუბნები — „მომენტ", „მომენტ", ერეკავ, გაგინებ და გული მეკუმშება შიშით, რომ არ წავიდეს.

— მერე რაო, იმ შენნმა აფროდიტამ? — იკითხა გიკამ მოთმინება წართმეულმა.

— ტუნების გრეხვით მითხრა — „პლუნგ-პლანგ პლონ-გო". გამიღიმა, არ იდარდიო, მაგრამნობინა და ტრამვაის გაჩერებისკენ წავიდა.

— წავიდა? — იკითხა გიკამ.

— უეცრად შეჩერდა და იმ დროს, როცა ჩემი გული გაჩერებას აპირებდა, ის შემოტრიალდა, ჩემთან მოვიდა, ჯიბიდან სავიზიტო ბარათის მსგავსი კარდონი აქოილო და „პლუნგ-პლანგ-პლუნგ" ანუ დამირეკეო, — მთხოვა.

— აი ეს კი დიდი გამარჯვებაა, — თქვა გიკამ და ორივე ხელი ზეციისკენ აღაპყრო.

— დიდი გამარჯვებაა, მაგრამ მას სერიოზული გამოყენება უნდა, შენ ხვალ რას აკეთებ, თორემ დღეს გვიან არის, — დაინტერესდა ვასკა.

— ლომი ნახტომისათვის ხომ არ ემზადება? — იკითხა გიკამ.

— აუ, როდის მოვა ხვალინდელი დღე, — შეფიქრიანდა ვასკა.

— მოიცა, რა დღე, რა ღამე, მანასე ერთი რა მოგვცა იმ „ჰაი ტეხმა ქალმა" და ესლავე დავურეკოთ, — გიკამ ხელი ვასკას გულის ჯიბისაკენ წაიღო.

— განასო? — ეშმაკურად დაიჭყანა ვასკა.

— მანახე, ძმაო, კი არ შეეჭამ, — ანერვიულდა ფილოსოფიურის სტუდენტი.

— აჰა, შეაველე თვალი, — თქვა ვასკამ და ძმაკაცს ლურჯი ფერის მუყაოს ქაღალდი მიაწოდა.

გიკამ ლურჯ საავიზიტოს დაკვირვებით შეხედა, შემდეგ ვასკა შეათვალიერა, თვალები გაუფართოვდა, სასეზე იქედნული ღიმილი გამოესახა და უეცრად გადაიხარხარა.

— მუცელი, ვაი, მუცელი, — სიცილით იბრიყლებოდა გიკა და ვასკას შეჰყურებდა, ვასკა კი გაოცებული იდგა და ძმა-

კაცის მხიარულობას არ იზიარებდა.

– გინდა წაგიკითხო აქ რა წერია, ჰა–ჰა, ჰა, შე კასანოვა. ჯერი დამიგდე ოღონდ არ მოკვდე ადგილ'ზე ბიჭო, – ჩაბჟირდა გიკა და კითხვა დაიწყო:

პატივცემული მგზავრო, თქვენ გაფრთხილებული ხართ უბილეთოდ მგზავრობისათვის. შემდგომში თუ მსგავსი განმეორდება, აუცილებლად დაჯარიმდებით. ნებისმიერი კითხვისათვის შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ შემდეგ ტელეფონებ'ზე...

მუგეობრული სალამით,

ქვემო საქსონიის საზოგადოებრივი
ტრანსპორტის ინსპექცია

ვასკა, გიკა და „პიური"

ჭკვიანები სხვის შეცდომებზე სწავლობენ, სულელები კი თავისაზეო, – უთქვამს ერთ დიდ ბრძენს, რომელსაც არ დაუკონკრეტებია იმათ რა უნდა ვუწოდოთ ვინც საკუთარ შეცდომებზეც არ სწავლობს რაიმეს. ვასკამ და გიკამ ცოტა საკუთარ სისულელეებ'ზე იცინეს, მეტი სხვის უნიათობაზე იხარხარეს და ერთი მეტად საინტერესო საბოლოო დასკვნა გამოიტანეს საინტერესო ნაცნობობა კლუბურად გაიბმება მხოლოდ და არა სხვაგვარადო.

მსოფლიოში მრავალი აზრისა და არსის მქონე კლუბი არსებობს. კლუბური ცხოვრება მრავალი საინტერესო პროცესებში გაგვაბამს და გაგვართობს. იმ ქვეყნებ'ში, სადაც მრავალთ გული და გონება მიუწევთ, ადამიანები ერთად შეჯგუფდებიან ხოლმე საინტერესო საქმის მოლოდინში. ხომ გახსოვთ ჟიულ ვერნის გმირი ფილეას ფოგი თავის პასპარტუსტან ერთად, სწორედ კლუბში მიღებული გადაწყვეტილების ან უბრალო ნიძლავის წყალობით გაემგზავრა

დედამიწის ირგვლივ სამოგზაუროდ 80 დღის ფარგლებში. თქვენც გეამებათ ,როცა გაიგებთ, რომ ჩვენი გმირები ვასკა და გიკა, ფილეასისა და პასპარტუს მსგავსად სწორედ კლუბში გაწეერიანებით მოგზაურებად იქცნენ და ჯანმრთელობის საზიანოდ, ოდნავ აჩქარებით, სადღაც, არცთუ ისე შორს გაემგზავრნენ. ყველაფერი კი, აი ასე დაიწყო:

– გასეთებს გადააველე თვალი, აი შენ წამყვანი გასეთები და ეძებე, – თქვა მოუთმენელმა ვასკამ, რომელსაც ადგილობრივი ენის შესწავლა დაწყებული ჰქონდა, მაგრამ ჯერაც სადღაც თავსართ მოცილებად ზმნებზე იყო გაჩხირული.

– დაჯე, ძმაო, და შენც მომეხმარე, მარტო არც კი ვაპირებ ამის თვალიერებას.

– აუ, იქნებ მანქანა გვეყიდა, კაბრიოლეტი, მაგრა წაგვადგებოდა, ცოტა უფრო სერიოზულად გამოვჩნდებოდით გოგოების თვალში.

– კარგ მანქანას კარგი ფული უნდა, მერე კი ყოველ დაჯარიმებაზე ფოტოგრაფიას მიიღებ სახლში და იხადე ას–ასი ევრო თვეში.

– ჰო, მართალი ხარ, გიკა, მანქანა კი არა უნივერსიტეტელი და კოლეჯელი „ძმები" ველოსიპედებით დადიან მეოთხე წელი იქნება და „ცხოვრება" აწყობილი აქვთ.

– შენ ეის გულისხმობ, რომ აწყობილი აქვს ცხოვრება? – იკითხა გიკამ დაეჭვებით.

– აი, ჩვენ, რომ „პიერეს" ვეძახით, პარიზელი ჯველი, აფრიანი „ველიკა" რომ ჰყავს ის მომყავს მაგალითად.

– წავიდეს ეგ ვეგეტარიანი და ნუდისტი „პიერე". ამას წინათ საქართველოზე ვუყვებოდი,მწვადები, დიმპიტაურ–დამპიტაური, მთები, ზღვა და კიდევ თბილისური ამბები და ვერაფერი გაიგო.

– არა, „პიერე"' ყველაზე კარგი ბიჭია, ფრანგული შარმი აქვს და ქალებსაც მაგრა აბამს,მისი აფრიანი ველოსიპედი კი აქაურ გოგოებში ვნებააშლილ მხიარულობას იწვევს. ქალებს კი მხიარულობა სჭირდებათ პირველ რიგში, – თქვა ვასკამ სერიოზული სახით და გიკას სქელი ფორმატის, განცხადებებით საესე გაზეთი „ჰაისსე დრატი" ანუ „ცხელი გაზეთი" მიაწოდა.

— აი მოიცა, აქ რაღაც საინტერესო წერია ვასკა, აი ეს ამოჭერი და გვერდზე გადადე, — თქვა გიკამ და ვასკა მდუმარედ დაემორჩილა მას.

— ესეც ამოჭერი, აქ გახასე ვასკა, — კიდევ მისცა ვრცელი საგაზეთო გვერდი ვასკას გაზეთებში ცხვირით ჩარჭობილმა გიკამ.

— ვასკა, აი აქ ერთი კარგი გოგო წერს — „ გავერთობოდი 20–25 წლის ბიჭთან, რომელიც დამყოლია და ჰყავს ფოქსტერიერი. მეც მყავს ფოქსტერიერი, მქვია მარტა, ფოქსტერიერს ჰქვია ემანუელა. ტელეფონი".

— რა ახლა ფოქსტერიერი ეყოფიდო? — შეშინებული ტონით წარმოთქვა ვასკამ და თვალებში უემური, უიმედო გრძნობები ამოატივტივა.

— არა, უბრალოდ „პიურეს"' ჰყავს ფოქსტერიერი და თუ გაიხოვა, წახვალ მაგ გოგოსთან პაემანზე, გაიგე?

— „პიურეს" ფოქსტერიერი რამდენიც შემოძხვედება, იმდენი საკბენად მოიწევს ხელზე და შენსაც, ამიტომ მარტას თავი დაეანებოთ რა, — შეკვლილი ხმით ჩაილაპარაკა ვასკამ.

პარიზელი „პიურე" ქალაქ ჰანოვერის უცნაურ სტუდენტებში ყველასაგან გამოირჩეოდა. ჯერ ერთი მას სტუდენტის ასაკთან შედარებით, გაცილებით ხნოვანი შეხედულება ჰქონდა, რასაც „პიურე" ყოველთვის მალავდა. მეორეც „პიურე" სხვა ბიჭებს გამოცდილ მექალთანედ მიაჩნდათ. მესამეც პარიზელს საინტერესო ფორმის და მექანიზმის მქონე უცნაური, აფრიანი ველოსიპედი ჰყავდა, რომელსაც იგი განუწყვეტლივ ხვევდა, გადააკეთებდა, ფერს უცვლიდა. ფორმას ხანაც კალიას მიუმსგავსებდა, ხანაც ნემსიყლაპიას. ქალაქ ჰ–დან საფრანგეთის საზღვრამდე და მითუმეტეს პარიზამდე 400 კილომეტრი იქნებოდა. „პიურე"'კი როცა გერმანიიდან შუაგულ საბ'მობლო'ში ბრუნდებოდა, ყოველთვის საუკეთესოდ გამოემშვიდობებოდა უნივერსიტეტის ძმაკაცებს, დაქალებს, აფრიკელებთან ერთად მათ საბრძოლო ტამტამს ჩამოჰკრავდა, პერუელებთან ჩასტვენდა მაიას ტომის სასულე ინსტრუმენტში, გადაკრავდა გერმანელ ლუდს, ხელს დაუქნევდა საძმოს და თავის აფრიან ველოსიპედში ჩახტებოდა და პარიზისაკენ გასწევდა.

„პიურე" სემესტრის დაწყებისას, ერთი კვირით იგვიანებდა დაბრუნებას. დაგვიანების მიზეზად იგი ელამ თვალებს ლაინერის კაპიტანივით მოჭუტავდა,წითელ–მწვანე თმებს გააქნევდა და იტყოდა, „ორი დღე ზურგის ქარს ველოდიო".

ვასკამ და გიკამ ფრანგი ავეჯის გადატანის დროს გაიცნეს. ვასკას მიერ გადასატანად მომზადებულ ავეჯს, რომელსაც რატომღაც ნახევარი ქუჩა ეკავა, მოელი სიჩქარით მომქროლავი ვეება „კალია" შეასკდა, რომელშიაც, რა თქმა უნდა,„პიურე" იჯდა. ველოსიპედი „კალია" ნამსხვრევებად იქცა. ხოლო მძღოლი ნახევარ საათს ფრანგულად იგინებოდა, რასედაც ქართველი ბიჭები ჩვენებური უხამსობით პასუხობდნენ. ბოლოს ამ ინციდენტსაც მხიარული დასასრული ჰქონდა. „პიურე" და ბიჭები ერთად არემონტებდნენ "კალიას" თუ „ნემსიყლაპიას" და მუშაობის პროცესში ერთმანეთს თავის გულისნადებს უმჟღავნებდნენ.

„პიურემ" ვასკას ოინებზე გულიანად იცინა, ტრამვაიში გაცნობილ „აფროდიტაზე" ჩაბეჭირდა და ბიჭებს სასიამოვნო ნაცნობობის გაბმა ქუჩაში და ისიც სამუშაო დროს აუკრძალა. კლუბში ან ასოციაციაში ჩაეწერეთ, – თქვა მან და ისიც დაუმატა, რომ თავად აპირებდა ახალგაზრდული საფიხვნოს დაარსებას, მაგრამ ჯერ ვერ მოეფიქრებინა თუ რომელი სამეცნიერო, თუ საზოგადოებრივი მიმართულება მიეცა მისთვის.

ამ უცნაური ფრანგის პორტრეტის დასრულებისათვის უნდა ითქვას, რომ „პიერე" უნივერსიტეტში, ეკოლოგიური ენერგეტიკის ფაკულტეტზე სწავლობდა და მისი „კალიაც" ამ დარგის მოძრავი,სამეცნიერო ლაბორატორია გახლდათ.

გაზეთებში ჩაფლული გიკა და ვასკა იხსენებდნენ „პიურეს" რჩევებს და უხმოდ მუშაობდნენ. 3 საათის კითხვის, ჭრის, და ჩაწებების შემდგომ ვასკას ხელში უკვე ფართო საქალალდე ეჭირა და გიკას ეჭვის თვალით შეპყურებდა.

– ჰა, ხომ არ ვიმყოფინოთ? აწი დავიწყოთ პასუხის გაცემა, – ამბობდა ის.

ფილოსოფიური ფაკულტეტის სტუდენტი გიკა საქმეს გაეტაცებინა მხოლოდ ხელის აწევით აჩერებდა გულწა-

სულ ვასკას. ვასკა კი უკვე წრიალებდა, ფრჩხილებს იკვნეტდა და ფანჯრიდან მწვანე ეზოში იფურთხებოდა.

რამდენიმე დღის შემდგომ გიკა და ვასკა უკვე ლუდის ბარში იჯდნენ და საქალალდე ამოჩრილი „პიურეს" მოსულას ელოდნენ. სასღვარგარეთულმა განათლებამ ბიჭებს „კონსულტანტის" აუცილებლობა დაანახა. ამიტომაც ისინი გამოცდილი ფრანგის რჩევადარიგებას მოუთმენლად ელოდნენ.

7 საათზე მონოკლის ფორმის სათვალითა და პირველი მსოფლიო ომის აეიატორის ტყავის ქუდში გამოწყობილი „პიურე" კნაიპეში ფრანგი გრენადერის ყოჩაღი ნაბიჯით შემოვიდა და ბიჭებს ზულუსების მსგავსად ორივე ხელითა და ჩოქბჯენით მიესალმა. ვასკამ და გიკამაც „კალიას" აღდგენის დროს ნასწავლი ზულუსური ჩოქბჯენი, ლუდხანის გაჭვარტლული ჭერისაკენ ხელების არატრატება და ტუჩების ტკაცუნი მორთეს „პიურეს" მისასალმებლად. მცირე ხანში სამივენი საქმეში იყვნენ ჩაფლულნი მაგიდის გარშემო.

– აი ესენი თქვენთვის არ ივარგებს, ზედმეტად „გრინგოულია", – თქვა „პიურემ", გაზეთების ფართო გროვა ვასკასა და გიკას თვალებს წინ მოკუჭა და ურნაში კალათბურთელიკით ოსტატურად მოისროლა.

– სამი ქულა, – აღმოხდათ ვასკასა და ვიკას აღტაცების ნიშნად.

– ეგ არაფერია, შარშან ესპანურ დისკოთეკაზე ჯაბარის 1985 წლის ნასროლი სამქულიანი გაიმეორე და მთელი ქალების გულები ერთბაშად დავიპყარი,– თქვა „პიურემ" და ბიჭებს მრავალმნიშვნელოვნად გადახედა.

გიკა და ვასკა იღიმებოდნენ.

– არც ეს კლუბებია თქვენთვის მისაღები, ზედმეტად „სენიორულია", – წარმოთქვა ფრანგმა დამარცელით, გაზეთების მეორე გროვა მოკუჭა, ბუროი გააკეთა და 15–18 მეტრის მოშორებით მდგარ ურნას სტყორცნა.

ბიჭებმა ნატყორცნს თვალები გააყოლეს, კისრები წაიგრძელეს და წამის მეოთხედში იგრძნეს, რომ ნატყორცნი ურნიდან მოშორებით დაეცემოდა, რასაც ისინი უკვე განიცდიდნენ კიდეც.

უეცრად ლუდხანის დარბაზში მჯდომი ადამიანია და

ცხოველთა ჯოგიდან ამოწვდილმა ხელმა „პიურეს" ნასროლს ოსტატურად შეუცვალა ფრენის მიმართულება და „ბურთი" ურნაში ჩაეშვა.

– უუჰ, – აღმოხდათ ვასკას, გიკას და „პიურეს".

– ჯაბარ,ჯორდან,ჯაბარ,ჯორდან,– აყვირდნენ ლუდხანის სტუმრები და მარჯვენა დაულოცეს იმ ჯეელს, რომელმაც ფრანგის სროლა ასე ოსტატურად დაასრულა. „პიურეც" წამოდგა სერიოზული სახითა და შეორთქლილი მონოკლით ლუდის კათხა ასწია „პროსტ–ო",– თქვა და თავის ადგილზე ჩამოჯდა.

– წაიკითხეთ ეს განცხადებები, გირჩევთ, – წარმოთქვა ფრანგმა ქალალდების მესამე გროვის მოკუჭვის შემდეგ და ბიჭებს ღიმილით შესედა.

– წაიკითხე ერთი რა სწერია, – ჩაილუღლუღა ვასკამ მოწყენილად და თავი ხელებზე ჩამოსდო.

– ჰმმ, „არანეულებირ მოგზაურთა კლუბი გაცნობებთ რომ, მოგზაურობის მოყვარული გოგონები გაიცნობენ ძლიერ და ამტან ბიჭებს, რომლებთანაც ხანგრძლივი ურთიერთობა შეიძლება გაიბას კიდეც. განელილი სპორტული და კემპინგური ცხოვრების გამოცდილება საგალდებულოა. გამოგვიგზავნეთ თქვენი დახასიათება. ჩვენ ვაპირებთ უიკენდზე ქალაქგარეთ გასეალას. გვქვია ლიდია და მაია. მოგემართეთ ფაქსით," – ჩაიკითხა გახარებულმა გიკამ.

– მაგარია, – წამოიყვირა ვასკამ, რომელსაც უკვე შეეძლო ძმაკაცის გერმანული ფრაზების შინაარსის გაგება.

– კარგია, – თქვა გიკამ და ფრანგ მენტორს მიაშტერდა.

– ახლავე უნდა შევადგინოთ საპასუხო წერილი და ფაქსით გავუგზავნოთ მაო და შემდეგ მოთმინებით ველოდოთ პასუხს, – დაელამებული თვალებითა და იდუმალი ტონით თქვა „პიურემ".

– დავიწყოთ ფაქსის შედგენა მანამ, სანამ „პიურეს" დრო აქვს, იქნებ მოგვეხმაროს, – წამოწითლდა ვასკა და სამივემ ერთად დაიწყო სამომავლო წერილზე ფიქრი.

რამდენიმე წუთის აზრთა შეჯერების შემდეგ ასეთი წერილი გამოცხვა:

„ძვირფასო ლიდია და მაია,

ჩვენ ვართ სამი მეგობარი, რომელთა სახელებია ვასილი, გეორგი და პიერი. ვასილი და გეორგი ქართველები არიან შორეული თბილისიდან. პიერი კი, რომელსაც უნივერსიტეტის სტუდენტები „პიურეს"' ეძახიან, ფრანგია, პარიზელი. ჩვენ სამივეს გვიპყრობს მოგზაურობისა და თავგადასავლების სურვილი. ვასილი და გეორგი კავკასიის მწვერვალებზე არიან ნამყოფი. ისინი დაუღლელი მოგზაურები არიან. „პიურე" დღე და ღამე მოგზაურობს თავისი „კალიით". ამ ეკოლოგიურად სუფთა ტრანსპორტით პიერი ისე დაქრის, რომ მნახველს შორეული გალაქტიკის სტუმარი ჰგონია.

ჩვენ სამივე ესწავლობთ. გეორგი ფილოსოფიას ეუფლება, პიერი ეკოლოგიურ ენერგეტიკას ამთავრებს, ხოლო ვასილი ენის კურსებზე სწავლობს და შემდეგ ეკონომიკურზე აბარებს.

ძვირფასო ქალიშვილებო, ჩვენ დიდი სურვილი გვაქვს თქვენთან ერთად მოგზაურობის. ჩვენი ფაქსის ნომერია ლუდხანა „პი–პაუ".

მეგობრული სალამით

პიერი – „პიურე", ვასილი – „ვასკა" და გეორგი – „გიკა".

– კარგი წერილია, მეტი რა უნდათ, მთელი გული ჩავაქსოვეთ, – თქვა ვასკამ და პიერს შეხედა.

– ნორმალური და გაწონასწორებული მესიჯია, – თქვა გიკამ.

– არაფრად არ ვარგა. ეს წერილი გემის კაპიტნის ბოთლში ჩადებულ წერილს წააგავს სვიგენს რომ უპოვნიან კუჭში იმგვარს, –ჩაიდუღუნა პიერმა და მუავე „შპარგელი" გატკვირა.

ბიჭები ჩაფიქრდნენ. პიერმა კი მონოკლს დააორთქლა, პერანგით გაწმინდა და უეცრად ნაჯდაბნი წერილით სადღაც გაიქცა.

ვასკა და გიკა „"პიურეს" გამოედევნენ და სამივენი ერთად ლუდხანის ფაქსის აპარატთან შეჩერდნენ.

– ცუდია, მაგრამ დრო აღარ გვაქვს. ვანცხადებაში წერია,

რომ 9 საათამდე დაგვიკავშირდითო. ახლა კი 9–ს ხუთი წუთი აკლია და თუ იმას გავითვალისწინებთ თუ რაოდენ მნიშვნელობას ანიჭებენ მოგზაური გოგონები პუნქტუალობას, მაშინ ეხლავე უნდა ვუპასუხოთ ჩვენი მიმართვით, – აყვირდა „პიურე" და ფაქსის აპარატიც აგრუხუნდა.

– რა სწრაფად გაიტანა, – გაიკვირა ვასკამ და პიურეს ხელში „ოკეით" დაღდასმული ქაღალდის ნაჭერი შეათვალიერა.

ახლა წადით და მშვიდად გამოიძინეთ, თუ პასუხი იქნება ლუდხანა შეგვატყობინებს და შევიკრიბებით, – თქვა ფრანგმა, სათვალე გაისწორა, პირველი მსოფლიო ომის დროინდელი ავიატორის ქუდი შეიკრა და „ჰაი"–ო ბიჭებს შესძახა. ვასკა და გიკა ნაღელიანად შეპყურებდნენ თუ როგორ მიჰქროდა „პიურე" თავისი მწვანე–ყვითელი „კალიით" უნივერსიტეტის იმ ლაბორატორიის მიმართულებით,სადაც ეკოენერგეტიკის იდუმალ ექსპერიმენტებს აწარმოებდა.

გავიდა ორი დღე. ვასკას ჭამის მადა ისე წაერთვა, რომ იგი მარტო ნაყინს მიირთმევდა და გიკას ფილოსოფიის დიდი წიგნით ბუსებს იგერიებდა სამსარეულოში. გიკა შტაინერში ჰპოვებდა განცხრომას და იგი გაურკვეველ ფრასებს ბურტყუნებდა. ვასკა ტელევიზორის პულტს აწვალებდა, მაგრამ რატომღაც 48 არხიდან გულს ვერცერთს ვერ უდებდა. უეცრად ტელეფონმა დარეკა. ეს „პიურეს" ხმა იყო.

– ვასკა, შენ მაინც ვერ გაიგებ რას ვიტყვი, მიეცი ყურმილი მეორე ქართველს, – ყვიროდა „პიურე", რომელიც გიკას ამგვარად მიმართავდა.

– გიკა, გოგონები გამოგვეხმაურენ გაიგე? ხვალ საღამოს 7 საათზე ლუდხანაში მობრძანდებიან. მოდით დროზე,არ დაიგვიანოთ, – ყვიროდა ენთუსიაზმის მორევში მყოფი ფრანგი.

გაცნობა და საუბარი

– დღეს ელეგანტურები უნდა გავხდეთ, – თქვა გიკამ და პერანგზე ბაფთის მორგებას შეუდგა. ვასკაც არ გამოიყურებოდა ურიგოდ. მართალია, მას ფილოსოფიურის სტუდენ-

ტის მსგავსი მოხდენილობა აკლდა,მაგრამ ლოყაწითელი სახე, გამობუშტული ტუჩები და მოუსყენარი მწვანე თვალები ნამდვილ ფათერაკიან მოგზაურს ამგვანებდა. იმ დროს, როდესაც გიკა ფრანგულ სუნამოს თავსე უხვად იპკურებდა, ვასკა ამ დღისათვის სპეციალურად შეძენილ ბლუმბახის სიგარას თავს აჭრიდა და მოსაკიდებელ მერქანთან ერთად, მწვანე ყუთში აწყობდა.

— სიგარები რად გინდა? — უხეშად იკითხა გიკამ და ვასკასკენ შემოტრიალდა.

— შენ რა იცი ცხოვრება, — მხრები აიჩეჩა ვასკამ და მწვანე ყუთი გულის ჯიბეში ჩამალა.

— შორეული ცურვის კაპიტანს გავხარ მაგ სიგარით, „ბებერ ხრიჩს", მაგრამ რა გაეწყობა, — თქვა მეორე ქართველმა და ისინი ლუდხანისაკენ ფართოდ დაჭყეტილი თვალებითა და ოდნავ აჩქარებული გულებით დაიძრნენ.

— მოდით ქაროველებო, აქეთ—იქით მომიჯექით, — თქვა ზულუსური მისალმების შემდეგ, ტყავის გაცვეთილ ფრაკში და ავიატორის ქუდში გამოწყობილმა „პიურემ", რომელიც ლუდხანის ერთ—ერთ გამოსახენ ადგილას მოკალათებულიყო და ლუდს შეექცეოდა.

— ახალი პიჯაკი, მუსიე? გიხდებათ, — უთხრა გიკამ ფრანგს ღიმილით და თვალებდაბრეცილ პიურეს ტყავის ფრაკზე მიანიშნა.

— აჰ, სულ გადამავიწყდა. რა ახალი, რის ახალი. მე ხომ იცით არაისტორიული ნასკიც რომ არ მაცვია. ეს პიჯაკი ეკუთვნოდა ჩემს პაპას, საფრანგეთის პირველ ავიატორს, პირველი მსოფლიო ომის ლეგენდას დე ბოდუენ დე ეოლანს, — ისეთი ტონითა და აღმაფრენით წარმოთქვა „პიურემ", რომ ბიჭებს ეგონათ უჩინარი ორკესტრი საფრანგეთის ჰიმნს დააგრიალებსო.

— ესე იგი ეს პიჯაკი მინიმუმ 90 წლის გახლავთ მუსიე, — მოწიწებით წარმოთქვა გიკამ და ვასკას გადახედა.

— ზუსტად რომ ვიანგარიშოთ, პიჯაკი 114 წლისაა და მას ოთხი ნატყვიარი აქვს, — გულცივად წარმოსთქვა „პიურემ" და ლუდის ქაფს ისეთი ძალით შეუბერა,რომ მისი შხეფები კედლისაკენ ფიფქებივით გაფრინდნენ.

ამ სიტყვების შემდეგ გიკას უნდოდა ფეხზე წამომდგარიყო, გაეკეცჩებული ვასკაც ფეხზე წამოეგდო და მასთან ერთად მთელი ბარის გასაგონად „მარსელიოზა" ემღერა.

— ოო,აი ისინიც,ჩვენი მოგზაური გვრიტები, ლიდია და მაია, ოჰ, რა სასიამოვნოა, — თქვა „პიურემ" და ფეხზე წამოიჭრა ბნელ ლუდხანაში შემოსული ორი გოგონას შესახვედრად.

გოგონები ვასკამ და გიკამ რომ შეამჩნიეს, მათ უკვე ფრანგი მდაბლად უკრაკდა თავს და ათას კომპლიმენტს ეუბნებოდა.

— აი, ჩვენი მეგობრები, ძვირფასო ლიდია და მაია. აი ვასკა, მას ოდნავ ხმამაღლა უყვარს საუბარი, აბიტომაც ყურებს მოუფრთხილდით მისგან. აი, ფილოსოფოსი გიკა, მას აზრების სამეფოში შეუძლია დაგპატიჟოთ და სულ სხვა, ზღაპრული სამყარო შეგიქმნათ. აი, კიდევ მე — ფრანგი შევალიე, დაშნისა და ეკოლოგიური ენერგეტიკის რაინდი პიერ დე ბოდუენ დე ვოლანი, — ჭიკჭიკებდა „პიურე" და გოგონებს თვალებით, სიტყვებით, წარბებითა და ტუჩების ბზეკვა—პრუწვით ეალერსებოდა.

გოგონები ლუდხანის ფართო სკამებზე ჩამოჯდნენ,სურგჩანთები მოიხსნეს, სკამებთან მიაწყვეს, ერთმანეთს გაულიმეს და მასპინძლებს მოავლეს თვალი.

ლიდია ვასკას მეტისმეტად ლამაზი ეჩვენა და ცოტა შიშიც შეეპარა გიკასკენ არ გადაიხაროსო კონკურენციის სასწორი. მაია თავისი ბიჭურად გაკრეჭილი თმებით, შავი თვალ—წარბითა და პატარა ცხვირით ასევე მოეწონა ვასკას, რომელიც შავთვალწარბა გოგონებს დაფარულად ეტრფოდა. „სულ ერთია ბოლოს რომელი ამირჩევს ან თავს ამომარჩევინებსო", — გაიფიქრა გულაფრთხიალებულმა ვასკამ და ორივე გოგოს გაულიმა.

გიკაც იგივეს ფიქრობდა ლიდიაზე. მას ცისფერთვალეობა,ქერათმიანი და მკერდსავსე ლიდიას მოხიბვლა ძალიან მოუნდა, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ, როდესაც მაიას სფეროსებრი თეძოები და გრძელი ფეხები შეათვალიერა, გაიფიქრა, რომ მაიასთან დამეგობრება მისი სანუკვარი ოცნება გახლდათ.

„კალიას" პატრონი ორიეე გოგოსე თანაბრად შეყვარებული ჩანდა. იგი შეუსერებლად ლაპარაკობდა,თავის საინტერესო სამუშაოსე ყვებოდა და იმ დროის დადგომას წინასწარმეტყველებდა, როდესაც მთელი ევროპა ისეთიეე „კალიებით" იელიდა, როგორიც მას ჰყავდა. გოგონებს ფრანგის საუბარმა სრული სიმშვიდე მოჰგვარა. ისინი გაბადრული სახეებით უსმენდნენ „პიურეს", ათვალიერებდნენ მის ავიატორულ მუნდირს და საკმაოდ გატაცებული ჩანდნენ. ბიჭების მხარეს მათი ყურადღება სრდილობის ამსახველი იყო მხოლოდ და არა რაიმე სურეილის. მიუხედავად ამისა, მათი ყურადღება ისეთი დახვეწილი ფორმით იყო გადმო–ცემული, რომ ბიჭებმა გულიო გაიხარეს, გამამაცდნენ და შემდეგ „პიურეს" სიტყვაც კი გამოსტაცეს პირიდან.

— ლიდია,წარმოიდგინე,თუ როგორ ვეძებდით მოგზაურობის მსურველ კეთილ ადამიანებს, რომელთაც ახალ–ახალი ემოციების მიღება გადაუწყვეტიათ. აი, მე და ვასკა ჩამოსული ვართ საქართველოდან სადაც უამრავი მთასველელი ჩამოდის ერთი მწვერვალის დასაპყრობად, რომელიც ასეთ ხმებს გამოსცემს — „პამ ბუმ, პამ, ბუმ და არაეის იკარებს", — თქვა ვასკამ და გახარებული იმით, რომ გოგონებს სიცილი მოჰგვარა, გაწითლდა.

— ლიდია და მაია,მოვა დრო,როცა ევროპელები საქართველოში ისე გაემგზავრებიან, როგორც მე ჩემს ბებიის სოფელში მივდივარ საფხულობით. ეს იმიტომ იქნება ასე, რომ ევროპელის ბებია და ბაბუაც საქართველოში მილიონ რეაასი ათასი წლის წინ ცხოვრობდნენ, — თქვა გიკამ და გოგონებს მაგიდასე დაუდო ერთი ინგლისური ჟურნალიდან ამოჭრილი სტატია, სადაც ამგვარი ფაქტები იყო მოთხრობილი.

— ოჰო ეს საინტერესოა, ადამიანი აფრიკაში წარმოიქმნა და შემდეგ ტანტალ–ტანტალით გამოსწია ევროპისკენ, სადაც მას ნეონაცისტები დასვდნენ და უთხრეს ახლავე უკან დაბრუნდიო, — თქვა შემთვრალმა პიერმა და გოგონებს რამოდენიმე კალამბური მოუყვა ფრანგებისა და ფრანგული ხასიათის შესახებ.

— გნებავთ გაიგოთ თუ როგორ იქცეეა ამერიკელი ლიმუ-

ზინში მჯდომ მილიონერის დანახვისას? – ამერიკელი მიეს-ალმება მის წარმარტებას და თავადაც დაფიქრდება მსგავ-სი წარმატების მიღწევაზე. გნებავთ გაიგოთ, როგორ იქცევა ფრანგი იგივე ლიმუსინის და იგივე სიფათის დანახვისას? – ფრანგი შეეცდება ავტომობილიდან გადმოათრიოს ეს გრინგო, ერთი–ორი უთავაზოს მას და სახლში ფეხით გაუშვას. ასე-თია გრანდ–ნაციონ, ასეთია ყოველი ფრანგი და ბოლოს ასეთი ვარ მე „კალიას" შემოქმედი და ეკოლოგიური ძრავე-ბის დიდოსტატი ანინაური, გრაფების შთამომავალი „პიურე".

– დათვრა ეს ოხერი, ნამდვილად, – გადაულაპარაკა ვას-კამ გიკას, რომელიც პიერს აღარ უსმენდა და მაიას უსურ-ჩულებდა ახლახან მოსმენილ „ციე" ანეგდოტს.

– მართალი ხარ, თუ ინიციატივა ხელში არ ავიღეთ, წასუ-ლია ჩვენი საქმე, – ოხრავდა გიკა და მაიასკენ მიცოცავდა.

– გოგონებო, იქნებ გვეცეკვა რაიმე, – ანაზდეულად აყ-ვირდა ვასკა და ლუდხანის მძიმე სკამზე შეხტა.

– გიკა, ადი ახლავე სკამზე და ჩვენ, რომ ვიცით ის ვიცეკვოთ, აბა მიდი, წავიდა, – ამღერდა ვასკა და „განდაგა-ნას" „აჭარულის" „შალახოს" შეუდგა გოგონებისა და ლუდ-ხანის სხვა სტუმრების მგრგვინავი აპლოდისმენტების ქვეშ.

– „პროსტ", „პროსტ" კაკკასია, საქართველო ყვიროდნენ ღიპიანი და ულიპო ლუდის მსმელები და მაგიდებზე ხე-ლის ცემით აგულიანებდნენ ისედაც გადარეული ბიჭებს.

– ლიდია და მაია თქვენც ამოდით, სკამებზე შედექით, ძალიან გთხოვთ, ეს ჩვენი ტრადიციაა, – ამხნევებდა გიკა გოგონებს და „პიურეს" მხარზე ხელს ურტყამდა.

– ოჰო, ეს კავკასიური ცეკვა პირდაპირ სიამოვნებაა, – კენესოდა ლუდით მთვრალი პიერი და უკვე მეოთხე ბოკალ ქაფიან სითხეს ჩაშტერებოდა ელამი თვალებითა და მოღუ-ნული ცხვირით.

შეთანხმება მხარეებს შორის

მუსიე პიერ დე ბოდუენ დე ვოლანი ცაცხვებისა და წიფლების ძირში იწვა არისტოკრატულად და დაბალ ხმა-

ზე ხერინავდა. „პიურეს" თავთან ბიჭები – ვასკა და გიკა, ხოლო ფეხებთან ლიდია და მაია უსხდნენ და დუმდნენ.

– გვიღალატა აეიატორმა, – ჩაილაპარაკა ვასკამ და მარად გაბურძგნული თმების გასწორებასა და დალაგებას შეუდგა.

– რა? – იკითხა ლიდიამ და გრძელი კისერი ბიჭებისკენ მოატრიალა.

– არა,არაფერი,– უპასუხა გიკამ ლიდიას.

გოგონები საათზე იყურებოდნენ და ბიჭების ფიზიონომიებს ათვალიერებდნენ. ბიჭები კი ცეკვითა და გაურკვეველი მდგომარეობით დაღლილიყვნენ, ხმასაც არ იღებდნენ და პიერის ხერინვას უსმენდნენ.

– კარგით, რახან არაფერს არ ამბობთ, მაშინ მე გამოვალ სიტყვით, – თქვა ლამაზმა,მაღალმა,ათლეტური აგებულების მქონე ლიდიამ,რომელიც მთვარის შუქსე, მართლმსაჯულების ქალღმერთს ჰგავდა.

– მოკლედ ბიჭებო, ვასკა, გიკა და პიერ, ჩვენ შევხვდით ერთმანეთს გასაცნობად და მხარეებს შორის თამაშის პირობების დასადგენად. ჩვენ, მართალია, გამოგეხმაურეთ და შესვედრაზე მოვედით, რაც იმას სულ არ ნიშნავს, რომ ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ, იმდენად გამოვჩერჩეტდებით, რომ კიდევ სადღაც გამოგყვებით. თქვენ უნდა გაიგოთ ვინ ვარო ჩვენ და რა გვინდა. ისიც უნდა გაითვალისწინოთ, რომ მე და მაია არც კაცთმოძულე ამაზონკები ვართ და არც თაეკარიანი გოგონები. ჩვენ ჩვენი პრინციპები გაგვაჩნია, რომელსაც თქვენ პატივი უნდა სცეთ.

– რას მიედ–მოედება? – იკითხა უეცრად ვასკამ და გიკას შეხედა.

– ჩუ,გაჩუმდი,– უპასუხა დაბღვერით გიკამ და ლიდიას ისე მიაშტერდა,როგორც სტუდენტი უყურებს მკაცრ ლექტორს.

– ჩვენი პრინციპების თქვენი მხრიდან პატივისცემა არც იმას ნიშნავს, რომ ჩვენ თქვენს სურვილებს არ გავითვალისწინებთ, მაშრებო, – ბრძანა ლიდიამ და ვასკას მრავალმნიშვნელოვნად გაულიმა, რაზედაც მძინარე პიერმა ეროი ამოხერინვა მიაყოლა.

— ჩვენი პირობა ასეთია — 'შაბათ დილას მივემგზავრებით ქალაქ ბილფელდში, რომელიც აქედან 25 კილომეტრზე მდებარეობს. იქ ჩვენ ერთ ღამეს გავატარებთ ერთად ოტელში, რომელიც მშვენიერად მიესადაგება ჩვენს მოთხოვნებს. რა თქმა უნდა, ბიჭებო, იმ ოტელში მე და მაია ბევრ „სიურპრიზს" მოგიწყობთ.

სიტყვა სიურპრიზზე ვასკას თვალები სისხლით აევსო.

— მოგზაურობის მრავალი სახეობა არსებობს, — აგრძელებდა ლიდია. — ჩვენ სკეიტით ანუ საციგურაო როლიკებით გვსურს ბილფელდისკენ გამგზავრება და იქედან უკან დაბრუნება. გთხოვთ გამოთქვათ თქვენი აზრი ამის შესახებ.

— რამდენი კილომეტრია იმ ქალაქამდე? — იკითხა შეშფოთებულმა გიკამ, რომელსაც ვასკა გადაეღობა წინ და კითხვის დასრულება აღარ აცალა.

— ბრწყინვალე პირობაა, ბილფელდში კარგად გავერთობიი, ვიცეკვებთ და მიკლეტ მაგარია, — თქვა აღფრთოვანებულმა ვასკამ.

— დიახ ოტელში, ჩვენ სრულიად გარდავიქმნებით და მრავალს ვიცეკვებთ, აი იმას, რა ჰქვია, „შალა, შალა, 'შალა."

— „'შალახო," — შეუსწორა ვასკამ და როგორც მშიერი კაცი ტორტს მიუჯდება, გვერდით იმგვარად მიუცუცქდა იგი მაიას.

— რამდენი კოლომეტრია იქამდე? — გაიმეორა კითხვა გიკამ დაეინებით.

— რა გაახურე საქმე, რამდენი კილომერტია, რამდენი კილომეტრია, ჰა, 100 კილომეტრია, არ წამოხვალ თუ რა, ასეთ გოგოებს მე 1000 და 5000 კილომეტრზე წავყვები, — შეუტია ძმაკაცს ვასკამ.

— არა, საქმე იმაშია, თუ როგორ მივაღწევთ იმ ქალაქამდე, 'შე სულელო, — გააფთრდა გიკა.

— მივაღწევთ, აბა რა იქნება, როლიკებით არ გივლია, 'შე ჩემა? — ვასკას ხმაში მომავალი გამარჯვების სიხარული იგრძნობოდა.

— თუ ამ ლაშქრობას განვახორციელებთ,ჩვენ გავხდებით ლიდიასა და მაიას მოგზაურთა კლუბის ნამდვილი წევრები, ხოლო შემდეგ ესენი გახდებიან ვასკასა და გიკას

კლუბის წევრები, გაიგე შე ცალტვინა, – თქვა ვასკამ და გოგოებს მიუტრიალდა.

– ოკეი, ოკეი, ჩვენ თანახმა ვართ. ახლა გვითხარით შაბათს რომელ საათზე და სად ეხვდებით.

– შაბათს, 9 საათზე, კროპკეს საათთან. ვასკა, გიკა და პიერ, სკეიტები ჩვენ გვაქვს და წამოგიღებთ, მხოლოდ თქვენი ფეხის ზომები გვითხარით, – თქვა მაიამ და ლამაზი თეძოების რხევით ბიჭებს მიუახლოვდა.

– ორიკეს ჩვენ 41 ზომა გვჭირდება, პიერს კი ნამდვილად არ ვიცი რა ზომის ფეხსაცმელი აქვს. იქნებ გაგვეზომა, – გიკამ ფრანგის ფეხებთან ჩაიჩოქა და ქუსლზე ნომრის გარკვევას შეეცადა.

– ასრი არა აქვს ჩემი ფეხსაცმლის „მონიტორინგს", რადგანაც შაბათს დილას დეიდასთან მივემგზავრები „ჯოკერის" სათამაშოდ და ახალი ეკოდანადგარის სოფელში გამოსაცდელად, – უეცრად დაილაპარაკა მესიე „პიურემ" და გვერდი იცვალა.

ლაშქრობა ბილფელდისაკენ

– ამოვიდა მზე, რათა ჩვენი ერთობლივი გადარბენა გაანათოს, – პოეტურად მიმართა ვასკამ კროპკეს საათთან მდგარ გოგონებს და ხელი ჩამოართვა მათ.

– ჰელოუ, ვასკა და გიკა, ხართ ფორმაში, კარგად გეძინათ, ხომ არ გადაგიყიქრიათ? – დააყარეს კითხვები ბიჭებს ლიდიამ და მაიამ.

– არა, პირიქით, მზად ვართ თქვენთან ერთად ანტარქტიდამდე ვირბინოთ, – ბრძანა ვასკას მიერ შეგულიანებულმა ფილოსოფოსმა რისიანად და მაის წინ გაიჯგიმა.

– ლიდია,მაინც რა ლამაზი ხარ დღეს,რა მიმზიდველი, – მთლად გრძნობათა მორევში ჩავარდა ვასკა.

– მართლა? ძალზე მიხარია, რომ მოგწონვარ, ეს ჩემთვის სტიმულია მივადწიო დანიშნულ ოტელამდე ძვირფასო, – ცისფერი თვალები მიანათა ლიდიამ ვასკას და გიკასაც ესროლა სხივები.

— შენ მე არ მეტყვი რაიმეს? — აღშფოთდა გიკას პასიურობით მაია, დოინჯი შემოირტყა და ამაყად აათვალიერ–ჩაათვალიერა თავისი კავალერი.

— მე ვიტყოდი,რომ შენ მაია იმდენად ლამაზი ხარ,რომ მოთმინება არ მყოფნის ქალაქამდე მივაღწიო და გთხოვ ახლავე გამიღო „კარი" — ორჭოფობით დაასრულა გიკამ რთული წინადადება.

— და თუ ჩემი გულის კარი იმ ქალაქსე გადის, მაშინ რას იზამდი? — გამომცდელი თვალებით შესცდა მაიამ ბიჭს.

— მაშინ შეეეცდებოდი ქალაქამდე და ოტელამდე მიმეღწია და მერე გავაღებდი იმ კარს, — შეწუხდა გიკა.

— ჰო, ასე კარგია. თქვენ, ბიჭებო, უნდა იცოდეთ, რომ ანტიკურ ხანაში ქალები სხვადასხვა გამოცდებს უწყობდნენ მამაკაცებს, რათა შემდეგ მათ გვერდით ნამდვილი სიამოვნება ეგრძნოთ. საბერძნეთში კარგ მამრობას აღასტურებდნენ სირბილით, ფარიკაობით, ბადროს ტყორცნითა და ლექსების შეთხზვით. ძველი გერმანელები ასეთ საბუთად მგლებზე ნადირობას მიიჩნევდნენ. მგლის ტყავზე გაგორებული ქალი თავს უბედნიერესად თვლიდა. ჩვენ, ქალებმა, უნდა ავაღორძინოთ ის ძველი ფორმულა, რომლითაც კაცი გმირობით სანუკვარ ქალს მოიპოვებდა, — აღფრთოვანებით ამბობდა მაია.

— აუ, რა ამბებია, ნამდვილად გიყებთან მოვხვდი, — ჩაილაპარაკა გიკამ და ვასკას გადახედა,რომელიც ლოყებაწითლებული უსმენდა მაის და როგორც ჩანს იზიარებდა მის პარადიგმებს.

— ძვირფასო ვასკა და გიკა, ეს გარბენი ძნელი არ იქნება, იგი სულ რაღაც 25 კილომეტრს მოიცავს, მაგრამ გთხოვთ, აქვე წნევა გავიზომოთ და შედეგები დაეაფიქსიროთ. ეს მეთოდი ყველა ტიპის მოგზაურობას თან ახლავს,— თქვა ლიდიამ და აპარატით ხელში ვასკას მიუახლოვდა.

— კარგით თუ აუცილებელია გავიზომოთ, — თქვა მონუსხულმა ვასკამ და მაჯის განთავისუფლებას შეუდგა.

— ბრწყინვალეა, — ჩაილაპარაკა გიკამ და უხალისოდ აიჩეჩა პერანგი.

მაია სკეიტებს იღებდა და ბიჭებს ცხვირწინ უწყობდა. წნევა ოთხთავეს შესანიშნავი ჰქონდათ. ახლა საქმე როლიკის მორგებაზე იყო მიმდგარი.

— აბა,მოსინჯეთ,როგორია? — იკითხა ლიდიამ და მუხლებზე ჩაჩოქილმა ვასკას სკეიტი მოარგო.

გოგონას მხრიდან ასეთმა დაფასებამ გული აუჩუყა ვასკას. მან სკეიტები ჩაიცვა და კროპკეს საათის წინ მცირე წრე ოსტატურად შემოხაზა.

— აი, ეიხსენებ ახალგაზრდობას, — გადასძახა თმაგაბურძგნულმა ფილისოფოსს, რომელსაც თავის მხრივ მაია შეეღიდა.

— გიკა, ხომ არ მოგესმარო სკეიტის შეკვრაში? — მაია გიკას პატარა ბავშვივით უყლიდა.

— აი, მეც მაგარი ვარ, — თქვა სკეიტმორგებულმა ფილოსოფოსმა და მაიას წინ პირუეტის გაკეთება სცადა.

— აბა დავეწყოთ, მეგობრებო, — ბრძანა ლიდიამ და რაზმი კროპკეს ცნობილ საათთან განლაგდა.

— სინქარეს მნიშვნელობა არა აქვს. იცოდეთ დიდხანს ვერ გაეცერდებით და წყალსაც ვერ დაელეკთ. უკანასკნელი სურვილები თუ არ გაქვთ, მაშინ გავსრიალდეთ. — თქვა ლიდიამ და ზეაწეული ხელი დაბლა დაუშვა.

სკეიტებმა მჭახე ხმით გაისრიალეს ასფალტზე და ჩვენი გმირები წინ გაისროლეს. ვასკამ გიკამ,მაიამ და ლიდიამ ჩაუქროლეს გზასეთ „ასფალტის" გამყიდველს, პოლიციის პოსტს, მეორე მსოფლიო ომის დროს ბრიტანული ავიაციის მიერ დამბომბილ ეკლესიის ნანგრევებს, რამდენიმე მაღაზიას და გეზი ქალაქის გასასვლელისაკენ აიღეს.

— საავტომობილო ტრასით მივდიეართ? — დაიყვირა ვასკამ და ლიდიას გადახედა.

— არა, გიყები კი არა ვართ, საავტომობილო ტრასის პარალელურად, სოგან კი უბრალოდ ძის გვერდით სპეციალური „სკეიტის გზა" გადის და იმას დავადგებით! — შესძახა ლიდიამ და ჩოქმბჯენზე გადასვლით იწყო სრიალი.

— რა ლამაზად სრიალებ, ლიდია, — თქვა ვასკამ,რომელიც ლიდიას ხარბად ათვალიერებდა და მის მოქნილ მოძრაობებს უთვალთვალებდა.

— გმადლობთ,— თქვა ლიდიამ და ვასკას საპაერო კოცნა გაუგზავნა.

გიკა და მაია ერთმანეთის გვერდით მოსრიალებდნენ. გიკა ხმას არ იღებდა. იგი მხოლოდ ფეხებს ასავსავებდა და ამგვარად მიქროდა წინ.

— ხელებიც გაანძრიე და ტანიც, ამგვარად ფეხებს ნაკლებად დატვირთავ! — შესძახა მაიამ გიკას.

— ჩვენ, ფილოსოფოსები, წესით ერთ ადგილას უნდა ეიჯდეთ და გონებაში ემოგზაურობდეთ, — თქვა გიკამ ირონიულად და ხელები ჯიბეში ჩაიყო.

— ეგრე არ არის სწორი დგომი, იცოდე ხელებს თუ არ გაანძრევ, გზაზე დარჩები და შესაბამისად ოტელში ვერ მოხვალ, — დაემუქრა მაია გიკას.

— აი, ეს არის სპეციალური სკეიტების ტრასა, — თქვა ლიდიამ, რომელმაც მოგზაურებს ვარდისფერ ვიწრო ზოლზე მიუთითა.

„შესასვლელი" — ეწერა ასფალტის ვარდისფერ ზოლზე აღმართულ ფირნიშს.

— საინტერესოა, „პიურეს" კალიას თუ მემიუმშვებდნენ ამ წითელ ტრასაზე? — იკითხა გიკამ, მაგრამ მას პასუხი არავინ მისცა. ვასკა ლიდიას მისდევდა,მაია კი სუნთქვის ვარჯიშს აკეთებდა და მას გიკასთვის აღარ ეცალა.

წითელი ტრასა საუცხოო მწვანე ზოლზე გადიოდა. მის ორივე მხარეს ჯუჯა ნაძვნარი განფენილიყო, რომლის სიღრმეში იდილიური დასასვენებელი ადგილები მოჩანდა.

— რას გავიშხლართებიდი ამ ტყეში, — ჩაილაპარაკა გიკამ, რომელიც მეოთხე ადგილას მიქროდა და მაიას ენერგიულ მოძრაობებს არც თუ დიდი წარმატებით იმეორებდა.

— ნახეთ რა ლამაზი ტბა გამოჩნდა! — შესძახა ლიდიამ და ბიჭებს ცისფერი ტბის ნაგლეჯი დაანახა.

— სიამოვნებით დავსველდებოდი მაგ ტბაში, თორემ სულ მთლად გავიოფლე, — ჩაილაპარაკა გიკამ და მაიას მსგავსად ჩოქმბჯენში ჩაჯდომა მოინდომა.

მოგზაურებმა გაირეს ტბა, მწვანე კორდი და ძროხების ფერმას ჩაუქროლეს.

— ჰეი, ძროხებო, მალე დაებრუნდებით, არ დამივიწყოთ! —

შესძახა ლამაზ ძროხებს ვასკამ.

— ეჰ, ნეტა ძროხა ვიყო და მაგ გრილ ბოსელში მწყანე ბალახს ვწიწკნიდე, — ჩაიჩურჩულა გიკამ და ხანგრძლივი ჩოქმბჯენის შემდეგ სახსრების ტკივილი იგრძნო.

— ბედნიერი ვარ, რომ ასეთ სილამაზეში ასეთ ქალებს მივაცილებ,— შესძახა ვასკამ და ლიდიას გადაუსწრო.

— ყოჩაღ ვასკ! — ლიდია ფეხდაფეხ მიყვა „ბედნიერს".

— იბედნიერე, ძმაო, ამბობდა ამ სანახაობის შემყურე გიკა და ჯიბიდან დაჭმუჭნულ გაზეთს იღებდა.

— ამ ტრასაზე სრიალის დროს კითხვა არ შეიძლება, — თქვა მაიამ და გიკას გვერდით ამოუდგა.

— იცი რა, მაია, ფილოსოფიის ერთი სქელტანიანი წიგნის წამოღებას ვაპირებდი, მაგრამ გადავიფიქრე და გაზეთის მეტად საინტერესო გვერდი წამოვიღე, რომელიც შენნაირ გოგონებზე გვესაუბრება, — დაიჭყანა გიკა.

— მაინც რას ამბობს? — იკითხა მაიამ.

— „თანამედროვე ქალი დაუოკებელია თავის განსრახვებში, ამიტომაც ხან რას გამოიგონებს იგი, ხანაც რას. გახსოვდეთ, ნიცშე გვირჩევს, ამგვარ ქალებთან ურთიერთობისას მათრახი ვიქონიოთ თან, — ჩაიკითხა აბზაცი გიკამ და მაიას დაეწია.

— შესაძლოა მართალიცაა, მე მჭირდება მათრახი, მაგრამ შენ გაქვს კი იგი? — იკითხა მაიამ და საოცარი გამჭოლი მზერით შეხედა გიკას.

— მე ყოველთვის მათრახით დავდიეარ, როგორც ქართველი! —შესძახა გამხიარებულმა გიკამ და ფეხის ტერფებში საოცარი ტკივილი იგრძნო.

მაია აღარ საუბრობდა გიკასთან. ახლა ის ლიდიასა და ვასკას შორის მიჰქროდა. გიკა მისცდა, რომ იგი ნელ—ნელა თმობდა პოზიციებს, რადგანაც გაშეშებული, როლიკებიანი ფოსტალიონივით მიგორავდა და არა მიქროდა.

— პირველი 7 კილომეტრი გაველილია, კიდევ ცოტა და სიჩქარეს მოვუკლებთ, — თქვა ათლეტურმა ლიდიამ და ვასკას შეხედა.

— მაგარია, — შესძახა ვასკამ უმისამართოდ.

— ხომ არ დაიღალე? — იკითხა ლიდიამ.

— არა, კარგად ვარ,— თავი გააქნია ვასკამ და ლიდიას ისევე წამოეწია, დავიღალე კი არა, შენ გათვალიერებდი, საოცარი მოძრაობებით მისრიალებ, სუფთა ეფეხვი ხარ, ეგიჟ-დები სპორტულ გოგოებზე, — აღმოხდა ვასკას.

— ყოჩაღ, კარგი კომპლიმენტები იცი, თუ ოტელშიც ასე-თი იქნები, დაუვიწყარი საღამო და იქნებ ღამეც გველის, — გულუბრყვილოდ ჭიკჭიკებდა ლიდია.

ვასკა გამამაცდა. იგი კრეისერივით მიჰქროდა ლიდიას მხარდამხარ.

— აი რეა კილომეტრიც! — შესძახა მაიამ.

— თუ ამდენი გაიარეთ, იქნებ გაეჩერდეთ და დაეისვე-ნოთ, — ამოიკნავლა უეცრად გიკამ.

— დასვენება აქ არ შეიძლება, მარტო წყალს დაველევთ, ისიც წვენებს, — ხალისიანად თქვა ლიდიამ და ვასკას მანგოს წვენი ესროლა. ვასკამ ხარბად მოსვა მანგო.

— მოიტა აქ, ბიჭო! — ვასკამ გიკას მთრთიოლავი მარჯვენა დაინახა.

— როგორ ხარ გიკა? — შეეკითხა ვასკა ძმაკაცს.

— ვკვდები, — თქვა არაქათგაცლილმა ფილოსოფოსმა და მანგოს დაცლის შემდეგ მეგობრებს ნელ—ნელა ჩამორჩა.

— არ გაჩერდე, ბიჭო, თორემ ეელარ დაგვეწევი! — უყვიროდა ვასკა გიკას.

— წადი თქვენი, — გამოსცრა გიკამ პასუხად და მუცელზე მბეუტავი ტკივილის მოსინჯვა დაიწყო.

თუ რასმეული საათში 17—18 კილომეტრის სისწრაფით მიქროდა, გიკას სიჩქარემ ბოლო მომენტში თხუთმეტი, ათიცხრა, რვა, შვიდი, ექვსი, ხუთი, ოთხი, სამი, ორი და ბო-ლოს ერთი მეტრი შეადგინა.

— ხომ არ მოვკვდები ამათი გულისათვის. „კიდევ რვა კილომეტრი და მერე ოტელში კურკურიო" — მეტი რა მოუნდათ, არ გაახურეს საქმე, — ამბობდა გიკა და გულის აჩქარებულ ბაგაბუგს შეშფოთებული უგდებდა ყურს.

— დაეეწიო არა ისა, თავი მოვიკლა თუ ბრმანაწლავი გავიხეოქო, — ფიქრობდა იგი და ჰორიზონტზე მოძრავ სილუეტებს შეჰყურებდა.

— სკეიტები სიცხისაგან გავარვარებულან და გულს რა-

ღა დაემართებოდა, – ეუბნებოდა მას უცნობი ხმა.

– აქვე მოვიწყობ ბუდეს, თქვენ კი ისრიალეთ, დებო და ძმაო ვასკა, – დაასკვნა ხმამაღლა ფილოსოფოსმა და პირდაპირ გზასე გაიშლარია.

გზასე გიკა არცოუ ისე დიდხანს იწვა. ქროლისაგან ბუდიდან ამოვარდნამდე მისული გული ნელ–ნელა თავის ადგილას ჩადგა და პატრონის ინფანტილურ ტემპში ამუშავდა. ეს გიკამ გამოჯანმრთელების პირველ ფაქტორად მიიჩნია და თავი ასწია. კუჭის, ბრმანაწლავის, თუ ელენთის სახიფათო გაელვებებმაც მოასვენეს გზაზე წამოწოლილი ფილოსოფოსი. როდესაც გაცხელებულმა ტერფებმა და ფეხის თითებმა შვება იგრძნეს. გიკა სრულ ჯანსე მოსული წამოიმართა და ტრასას გახედა.

– აუ ეხლა რა გაუძლებს ვასკას ტვინის ხვრეტას, მაია კი რას იფიქრებს, ფუ შენი, – ჩაილაპარაკა პეიზაჟისა და ღრუბლების თვალიერების შემდეგ ბიჭმა და სკეიტების ხელახალი ჩაცმა მოინდომა. თითები სკეიტებთან მიკარებას მწვავე ტკივილითა და უსიამოვნო გრძნობით აღნიშნავდნენ. ამიტომაც გიკამ სკეიტები ხელში დაიჭირა, ზურგჩანთიდან საკუთარი ფეხსაცმელები ამოიღო, ჩაიცვა და სიამოვნებისაგან გაიბადრა.

– ახლა კი სანქაროდ გვინდა ტრანსპორტი, – ჩაილაპარაკა გიკამ და იქით წავიდა, საიდანაც ავტომობილების მოძრაობის ხმა მოქონდა ველსე გამეფებულ ნაზ სიოს.

ზურგსე სკეიტებგადაკიდებული, მწუხარე სახის ფილოსოფოსმა აუჩქარებელი სიდინჯით გაიარა რამდენიმე მეტრი და ტრასას გახედა.

ამ დროს შორს მომავალი ყვითელი ავტობუსი გამოჩნდა, რომელიც ნელა მოიწევდა მისკენ.

– გამიჩერეთ, გამიჩერეთ, – აწიელდა გიკა და ავტობუსიდან მომღიმარ მოხუცებს ხელების ქნევა დაუწყო.

ავტობუსი შეჩერდა.

ავტობუსში მჯდომი პენსიონერები, როგორც ჩანს, ეკსკურსიაზე მიემგზავრებოდნენ და მათ სახეებს კეთილგანწყობილება ეტყობოდათ ამ გზააბნეული ახალგაზრდის მიმართ.

– თქვენ სტუდენტი ხართ? –ჰკითხა ავტობუსის სალონში

შეფორთხებულ ბიჭს სანდომიანი სახის მოხუცმა მამაკაცმა.

– დიახ, მე ფილოსოფიას ვსწავლობ, – უპასუხა გიკამ დარცხვენით.

– თქვენ ექსკურსიაზე ხართ წამოსული? – იკითხა ბაფთებიანმა მოხუცმა ქალმა.

– დიახ, მე ემოგზაურობ, – უპასუხა გიკამ.

– მეგობარ გოგონასთან ერთად რატომ არ მოგზაურობთ? –დაინტერესდა გამხდარი მამაკაცი და ხელებით ოცნებაში მიმქრალი ქალის ტორსი შემოხაზა.

– მე გოგონებთან ერთად დავიწყე მოგზაურობა, მაგრამ ახლა ჩამოვრჩი მათ და აღარ ვიცი რა ექნა, – დაიკნაველა გიკამ.

– ნუ გეშინიათ, ჩვენ მარშრუტს მცირედით შევცვლით რათა თქვენ დაგეხმაროთ, – წარმოთქვა წითელპერანგიანმა მსუქანმა ლედიმ.

– საით გიჭირავთ გზა და სად გელოდებათ თქვენი გულის რჩეული? – იკითხა ბაფთებიანმა ქალბატონმა.

– ქალაქ ბილფელდის ოტელში, – დამარცვლით თქვა ბიჭმა.

– მოკლედ მივდიეართ ქალაქ ბილფელდში, რათა წყეილი შევაერთოთ, – შესძახა მძღოლმა და ახმაურებული ავტობუსი დაიძრა.

ქალაქ ბილფელდში გიკა დიდხანს ემშვიდებოდა მოხუცებს, რომელთა ბედნიერი და ცრემლიანი თვალები გიკას ლამის აატირებდნენ, მკაცრ მძღოლს რომ არ დაეცაცხანებინა მოხუცებისათვის და ავტობუსი მოწყვეტით არ დაეძრა ადგილიდან.

გიკა ქალაქის ვიწრო და პრიალა ქვებით მოკირწყლულ ქუჩებში ხტომა ხტომით მიდიოდა და გამვლელთ ოტელის ადგილმდებარეობას ეკითხებოდა.

– აი, ეს სასახლე, ფაქტიურად ოტელია, – უთხრა მას ვებერთელა ნაყინით მომავალმა ზანგმა.

– აი, ჩვენი ბოლო პუნქტი, – შეჰყვირა ბიჭმა და თვალის დახამხამებაში ოტელში შეიჭრა.

„ახლა ეასკას ლიდია და მაია ეხვევიან თავს, მე კი, როგორც ყოველთვის „ოფსაიტში" დავრჩი", – ფიქრობდა

იგი და კიბეებ'ზე მიხტოდა.

— რას ინებებთ, ბატონო! — დაუყვირა მას პორტიემ, რომელიც განცვიფრებული მზერით ათვალიერებდა შურდულივით შემოვარდნილ ბიჭს.

— მე ვეძებ ორ გოგონას და ერთ ბიჭს, რომლებიც სკეიტებით ჩამოვიდნენ აქ! — ყვირიოდა გიკა სხაპასხუპით და პორტიეს თვალებით ჭამდა.

— აჰა, ორი გოგონა და ერთი ბიჭი არა? — იკითხა სიცილით პორტიემ და კომპიუტერს მიუჯდა. გიკას მოეჩვენა, რომ პორტიე მას დასცინოდა. „ალბათ, ვასკამ ყველას მოუყვა ჩემი დაავარდნის ამბავი და გოგოები ნომერ'ში შეიყვანა", — ფიქრობდა გიკა.

— აჰა ისინი ხომ ნომერ'ში არიან, — ქირქილებდა პორტიე.

— რაა? ერთ ნომერ'ში არიან? — ყვირიოდა გიკა გაავებით.

— დიახ,დიახ. მათ ხომ ბიჭი ლამის კომაში ჩაავარდნილი მოიყვანეს და ექიმსაც გამოუძახეს, — ბრიცაკდა სახეს პორტიე.

— რაა? კომაში ჩავარდა ერთ—ერთი? — ყურებს აღარ უჯერებდა გიკა.

— დიახ, ორმა გოგონამ ბიჭი გულწასული მოიტანეს ოტელამდე და ექიმსაც გამოუძახეს, ისინი 212—ში არიან, — ამბობდა პორტიე შეწუხებული სახით.

გიკა ოტელის კიბეებზე არბოდა. 212—ე ნომრის კარის შელების შემდეგ,გიკამ ლოგინზე მწოლიარე ვასკა და მის ირგვლივ მოფუსფუსე ლიდია და მაია დაინახა.

— რა ხდება ვასკა, ძმაო, — შეჰყვირა ბიჭმა და მეგობარს მიუახლოვდა.

— აი.ისიც მობრძანდა,— თქვა ლიდიამ მკაცრი ხმით და მაიას გადახედა.

— აი, ისიც, — თქვა მაიამ და უიმედო მზერა ესროლა ბიჭს.

— აი, ისიც, — თქვა ვასკამ და თვალები გაახილა.

— ბიჭო ცოცხალი ხარ? — აბღავლდა გიკა.

— კი, — თქვა ვასკამ და ცალი თვალი შეაღო.

— რა მოგივიდა, ძმაო, — გიკას ცრემლი ერეოდა.

ვასკა ხმას არ იღებდა.

— კიდევ კარგი რომ მოხვედი: ვასკა ოცდამესამე კილომეტრზე გახდა ცუდად, მე მგონი მისმა გულმა დატვირთვას ვერ გაუძლო. ის წაბორძიკდა, დაეცა და ორი კილომეტრი ჩვენ ვაი–ვაგლახით ვატარეთ, — თქვა ხასიათწამხდარმა ლიდიამ.

— ახლა როგორ არის? — იკითხა გიკამ

— ექიმმა გასინჯა და თქვა, რომ არაფერი უჭირს, ცოტა დაისვენოსო, — დაამატა მაიამ.

— თქვენ გმირები ყოფილხართ ლიდია და მაია,— წამოილუღლუღა ვასკამ.

— არაფერიც, ჩვენ უბრალოთ ჩვენი ვალი მოვიხადეთ, — ბრძანა ენერგიით სავსე ლიდიამ.

ზარის შემოკვრა

— გოგონები რა იქნენ? — მოქნარებით იკითხა ვასკამ და გიკას მიაშტერდა. გიკა გაუნძრევლად იჯდა და იატაკს ჩაშტერებოდა.

— ბიჭო, ხმა ამოიღე, სად არიან ისინი, — გააევებით ჩაიღუღღუნა „ინფარქტიანმა" და ლოგინზე წამოჯდა.

— ვინ იცის, — მელანქოლიურად ჩაილაპარაკა გიკამ და თავისი ტუფლების თვალიერება დაიწყო.

— შენ, ბიჭო, რაღაც უცნაურად იქცევი, — თქვა ვასკამ.

— შენ ხომ მყავხარ „კაზანოვა", — აღარ დააბოლოვა გიკამ.

— რაებს ბოდავ, ბიჭო, გოგოები მარტო რატომ გაუშვი, — გადაირია ვასკა.

— გაუშვი არა, მე ვინ მკითხა რამე, ადგნენ და ისე ჩამიარეს თითქოს გალიის ჩიტი ვიყავი და კარები გაიხურეს.

— კაცი ხარ ახლა შენ ბიჭო? მაგათ გადამარჩინეს და შენ ჩემმა ძმაკაცმა, ისინი ისე გაუშვი, არსათაც არ დაპატიეე, — ვასკა შუბლშეჭმუხნილი უმზერდა გიკას.

— მიდი რა ბიჭო, — ჩაიღიღინა ფილოსოფოსმა და ტუფლების წმენდა დაიწყო.

— რა მიდი, პატივი ხომ უნდა ეცეთ გოგონებს, რომლებმაც ხელით მათრიეს, — ეასკა იგიეებდა თავს.

— მე შენ ადგილზე დავიძინებდი და ლიდიას ადარ შეეაწუხებდი, — თქვა გიკამ.

— რა დამაძინებს, როცა ასეთი დამპალი და რეგვენი ძმაკაცი მყავს,— ლოყები აუწითლდა ვასკას.

— შენ ლიდიას რაში სჭირდები. „ლიხანია" არ გიეარგა, გზაში კინალამ დაიბრიდე. ახლა შენთან გაატარებს ლიდია დარჩენილ დროს? — მკვახე ტონით ლაპარაკობდა გიკა.

— შენ ჩემზე ადრე დავარდი თუ კარგია, — ეასკა საწოლზე წამოიმართა.

— დაეარდი კი არა, სკეიტის თასმის შესაკრაეად ჩავიჩოქე და რომ ავდექი, არც ერთი არ იყავით ადგილზე, — გიკა იტყუებოდა.

— ახლა აქედან გამასწარი, თორემ... — ეასკა სიბრაზისაგან სულ მთლად აჭარხალებულიყო.

— არ გინდა, „არ ისროლო", თანაც გულს გაუფრთხილდი, —შეჰყეირა გიკამ, როდესაც სკეიტით ხელმომარჯვებული ძმაკაცი დაინახა და გასასვლელისაკენ გაეარდა.

— როგორმე ეცადე, ეს სკეიტი თავში არ მოგხვდეს — სერიოზული ტონით ჩაილაპარაკა ვასკამ და ჩაცმას შეუდგა.

— შენ საით, საით, ლლლიდდდიასთთან? — ენა დაება შეშინებულ ფილოსოფოსს.

ვასკამ ქამარი შემოიჭირა და გარეთ გაეარდა, გიკა მას უკან მიჰყვა და ორივენი ოტელის კიბეებზე დაეშვნენ.

— აი გოგოებს ვხედავ, რესტორანში შედიან! — იყვირა გიკამ და ისინიც უმალ რესტორნის განათებულ კიბეზე აიჭრნენ და მოკაზმული გვარდიელის მისალმებაზე მისალმებით პასუხის შემდეგ დიდ დარბაზში შეეარდნენ.

დიდ დარბაზში საკმაოდ ბევრი ხალხი ქეიფობდა. ისმოდა ხალხის ყაყანი, ომახიანი სიმღერა და ლუდის კათხების ჭახანის ხმა. ლიდია და მაია კუთხის მაგიდას მიჯდომოდნენ და ერომანეთს ესაუბრებოდნენ.

— შეიძლება თქვენთან? — იკითხა ვასკამ ღიმილით და გოგონების გვერდით მყოფი სკამი გამოსწია.

– თუ არ შეგაწუხებთ, კომპანიას გაგიწევთ, – თქვა გიკამ და მანაც სკამს დაავლო ხელი.

ლიდია ვასკას ცივად ათვალიერებდა, ხოლო მაია გიკას არც კი უყურებდა.

– რა არ შეიძლება, რომ კომპანია გაგიწიოთ? – იკითხა გიკამ მეორეჯერ.

– შეგიძლიათ, მაგრამ არა ისეთი, როგორიც თქვენ გგონიათ, – თქვა მაიამ.

– ლიდია იქნებ ვიცეკვოთ,– იკითხა ვასკამ და გოგოსაკენ სკამი მიაჩოჩა.

– მეშინია გული არ გაგისკდეს,– თქვა ლიდიამ მშვიდი ტონით.

– არაფერი მომიყა,– თქვა ვასკამ და ლიდიას გაულიმა.

უეცრად დარბაზში ზარის წკარუნი გაისმა. ვასკამ და გიკამ თვალი მოჰკრეს კარებთან ჩამოკიდებულ მოქანაკე ძველ ზარს და მის გვერდით მდგარ მომღიმარე ჯენტლმენს, რომელსაც ტაშს უკრავდნენ მოქეიფენი.

– რა მოხდა? – იკითხა გიკამ.

– აბა, თუ მიხვდები? – იკითხა მაიამ.

– უკვე მივხვდი, – თქვა გიკამ, რომელიც სინამდვილეში ვერაფერსაც ვერ მიმხვდარიყო.

ორკესტრმა ძველი ვალსი დაუკრა. „ვენური ჰანგებმა" აატოკა და ააცეკვა მრავალი წყვილი.

– კარგი, ვიცეკვოთ, – თქვა მომღიმარმა ლიდიამ და ვასკას შეხედა.

ვასკა მეისვე წამოიმართა ფეხზე და ლიდიასთან მიიჭრა.

– გული არ გაგისკდება?– იკითხა ლიდიამ.

ვასკა და ლიდია ხალხის მორევში ჩაიკარგნენ. გიკამ მაიას გადახედა და უთხრა:

– იქნებ ჩვენც გვეცეკვა?

– უნდა გრცხვენოდეს! – უპასუხა მას მაიამ.

– უკვე მრცხვენია, – გაიცინა ფილოსოფოსმა.

– რაღაც არ გეტყობა, – გაკერპდა მაია.

– რა უნდა მეტყობოდეს, რა დავაშავე ასეთი, – გაბრაზდა გიკა.

მაია დუმდა.

— რატომ არ იღებ ხმა? — ნერვიულობდა გიკა.

— იქნებ გგონია, რომ არაფრის მაქნისი ვარ და ამიტომაც არ მისწორებ თვალს, — აგრძელებდა იგი.

მაია დუმდა და მენიუში იყურებოდა.

— რა გნებავს, რომ შევუკვეთო, — დაინტერესდა ფილოსოფოსი.

მაია კელავაც ჩუმად იყო.

ერთი სანი გიკამ გაიფიქრა მივატოვებ, ამ მდუმარე გოგოსო, წამოიმართა და ის—ის იყო უნდა გასულიყო დარბაზიდან, რომ მის თვალს მაიას დამცინავი მზერა მოხვდა.

— აჰა, დამცინი, კარგი ახლავე დაგტოვებ, მაგრამ ისე გავალ, როგორც კაცები გადიან, — თქვა გიკამ, შემოტრიალდა, კარებისაკენ გაემართა და გასვლისას მბზინავი ზარის წითელ ზონარს ჰკიდა თვალი.

„ისე გავალ რომ მეც ტაში დამიკრან", — გაუელვა თავში ბიჭს. ფილოსოფოსი ორივე ხელით მოეჭიდა წითელ ზონარს და ზარის რეკვას მოჰყვა.

გიკას მოეჩვენა, რომ მაია ფეხზე წამოიჭრა და რაღაცა შესძახა: მთელი რესტორანი ტაშს გაუჩერებლივ უკრავდა გიკას, ხოლო ზარი ცივ ხმაზე ზი'ზინებდა, რეკდა და ნერვებს უმ'შვიდებდა დაბნეულ ბიჭს.

აღელვებული გიკა რესტორნიდან გასვლას ლამობდა. მაია და ლიდია და მთელი რესტორანი მას მზერით მიაცილებდა. ფილოსოფოსი გაბრუებული და დაბნეული მიაბიჯებდა დერეფანში.

— ჰერ, მოითმინეთ! — ყვიროდა ვიღაც მის უკან, ხოლო დარბაზი კელავ ვენურ ვალსზე ცეკვავდა უკვე.

— რა გნებავთ? — შედგა გიკა საფეხურებთან.

— ეს ქვითარია ბატონო! — ცმუკავდა ობერკელნერი და ბიჭს ცხვირთან რაღაც ყვითელ ქაღალდს უტრიალებდა.

— რა ქვითარი, მე არაფერი შემიკვეთია, — თვალებს აფართოებდა გიკა.

— როგორ, ჰერ. ოქვენ სამჯერ და მეტჯერაც შემოჭკარით ზარს და ამ კეთილშობილური ჟესტით დაპატიჟეთ უკლებლივ ყველა სტუმარი საკეებზე, სასმელზე და დესერტზე, ამიტომაც უნდა გადაგეიხადოთ ოცდაორიათასი ევრო, —

თქლოფინებდა ობერ–კელნერი და გიკას მკაცრად უთვალთვალებდა.

„ვენური ვალსის" ჰანგები ხანდახან ძალუმად გამოიჭრებოდნენ დარბაზიდან და ისეთი გრძნობით უვლიდნენ გარს ფილოსოფოსს, რომ მას მუსიკის ტაქტის თანახმად ბზრიალი, ტლინკების ყრა და ხტუნვა უნდოდა.

შინაარსი

ხალკარი ალბუკება ქუთლუ-არსლანისა 5
ახალციხის „ალა სოფია“ 40
შამპოლიონი ანუ ინიციატიკა ისტორია 60
აბრეშუმის გზის ხტუმრები 70
მთვარის მზოსანთა ვნებათალელვა XII ს-ში 79
შეხვედრა ოქროს ყანაში 93
ამბავი ერთი ხარის შეშოკვრისა 105

კახაბერ ჯაყელი

საოცარი აღზევება ყეთლიუ-არსლანისა

(ნოველები)

კომპიუტერული უზრუნველყოფა და დიზაინი

ლევან ბეგლარიშვილი

გამომცემლობა „ბაკმი"

თბილისი, 2005 წელი

www.bakmipublishing@posta.ge